რედაქტორის გვერდი

VII საუკუნეში მცხოვრებ თეოლოგს, წმინდა იოანე დამასკელს ეკუთვნის თხზულება „ქრისტიანული სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა“. თავს იმის შესახებ, რომ ღმერთი არსებობს, ის იწყებს ფსალმუნის სიტყვებით: „თქვა უგუნურმა გულსა შინა თვისსა, არა არს ღმერთი“[1]. წმინდა მამას ღვთის არსებობის უტყუარ არგუმენტად მიაჩნია უგუნურისგან საწინააღმდეგოს მტკიცება.

ახლა უნდა ვილაპარაკოთ არა უგუნურებზე, რომლებიც ღვთის არსებობას ეჭვქვეშ აყენებენ, მით უმეტეს, არა იმათზე, ვინც ღმერთს ებრძვის (და სწორედ ამ ბრძოლით მოწმობს უფლის არსებობას), არამედ ჩვენზე, წმინდა იოანე დამასკელის განსაზღვრებით, გონიერებზე, რომლებიც ღვთის არსებობას უტყუარ ჭეშმარიტებად მივიჩნევთ.

პანდემიის გაკვეთილი

თეორიულადაც ვიცით და სანამ გაგვიჭირდება, გულმოდგინედ ვიმეორებთ, რომ ყოვლისშემძლე უფალი ისეთ განსაცდელს არ მოგვივლენს, რომ ვერ გავუძლოთ. ვიცით, რომ „არა ვიხილე მართალი დაგდებულ, არცა თესლი მისი მთხოველ პურისა“[2].

უამრავი რამ ვიცით თეორიულად და, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ ჩვენი შეზღუდული შესაძლებლობებით ღვთის განგებულების განჭვრეტა და გაგება არ შეგვიძლია.

პანდემიის პირობებში დაინფიცირების შიშმა ჩვენი თეორიული ცოდნა ფქვილივით გაცრა ჩვენი რწმენის საცერში და დარჩა ის, რაც დარჩა – ჩვენ ცოტა რამ ვიცით იმის შესახებ, რაც ჩვენ გარშემო ხდება. ვირუსისგან თავის დასაცავად გავიკეთეთ ნიღბები, ფარები, სათვალეები, ხელთათმანები, ვრეცხეთ, რისი გარეცხვაც შეიძლებოდა, პურის ჩათვლით და ეს ყველაფერი დავამსგავსეთ ბნელ ოთახში შავი კატის ძებნას.

თუმცა ნიღბის, სათვალის, ხელთათმანის იმედზე დარჩენილებს... გვიშველა ღმერთმა.

№26

თბილისის წმინდა გიორგის სახელობის სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლის ანა კაპანაძის ნახატი „ანგელოზები ქალაქის თავზე“

[1] ფსალმ. 13, 1.
[2] ფსალმ. 36, 25.

P.S. პანდემიის დროს ჩვენი განსაკუთრებული საზრუნავი ბავშვები გახდნენ, რადგან სკოლასა და სხვა აქტიურ ურთიერთობებს მიჩვეულები სახლში კომპიუტერისა და დისტანციური გაკვეთილების ამარა დარჩნენ. ჩვენი ჟურნალის ყდაზე ანა კაპანაძის ნახატი ბავშვების მიმართ ჩვენი მხარდაჭერის გამოხატულებაა. ვუერთდებით ანას სურვილს და გვჯერა, რომ უფლის ნებით ადამიანები გაუმკლავდებიან ამ განსაცდელს.

ალავერდი

იბეჭდება
აბბა ალავერდელ
მიტროპოლიტ დავითის
ლოცვა-კურთხევით

რედაქტორი
ქეთევან ღოღობერიძე

სარედაქციო კოლეგია:
ნანა ბურჭულაძე
თემურ გაბუნია
მანანა კარტოზია
ელზა ნაბახტეველი

ტექნიკური რედაქტორი
მაკა ცომაია

კონცეფცია და დიზაინი
პაატა ნაცვლიშვილი

გარეკანის მე-4 გვერდზე
აბბა ალავერდელ
მიტროპოლიტ დავითის
ხელნაწერი

ISSN 1512-4126

გთხოვთ,
გაუფრთხილდეთ
ჟურნალს მასში
გამოქვეყნებული
მასალების გამო

მისამართი:
თბილისი, გურიელის ქ. 37
ელ. ფოსტა:
magazine.alaverdi@gmail.com
natlismcemeli@gmail.com
ტელ.: 595 76 78 98

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
CEZANNE
PRINTING HOUSE

შინაარსი

რედაქტორის გვერდი

საღდგომო ეპისტოლე 3
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ისა

ქადაგება 8
წარმოთქმული აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის მიერ ალავერდის წმინდა გიორგის ტაძარში

პოზიცია 12
ცოდვა – პანდემია, რომელიც უცილობლად კლავს

განსჯისათვის 19
თბილისური თეთრი ღამეები

იუბილე 22
მეუფე დავითი – 60

თარიღი 144
ერეკლე მეფე

„წმიდათა თანა განუსვენე...“ 148
რამაზ პატარიძე
მაია ჯავახიშვილი

ახალი თარგმანი 150
საღვთო ლიტურგიის დროს მიღებული გამოცდილება

წმინდანი 158
ღირსი იოსებ ისიხასტი

ვენახი ჭეშმარიტი 160
ყველაფერი განსჯით აკეთე, კეთილი რჩევის შემდეგ

ბოლოთქმა 162

საადღგომო ეპისტოლე

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ისა

დღეს სასოება წვიმს ქვეყანასა ზედა, ხარობს ეკლესია და მისი შვილნი... გამოვიდა სიძე ჯოჯოხეთიდან, მკვდრეთით აღდგა ძლიერებით შემოსილი, ტყვენი ცოდვისანი განათავისუფლა და მაცხოვნებლად კაცთა გამოჩნდა, – გიხაროდეთ!

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო:

ქრისტე აღდგა!

დღეს სასოება წვიმს ქვეყანასა ზედა, ხარობს ეკლესია და მისი შვილნი... გამოვიდა სიძე ჯოჯოხეთიდან, მკვდრეთით აღდგა ძლიერებით შემოსილი, ტყვენი ცოდვისანი განათავისუფლა და მაცხოვნებლად კაცთა გამოჩნდა, – გიხაროდეთ!

მისი ძალის დაფარვა სურდათ და ვერ შეძლეს, მისი სიმართლის დამცირება უნდოდათ და ვერ მოახერხეს, ვერაგობა განიზრახეს და ჭეშმარიტების გამობრწყინვებით გაწბილდნენ[1], რადგან

ქრისტე აღდგა!

აქებდით მას მართალნი ქვეყანისანი, – მთავარნი და მსაჯულნი, ჭაბუკნი და ქალწულნი, ძლიერნი და უძლურნი, მოხუცებულნი ყრმათა თანა... ყოველი სული აქებდით უფალსა[2].

რა არის ამ საყოველთაო სიხარულის მიზეზი?

ვიცით, რომ შემოქმედისაგან და სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე სამოთხისაგან ჩვენს პირველმშობელთა განდგომამ როგორც ადამიანებისათვის, ისე მათდამი, ღვთის განგებით, დაქვემდებარებული მთელი ხილული სამყაროსათვის, შედეგად მოიტანა ხრწნადობა, რადგან შემოხდა სოფლად ცოდვა და მასთან ერთად სიკვდილი.

ცოდვაც და სიკვდილიც ბოროტების გამოვლინებაა და დაცემის შედეგი. მათი ბატონობა ათასწლეულთა მანძილზე გაგრძელდა, ვიდრე ამქვეყნად არ მოევლინა ძე ღვთისა, რომელმაც თავის ადამიანურ ბუნებაში დაამარცხა კაცთა ყველა ნაკლოვანება, ყველა ცოდვის მიზეზი და პიროვნული სრულყოფილებით მოკლა სიკვდილი;

მან მთელი ქვეყნიერება სიცოცხლისაკენ შემოაბრუნა და თითოეულ ჩვენგანს გამოუწოდა ხელი დახმარებისა, რომ ჩვენც შევძლოთ ჩვენს პიროვნულ ცოდვათა დაძლევა, საღვთო მადლის შეძენა და სიკვდილზე გამარჯვების მოპოვება.

მაცხოვარმა ჩვენს ყოფას სხვა აზრი მისცა. მანამდე ნებისმიერი ადამიანი სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთში მიდიოდა, მათ შორის, ძველი აღთქმის

[1] წმ. იოანე მთავარეპისკოპოსი.

[2] ფსალმ. 148, 11-12; 150, 6.

ქრისტიანი ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც კი იმქვეყნიური მარადიული სიცოცხლის მოლოდინითაა აღსავსე... მისი ცხოვრება არ არის სწორხაზოვანი. ამ გზაზე ბევრია განსაცდელი, შეცდომა, დაცემაც, მაგრამ თუ არის ჭეშმარიტი რწმენა და მონდომება, სურვილი წინსვლისა და განწმენდისა, გამარჯვება აუცილებლად მიიღწევა.

წმინდანნიც. აღდგომის დღემ კი გამორჩეული ბრწყინვალება შესძინა ჩვენს ყოველ სათნო სიტყვასა და აზრს, ყოველ კეთილ საქმესა და მოქმედებას, სხვა სიმაღლეზე ავიდა სათნოებანი და ყოველივე ეს ჩვენს საგზლად იქცა ღვთის წინაშე.

ამიტომაც, ქრისტიანი ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც კი იმქვეყნიური მარადიული სიცოცხლის მოლოდინითაა აღსავსე. ესწრაფვის რა სიკვდილის დამარცხებასა და ღმერთთან მარადიულ მყოფობას, ცდილობს, წუთისოფელში დასძლიოს ყოველივე ის, რამაც კაცთა მოდგმაში ხრწნილება დათესა და წუთისოფელი დაამძიმა და დაამახინჯა.

ქრისტიანის ცხოვრება არ არის სწორხაზოვანი. ამ გზაზე ბევრია განსაცდელი, შეცდომა, დაცემაც, მაგრამ თუ არის ჭეშმარიტი რწმენა და მონდომება, სურვილი წინსვლისა და განწმენდისა, გამარჯვება აუცილებლად მიიღწევა.

ამიტომაც ქრისტესთან, მეორე ადამთან, მეორედ შობით (ნათლობით) დაკავშირებული პიროვნება კვლავაც საჭიროებს ცოდვათაგან გათავისუფლებას და სულიერ შეწევნას, რაც ეკლესიაში ხორციელდება.

ტაძარი როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში არის განსაკუთრებული ადგილი ღვთის მყოფობისა, ღვთის მეუფების ქადაგებისა; ქრისტეს ეკლესია კი, სასულიერო პირებთან და მრევლთან ერთად, ქრისტეს მისტიკური სხეულია; ეს ერთი მთლიანობაა, რომლის თავიც თვით უფალია.

აღსარებისა და წმინდა ზიარების გარეშე ადამიანი ცათა სასუფეველს ვერ მიაღწევს და ვერ დაიმკვიდრებს, რადგან ცოდვასა და სიკვდილს მარტო ვერ სძლევს და ვერც მარადიული სიცოცხლის ნეტარებით აღივსება.

აქ აღსრულებული ყოველი ჟამისწირვა არის წარმოჩენა მაცხოვრის ამქვეყნად შობისა და ცხოვრებისა, ჯვარცმისა და აღდგომისა, ამაღლებისა და მეორედ მოსვლისა; უსისხლოდ ძღვნის შემწირველ მოძღვრებთან ერთად მრევლიც ყოველ ლიტურგიაზე ამ მოვლენების თანაზიარი ხდება და ღმერთთან მიახლების საშუალება ეძლევა, განსაკუთრებით კი, – წმინდა ზიარებით.

ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი ეს უდიდესი საიდუმლო თვით მაცხოვარმა დაგვიდგინა ვნების ხუთშაბათს.

წმინდა ზიარება არის ზეციური საკვები, არა წარმოსახვითი ან სიმბოლური, არამედ ჭეშმარიტი ხორცი და სისხლი ქრისტესი, რომელიც მოგვეცა ჩვენი სულისა და ხორცის განსაკურნებლად.

მისი უღირსად მიმღებნი სასჯელს განიკუთვნებენ, ხოლო გულწრფელად მონანულნი და სასულიერო პირის წინაშე თავის უძლურებათა დაუფარავად მაღიარებელნი აღივსებიან მადლით, რომელიც უჩვეულოდ ზრდის ჩვენს შინაგან სამყაროს, ჩვენს გულსა და გონებას და შეეწევა ფიზიკურ ძალებს.

მისი წინასახე ძველ აღთქმაში იყო ზეციური მანანა.

როგორც ცნობილია, იგი ებრაელთა ერს, ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ, რწმენაში განსამტკიცებლად ღვთისაგან საკვებად ყოველდღიურად ეძლეოდა; რომ არ ყოფილიყო ზეციური მანანა, 40 წლის მანძილზე ყამირ და მოუსავლიან გზებზე მავალი ამდენი ხალხი ფიზიკურად ვერ გადარჩებოდა.

როგორც მანანას გარეშე რჩეული ერი წმინდა მიწამდე ვერ მიაღწევდა და იქ ვერ დაემკვიდრებოდა, ისე აღსარებისა და წმინდა ზიარების გარეშე ადამიანი ცათა სასუფეველს ვერ მიაღწევს და ვერ დაიმკვიდრებს, რადგან ცოდვასა და სიკვდილს მარტო ვერ სძლევს და ვერც მარადიული სიცოცხლის ნეტარებით აღივსება.

ამიტომაც ბრძანებს უფალი: „მე ვარ პური სიცოცხლისა, თქვენმა მამებმა ჭამეს მანანა უდაბნოში და მოკვდნენ, ხოლო მე ვარ ცოცხალი პური, რომელიც ზეციდან გარდამოვედი... პური, რომელსაც მე გავცემ, ჩემი სხეულია, რომელსაც ქვეყნიერების სიცოცხლისთვის გავ-

ცემ... ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად, გეუბნებით თქვენ, თუ არ შეჭამთ კაცის ძის ხორცს და არ შესვამთ მის სისხლს, არ გექნებათ სიცოცხლე თქვენში... ჩემი ხორცის მჭამელი და ჩემი სისხლის შემსმელი ჩემში რჩება და მე მასში"[1].

ეს საკვირველი სინამდვილე ყოველ წირვაზე აღესრულება და მაცხოვარი, რომელმაც „ერთგზის შესწირა თავი ჩვენთვის... და მარადის დაიკვლის განმწმენდელად მიმღებელთა თვისთა", რათა შთაჰბეროს სული ცხოველი ამაღორძინებელი და ზეცასთან დამაკავშირებელი.

იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის შემდეგ მართალთათვის სიკვდილის საკვრელნი აღარ არსებობს. ამ დღეს მაცხოვარმა თავად მოიხილა ჯოჯოხეთი და იქიდან ამოიყვანა ადამი და ევა, ასევე სხვადასხვა დროს გარდაცვლილ ძველაღთქმისეულ მართალთა სულნი და ღვთის საუფლოში დაამკვიდრა ისინი. რაც შეეხება ახალი აღთქმის მართალთ, ანუ ღვთისსათნო ქრისტიანებს, ისინი გარდაცვალებისთანავე სრულიად ახალ, მადლითა და სიხარულით სავსე ცხოვრებას იწყებენ უფლის სავანეებში.

„ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად, გეუბნებით თქვენ: ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს, და სწამს იგი, ვინც მომავლინა, აქვს საუკუნო სიცოცხლე და არ წარუდგება სამსჯავროს, არამედ გარდაიცვალება სიკვდილიდან სიცოცხლეში"[2], – ბრძანებს მაცხოვარი.

თუმცა სრული ნეტარებისათვის და დაცემამდელი მდგომარეობის აღდგენისათვის აუცილებელია სულმა თავისი სხეულიც შეიმოსოს.

ჩვენ ვიცით, რომ „როგორც ქრისტემ აღადგინა თავისი თავი, ასევე აღადგენს ყველა მისიანს"[3], ოღონდ მეორედ მოსვლის შემდეგ და ეს ჟამი ყველასათვის ერთდროულად დადგება; პირველმშობლების დროიდან მოყოლებული, ვიდრე ქვეყნის აღსრულებამდე მყოფნი ღვთისსათნო სულნი სულიერ სხეულს შეიმოსავენ და სრული სიხარულით ყველა ერთად განიხარებს[4]; ცოდვილნიც შეიმოსავენ უხრწნელ სხეულს, ოღონდ მარადიული ტანჯვისათვის.

საყოველთაო აღდგომით, ვიბრუნებთ რა უკვდავ ცხოვრებას, ვიძენთ სრულყოფილ ერთობას ჩვენს ახლობლებთანაც, რომელთანაც სიკვდილმა გაგვყარა, ვიძენთ სრულყოფილ კავშირს ღმერთთან და წმინდანთა დასთან.

ამიტომაც ბრძანებს იესო ქრისტე: „ჩემი ხორცის მჭამელს და ჩემი სისხლის შემსმელს (ანუ ზიარებით მადლის მიმღებს) საუკუნო სიცოცხლე აქვს და მე მას აღვადგენ უკანასკნელ დღეს... და ამ პურის მჭამელი უკუნისამდე იცოცხლებს"[5].

ასეთი ენით გამოუთქმელი საღვთო სიხარული მოგვანიჭა აღდგომის დღემ და იქცა იგი ჩვენთვის დღესასწაულთა დღესასწაულად, ზეიმთა ზეიმად;

ყოველი კვირა დღეც მის სიხარულს ატარებს და ცისკრის ჟამზე მონაცვლეობით იკითხება აღდგომასთან დაკავშირებული 11 ამონარიდი ოთხი სახარებიდან. ამასთან, აღდგომის ზეიმის განსაკუთრებულობა განსაზღვრავს მთელი წლის მოძრავი საეკლესიო დღესასწაულების ციკლს.

განახლებისა და გადარჩენის, სიცოცხლისა და სიხარულის, იმედისა და ღმერთთან მშვიდობის მომტან ამ დიდებულ დღეს, რა თქმა უნდა, უფერულდება ის განსაცდელიც, ამჟამად ჩვენი ქვეყანა და მსოფლიო რომ მოუცავს და ყველას ასე აშფოთებს.

უცნაური ვითარება შეიქმნა, ადამიანები, ერთი მხრივ, გაერთიანდნენ სიცოცხლისათვის საშიში საერთო საფრთხის წინააღმდეგ და, ამავე დროს, ჩაიკეტნენ თავის ქვეყანაში, თავის ქალაქსა

[1] იოან. 6. 48, 58.

[2] იოან. 5, 24.

[3] 1 კორ. 15, 23.

[4] ებრ. 11, 40.

[5] იოან. 6. 56, 58.

უცნაური ვითარება შეიქმნა, ადამიანები, ერთი მხრივ, გაერთიანდნენ სიცოცხლისათვის საშიში საერთო საფრთხის წინააღმდეგ და, ამავე დროს, ჩაიკეტნენ თავის ქვეყანაში, თავის ქალაქსა თუ სოფელში, თავის სახლში. მათ დაფიქრების საშუალება მიეცათ და აღმოაჩინეს ის რეალობა, რომ აზრი დაკარგა ბევრმა რამემ, რაც გუშინ დიდად მნიშვნელოვნად მიაჩნდათ.

ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს განსაცდელის, ქრისტიანი პრობლემებს მადლიერებით იღებს და ყველაფერში ღვთის ხელს ხედავს, მასზე სასოებს, მისით ხარობს და, ამასთან, ცდილობს გამოძებნოს სწორი გამოსავალი არსებულ ვითარებაში.

[1] **გვ. 314-315.**

რწმენა ქვაკუთხედია ჩვენი არსობისა და განსაზღვრავს ჩვენი აზროვნებისა და ცხოვრების წესს... რწმენას უდიდესი ძალა აქვს და სულ სხვა შესაძლებლობებს ავლენს ადამიანში.

თუ სოფელში, თავის სახლში. მათ დაფიქრების საშუალება მიეცათ და აღმოაჩინეს ის რეალობა, რომ აზრი დაკარგა ბევრმა რამემ, რაც გუშინ დიდად მნიშვნელოვნად მიაჩნდათ. სამაგიეროდ, წინა პლანზე წამოიწია ისეთმა მიმართულებებმა, რასაც ადრე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამასთან, სახელმწიფოებმა თვითუზრუნველყოფის საჭიროება დაინახეს და სხვაზე დამოკიდებულის მდგომარეობა წამგებიანი გახდა.

ყველა ქვეყნისათვის, და მათ შორის საქართველოსათვის, პირველი რიგის ამოცანად იქცა ადგილობრივი წარმოებისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება.

უნდა ითქვას ისიც, რომ ახალი ვირუსის პრობლემამ პლანეტის მოსახლეობის უდიდეს ნაწილში დიდი შიში დანერგა და მათი მზერა ღვთისაკენ მიმართა.

ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს განსაცდელის, ქრისტიანი პრობლემებს მადლიერებით იღებს და ყველაფერში ღვთის ხელს ხედავს, მასზე სასოებს, მისით ხარობს და, ამასთან, ცდილობს გამოძებნოს სწორი გამოსავალი არსებულ ვითარებაში.

გავიხსენოთ წმ. გრიგოლ პალამას სიტყვები მრევლისადმი: „ამის წინ მრავალი საშიშროება შეგვემთხვა, მერე გაგვასახლეს და თავს დაგვატყდა სენიც, ყველა საშინელებაზე უფრო საშინელი; ქრისტეს მშვიდობით აღვსილნი მაშინაც მხოლოდ ჩვენ ვზეიმობდით ყველასგან დევნილნი... და ტანჯვა-წამების თითოეული ადგილი ჩვენთვის იქცა სადღესასწაულო სივრცედ.

ჩვენი ძმების უმრავლესობა, ზეაღმატებული სიყვარულისა და ძმათმოყვარეობის გამო, თავს არ ზოგავდა, უშიშრად ემსახურებოდა სნეულებს. მრავალი მათგანი, ვინც ავადმყოფებს უვლიდა და სხვებს განამტკიცებდა, თვითონაც დასნეულდა და გარდაიცვალა. ამგვარად ტოვებდნენ მიწიერ ცხოვრებას ჩვენ შორის საუკეთესონი. ღვთისმოსაობისა და რწმენის გამო ასეთი აღსასრული მოწამეობაზე ნაკლები როდია“[1].

ამგვარი სულისკვეთება ქრისტიანისათვის ახლობელია; თუმცა, რა თქმა უნდა, სიფრთხილეც გვმართებს, რომ არ განვცადოთ უფალი; ამასთან, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მისი ნების გარეშე ჩვენი თმის ერთი ღერიც არ დავარდება, მით უმეტეს, ჩვენი სიცოცხლეც და გარდაცვალებაც უფლის ხელშია. მთავარია, შევინარჩუნოთ ზომიერება, სულის სიმშვიდე და ღმერთთან სიახლოვის სიხარული. ეს კი ლოცვით და, რაც ყველაზე მთავარია, ღმერთთან სწორი პიროვნული დამოკიდებულებით, – ანუ რწმენით მიიღწევა.

რწმენა ქვაკუთხედია ჩვენი არსობისა და განსაზღვრავს ჩვენი აზროვნებისა და ცხოვრების წესს. იგი ღვთით უნდა მოგვეცეს და მოგვეცემა კიდეც, თუ მოვინდომებთ და ვიღვაწებთ. შევნიშნავთ იმასაც, რომ არ არის სწორი, მორწმუნე ნაწილმა ურწმუნონი (ან მცირედმორწმუნენი) დაადანაშაულოს და პირიქით.

რწმენას უდიდესი ძალა აქვს და სულ სხვა შესაძლებლობებს ავლენს ადამიანში; გავიხსენოთ სახარება, როდესაც გალილეის ზღვაზე იესო გამოეცხადა მოციქულებს, უფლის მოწოდებაზე, – მასთან მისულიყო, პეტრეს ისეთი რწმენა დაეუფლა, რომ წყალზე, როგორც ხმელეთზე, ისე გაიარა, მაგრამ როგორც კი ეჭვი შეეპარა თავის შესაძლებლობებში და შეშინდა, მაშინვე დანთქმა დაიწყო, თუმცა, თხოვნის გამო, უფალმა იგი ისევ შეიწყალა და რწმენაში გააძლიერა.

გავიხსენოთ ისიც, განკურნების მთხოვნელს უფალი ეკითხება: სწამს თუ არა, რომ შესაძლებელია იმის აღსრულება ღვთისგან, რასაც ითხოვს და როცა იღებს დადებით პასუხს, დასძენს: „სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ“. ამიტომაც გვარიგებს მოციქული: „ყველა-

ფერს, რასაც ლოცვაში რწმენით ითხოვთ, მიიღებთ“[2].

მთელი წმინდა წერილი რწმენაზეა დაფუძნებული და აქ აღწერილი ამბებიც ურწმუნოებაზე რწმენის გამარჯვებას გვამცნობს, ოღონდ „ქრისტეში ძალა აქვს სიყვარულით მოქმედ რწმენას“[3]; და „მკვდარია რწმენა საქმეთა გარეშე ისევე, როგორც სხეული სულის გარეშე“[4].

„ჩვენ ღირსებით უნდა ვიდგეთ რწმენაში, სიყვარულსა და მშვიდობაში გონიერებით“[5] და ვეცადოთ, შევინარჩუნოთ „სულის ერთობა მშვიდობის საკვრელით“[6]; ამასთან არ უნდა შევშინდეთ და „ყველაფერში ავიღოთ სარწმუნოების ფარი, რითაც შევძლებთ ბოროტების გახურებულ ისართა დაშრეტას“[7], „სარწუნოების გარეშე კი შეუძლებელია ღმერთს სათნო ვეყოთ“[8].

მადლობა უფალს, საქართველოში მრევლთან ერთად ტაძრებში წირვა-ლოცვა არ შეჩერებულა არც აღდგომის ღამეს. ღვთის შეწევნით, ექიმების დახმარებით, ხელისუფლების ქმედებებით და მოსახლეობის პასუხისმგებლობით პანდემიას ჩვენთან დიდი პრობლემები არ მოჰყოლია. ინებოს ღმერთმა, სირთულეები არც შემდგომში შეიქმნას და საქართველოც და მსოფლიოც იხსნას ამ განსაცდელისაგან.

არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო ჩვენს მრევლს, რომელიც წესრიგის გამორჩეული დაცვით და რეკომენდირებული ნორმებით სიცივეში, ქარში, წვიმაში არ ერიდებოდა მსახურებაზე ღია ცის ქვეშ საათობით დგომას.

აღდგომილმა მაცხოვარმა დაგლოცოთ და გაგახაროთ, ღმერთმა დალოცოს თქვენი ოჯახები.

მინდა, ასევე დავლოცო ის მორწმუნენი, ხანდაზმულნი და უძლურებაში მყოფნი, რომელნიც სახლებიდან ჩვენთან ერთად ლოცულობდნენ და ლოცულობენ.

ვლოცავთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას.

ვლოცავთ უცხოეთში მყოფ ჩვენს სასულიერო პირებსა და თანამემამულეთ; იცოდეთ, მანძილის სიდიდე და საზღვრები ჩვენ ვერ დაგვაშორებს, ჩვენ ვლოცულობთ თქვენთვის, თქვენ ლოცულობთ ჩვენთვის და ჩვენ ერთად ვართ.

ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ასევე ვულოცავთ ბერძნებს, უკრაინელებს, რუსებს, სომხებს, ებრაელებს, აზერბაიჯანელებს, უდინებს, იეზიდებს, ქურთებს, ინგუშებს, ჩერქეზებს, ჩეჩნებს, ლეკებს, ყოველ მკვიდრს საქართველოისა და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ.

ვულოცავთ ყველა ქრისტიანს და ქრისტეს ყველა მადიდებელს.

ვიხარებდეთ უფლისა მიმართ და ვიშვებდეთ, ერნო, გულის კარი გავუღოთ უფლისმიერ ბედნიერებას და უშიშრად ვიქადოდეთ უძლურნი ძლიერებასა მისსა, მდაბალნი, – მის მიერ ამაღლებასა, ჩაგრულნი, – სამართალსა, მოკვდავნი, – უკვდავებასა.

დღეს ამქვეყნად მყოფნი მორწუენი და მარადიული ნეტარების მკვიდრნი მართალნი ერთად ვხარობთ და ვმადლობთ დაუსაბამოსა მამასა ღმერთსა, თანადაუსაბამოსა სიტყვასა ძესა და სულსა წმინდასა;

ვმადლობთ ყოვლადწმიდასა ღვთისმშობელსა და ვღაღადებთ:

ქრისტე აღდგა!
ჭეშმარიტად აღდგა!

საქართველოვ, ძალიან მიყვარხარ!

სიყვარულით
თქვენთვის მლოცველი
ილია II
თბილისი, 18.04.2020 წელი

[2] მათ. 21, 22.

[3] გალ. 5, 6.

[4] იაკ. 2, 26.

[5] 1 ტიმ. 2, 15.

[6] ეფეს. 4, 3.

[7] ეფეს. 6, 16.

[8] ებრ. 11, 6.

მთელი წმინდა წერილი რწმენაზეა დაფუძნებული და აქ აღწერილი ამბებიც ურწმუნოებაზე რწმენის გამარჯვებას გვამცნობს.

წარმოთქმული
აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის
მიერ ალავერდის წმინდა გიორგის ტაძარში

დღეს ჯვრის თაყვანისცემის კვირას აღვნიშნავთ; პატიოსან ჯვარს თაყვანს ვცემთ და ვიხსენებთ ეკლესიის ისტორიას. სასიხარულოა, რომ სწორედ დღეს მორწმუნეთა სიმრავლეა ტაძარში; მით უფრო, ამ ვითარებაში, როდესაც სიფრთხილის ზომებს ვიცავთ კორონავირუსის გავრცელების გამო, რეკომენდაციებს ვასრულებთ, მაგრამ ჩვენს მთავარ მოვალეობას არ ვივიწყებთ. დიდი მარხვის დღეებია და თითქოს ბუნებრივია ტაძარში მრევლის სიმრავლე, თუმცა მრავალი დაბრკოლების გადალახვა გიწევთ, რომ შეძლოთ ლოცვაზე მოსვლა. მორწმუნეთა სიმრავლე არ არის გადამწყვეტი იმისთვის, რომ საღვთო საიდუმლო აღსრულდეს. სახარება გვასწავლის, თუკი ღვთის სახელით ორი ან ორზე მეტი კაცი შეიკრიბება, უფალი იქ მყოფობს. ვმადლობთ ღმერთს, რომ უფლის სახელით შევიკრიბეთ და უფალი სუფევს ჩვენ შორის.

საღვთო კანონი ასეთია – განსაცდელს სულიერი სიხარული მოსდევს. ჩვენც მხნედ და თავმდაბლად უნდა გავიაროთ ეს განსაცდელი. ხალხური სიბრძნეც გვასწავლის, ზოგი ჭირი მარგებელიაო. თითოეული ჩვენგანის, მორწმუნისა თუ ურწმუნოს ყურადღება მიპყრობილია იმ ფაქტისადმი, როგორ ვრცელდება ვირუსი, როგორ ქცევის ნორმას გვიწესებენ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები და ა.შ. ქრისტიანები, ქრისტეს მოყვარე ადამიანები, ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში განსაკუთრებულ ხასიათს ავლენენ. ისინი არ უფრთხიან განსაცდელს, თუმცა სიფრთხილესა და ზომიერებას იჩენენ. ჩვენ მხოლოდ ჩვენი ცოდვა გვაშინებს, ის, რომ ჩვენი საქციელი შეუნანებელი არ დარჩეს. განსაცდელს ვუყურებთ, როგორც ჩვენი ცოდვების ნაყოფს, ღვთისგან მოვლენილ მწარე წამალს, ქინაქინას, რომელსაც მორჩილებით ვიღებთ. ღვთის მოიმედენი სასოებით ვევედრებით უფალს, რომ მოგვცეს მშვიდობა, აკურთხოს ჩვენი ყოფნა ამ წუთისოფელში მშვიდობით. გვაქვს ღვთის შეწევნისა და მოწყალების იმედი, რომ ჩვენი ლოცვის სიტყვებს მოისმენს და შეიწყნარებს.

დღეს წაკითხული სახარება ვენახთან დაკავშირებულ იგავს შეგვახსენებდა. ეს იგავი საოცრად საგულისხმო ისტორიას ჰყვება ვენახის პატრონისა და მევენახეების შესახებ. უნდა ვიცოდეთ: უფალი არის მთავარი მევენახე, სავენახე – დედამიწაა, მუშაკნი კი ჩვენ ვართ, რომლებსაც მცნება დაგვიდო და გვასწავლა, როგორ გვეცხოვრა. როგორი გულმოწყალეა ღმერთი, რომ პირველი ჟამის და ბოლო ჟამის მუშაკს ერთნაირ ჯილდოს, გასამრჯელოს აძლევს. თავი არ უნდა ავიმაღლოთ მათზე, ვინც ითხოვს ეკლესიების დახურვას. დღეს ვინც ტაძარში დგას, აღსარებას ამბობს და ეზიარება, თავმოწონებამ არ უნდა შეიპყროს. ხვალ იქნებ ღმერთმა ისე განაგოს, რომ ბოლო ჟამის მუშაკებად დაუძახოს მათ და წინანი უკან აღმოჩნდნენ და უკანანი კი წინ. ამიტომ, არც გაბრაზება გვმართებს. მით უფრო, რომ უფალი გვასწავლის, აკურთხევდით და ლოცავდით მაწყევართა თქვენთა. ძვირისმახსოვრობასაც უნდა ვძლიოთ, რად-

გან ვინც რას აკეთებს, თავის სულს უკეთებს. ვინც რას იტყვის, თავისი სიტყვისთვის პასუხისგება მოუწევს ღვთის წინაშე. ჩვენი სიტყვა გაგვამართლებს და ჩვენივე სიტყვით, შესაძლოა, დავისაჯოთ. ამიტომ, რაც დღეს ხდება, მაგალითად, საგანგებო მდგომარეობა, ღვთით დაშვებული გამოცდაა ჩვენი სულიერი სიმტკიცის, სიმაღლის, ერთმანეთისადმი სიყვარულის გამოსავლენად. მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის. ეს განსაცდელი ქრისტიანებს ვერაფერს დააკლებს.

დღეს ეკლესია ასევე იხსენებს ორმოც სებასტიელ მოწამეს. როგორია მათი ცხოვრება და მოწამეობა, ყველამ კარგად იცით. ერთს გავიხსენებ მხოლოდ. ბასილი დიდი წერს, ტბა ისეთი ცივი იყო, რომ სებასტიელ აღმსარებლებს სიცივისა და ყინვისგან სხეულზე კუნთები უსკდებოდათ, ძარღვები ეხლიჩებოდათ, მაგრამ საყვედრებელი სიტყვა არ დასცდენიათ, პირიქით, ღმერთს ადიდებდნენ და ევედრებოდნენ, მათი ლოცვა შეესმინაო. ღმერთმა გაყინული ტბის წყალი გაათბო და ქრისტესთვის თავგანწირულნი ანუგეშა. საოცარი ის არის, რომ ვინც იქ მცველად იდგა, მან მოწამეების თავს ზემოთ ორმოცი გვირგვინი დაინახა. ისიც დაინახა, რომ ერთი სულმოკლე აღმოჩნდა, დატოვა ქრისტესმიერი ძმები, გაყინული ტბა და იქვე, საცდუნებლად დანთებული ცხელი აბანოსკენ გაიქცა, მაგრამ კართან მისული უსულოდ დაეცა. ამის მხილველმა მცველმა შესძახა: მეც ქრისტიანი ვარ! განიძარცვა სამოსელი და სებასტიელების გვერდით დადგა. სხვისთვის განმზადებული გვირგვინი მან მიიტაცა.

დღევანდელი განსაცდელი ქრისტიანებს უფრო მეტს გვავალდებულებს; თუკი მშვიდობიანობის დროს უფალი ამბობს, არ განვიკითხოთ, ცილი არ დავწამოთ, არც სიბრაზით ავივსოთ, მით უფრო დღეს გვმართებს სიფრთხილე, რომ არ ვცოდოთ. ეკლესია, ღვთის წინამძღოლობით, ჰგიეს ქვეყნის აღსასრულამდე, იგი არასოდეს დაირღვევა. უნდა ვიცოდეთ, ქრისტიანების ამქვეყნად ყოფნა, ლოცვა და ღვაწლი ის მარილია, რომელიც გახრწნისგან იცავს სამყაროს. როგორც მარილი ინახავს პროდუქტს გაფუჭებისგან, ისე ქრისტიანთა სულიერი შრომა, მართლმადიდებლების რწმენა დედამიწას იცავს, რომ ცოდვას მადლი გარდაემატოს. ქრისტიანებს ცხოვრების სხვაგვარი წესი გვაქვს, ქრისტიანები ყოველთვის გამორჩეულები ვართ, ეკლესიის წმინდა გარდამოცემისა და სწავლების მატარებელნი. ჩვენ მიწაზე ვმკვიდრობთ, მაგრამ ჩვენი მოქალაქეობა ზეციურია, არ ვეურჩებით დადგენილ კანონებს, მაგრამ ჩვენი ცხოვრების წესით კანონებზე ვიმარჯვებთ – მოთმინებითა და თავმდაბალი მუშაკობით. ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ შფოთისთავნი. მოციქული ამბობს, რომ ყოველი ხელმწიფება ღვთით დადგენილია. ვცდილობთ, ვიყოთ მორჩილები, მაგრამ თუ ეს რწმენას შეეხება, იქ ყოველთვის აღმსარებელნი ვართ. ამიტომაც, დღეს ძალიან მიხარია, ტაძრებში ბევრი მორწმუნე რომ არის, ალბათ, ასე იქნება სხვა დღესასწაულებზეც. მაგრამ, ერთი უნდა ვიცოდეთ – ეს ყველაფერი მოგვეცა არა იმისთვის, რომ თავი მოვიწონოთ, არამედ იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტად გავფრთხილდეთ. და რატომ? სული მტკიცეა და მხნე, ხორცი უძლურია, ხორცს სძულს სული, მაგრამ სული მას ჰყვარობს, ამხნევებს, ამტკიცებს და ღვთისკენ, სულიერი ღვაწლისთვის მოუწოდებს.

გავიხსენოთ ეპისტოლე დიოგნეტესადმი: „ქრისტიანებს უყვართ ყველანი და ყველასაგან იდევნებიან, შეურაცხყოფენ მათ, სჯიან და კლავენ, ისინი კი სიცოცხლით აღივსებიან; გლახაკნი

არიან და მრავალს განამდიდრებენ, ყველაფერი აკლიათ და უხვად აქვთ ყოველივე, უპატიო-ყოფენ მათ და უპატიობით იდიდებიან; ბრალს სდებენ მათ და ისინი მართლდებიან, აძაგებენ, ისინი კი აკურთხებენ; შეურაცხყოფენ, ისინი კი პატივს მიაგებენ, კეთილს იქმან და ისჯებიან, როგორც ბოროტნი, დასჯილნი კი იხარებენ, თითქოს მათ სიცოცხლეს ანიჭებენ. უცხოტომელთა მსგავსად ებრძვიან მათ იუდეველნი, ელინები კი დევნიან, თუმცა მიზეზად მტრობისა მოძულენი ვერას ამბობენ“.

ისევე, როგორც დღეს, რატომ ითხოვენ ეკლესიის დახურვას – იმიტომ, რომ ინფექცია გავრცელდება? იქნებ სხვა ინფექცია სხვაგან უფრო ვრცელდება?! ერთი კოვზით ზიარება, პირიქით, ღვთისგან მოცემული ჯილდოა, ოღონდ თითოეული ქრისტიანი, რომელიც საზიარებლად მოდის, თავად არის მომთხოვნი და კეთილსინდისიერი თავისი თავის მიმართ, მოყვასის მოყვარული და მასზე მზრუნველი; ის არ მისცემს თავს უფლებას, რომ უღირსებით მიეახლოს ამ სიწმინდეს. „მარტივად რომ ვთქვათ, რაც არის სული სხეულში, ქრისტიანებიც იგივე არიან ამ სამყაროში და როგორც სული განეფინება სხეულის ნაწილთა შორის, ასევე ქრისტიანებიც – ქვეყნიერების ქალაქებში. სული თუმცა ხორცში მკვიდრობს, არ არის ხორცისაგან, ქრისტიანებიც თუმცა ამქვეყნად სახლობენ, ამქვეყნისანი არ არიან. უხილავია სული, ხილულ სხეულში შეკრძალული; ქრისტიანებიც თუმცა ამქვეყნად იმყოფებიან, უხილავად არსებობს მათმიერი ღვთისმსახურება; სძაგს სული სხეულს და ებრძვის მას, თუმცა ვერაფერს აკლებს, რადგანაც სული სიამეთაგან განაკრძალებს თავს. ქრისტიანებიც სძაგს ქვეყნიერებას, მაგრამ ვნებას ვერ მოაწევს მათზე, რადგანაც ისინიც განუდგებიან სიამეებს. უყვარს სულს მისი მოძულე სხეული და სხეულის ნაწილები. ქრისტიანებსაც უყვართ მათი მოძულეები; დახშულია სული სხეულში, მაგრამ სწორედ სული შეამტკიცებს იმავე სხეულს“.

სული უნდა მეფობდეს ხორცზე და არა პირიქით – ხორცი მეფობდეს სულზე, რადგანაც სული თუ უბერებელ ღირებულებათა შემკრებია, იუნჯებს უხრწნელ სათნოებებს, აგროვებს სულის საზრდოს, მაშინ ხორცი სულის ასეთი სიმტკიცით ყოველთვის იმარჯვებს მავნე მიდრეკილებებზე, ბოროტ ფიქრებსა და განსაცდელებზე. „ქრისტიანებიც პყრობილნი არიან ამ სამყაროში, როგორც ციხეში, მაგრამ სწორედ მათ უპყრიათ ეს სამყარო. უკვდავი სული მოკვდავ კარავში მკვიდრობს; ქრისტიანებიც მოკვდავთა შორის სახლობენ, მაგრამ ცათა შინა უკვდავებას მოელიან. საჭმელ-სასმელს მოკლებული სული აღორძინდება. ქრისტიანებიც, რომლებიც დღემუდამ იგვემებიან, მეტად და მეტად მრავლდებიან. ასეთი ხვედრი განაწესა მათთვის უფალმა, რისგან განდგომაც არ ეგების“.

ნამდვილად არ ეგების უფლისგან განდგომა. წირვა-ლოცვის მადლი არ მოუშალოს ამ წუთისოფელს, ქვეყანას ღმერთმა. ეს ხილული სამყარო, ლოცვის მადლითა და ღვთისმოყვარების ძალით არის, რომ დგას და იქნება ყოველთვის. ბრძოლა, რა თქმა უნდა, დაუძინებელია, ხილული და უხილავი ყოველთვის იბრძვის, რომ გაანადგუროს ჯერ ადამიანის გული, გონება, რადგანაც ეს ღვთის საბრძანებელია, სულიწმიდის, სამების საბრძანებელი. უფალი ამბობს: სადაც იყოს საუნჯე შენი, იქვე იქნება შენი გულიცა და გონებაც, ან, პირიქით – სადაც შენი გული და გონებაა, იქ იქნება შენი საუნჯე. და ბევრი ვიცით, რომელთა საუნჯე გარყვნილებაა და ბევრი ვიცით, რომელთა საუნ-

ჯე სიმდიდრეა ღვთისმიერი. ამიტომაც, დღევანდელი განსაცდელი ღვთით მოვლენილი, ჩვენი სულების გადასარჩენად არის. ვართ მორჩილნი კანონის, მაგრამ ვართ მოყვარულნი ქრისტეს სჯულის. ამიტომ, ვეზიარებით და არც შიში გვიპყრობს, რომ ჩვენ გავხდებით მიზეზი სხვათა დაღუპვის. პირიქით, ღმერთს ვთხოვთ, არათუ მოყვასი ჩვენი კეთილად და კარგად ამყოფოს, მოძულენიცა და მაჭირვებელნიც ჩვენი ღმერთმა დალოცოს, ამინ! რადგან მხოლოდ ეს არის ჩვენი გამარჯვების ბაირაღი, თანაც, მოციქულის სიტყვებს დავესესხები – ქრისტე და ისიც ჯვარცმული, არის ჩვენი სიქადული და ჩვენი სულიერი წინამძღოლი. ჯვარს ვეთაყვანებით, ჯვარს ვეამბორებით და გვწამს, ჯვრის ძალით დაცული ვიქნებით არა მარტო ჩვენ ყველანი, არამედ – ვინც დღეს აქ არ არის, ვინც შემდეგ მოვა. ღმერთმა ინებოს, ეს განსაცდელი მშვიდობითა და გონიერებით გადავიტანოთ. რადგან ღვთის მადლის შეგრძნება არ გვაძლევს იმის უფლებას, არ ვიყოთ ფრთხილნი და გონიერნი. როგორც ჩვეულებრივ ადამიანებს, ხორცში მყოფთ, გვევალება, შევასრულოთ კანონები და ასეთ დროს ვიყოთ კეთილსინდისიერნი, მონდომებულნი, პასუხისმგებლიანი, ჩვენ გვერდით მდგომი ადამიანების მოყვარულნი და მათზე მზრუნველნი. ასეთად თუ გვპოვოს უფალმა, მაშინ პირველი ჟამისა და უკანასკნელი ჟამისა მუშაკნი, ჩვენ ყველანი, ერთნაირად დაგვაჯილდოოს. თუ გვნახავს, რომ ღვთით მოცემულ ჯილდოს მიწას მოვფენთ, დავფლავთ და არც გავამდიდრებთ, არც არაფერს დავუმატებთ და არც სხვას გავუნაწილებთ, მაშინ მიწაში როგორც სხვა ყველაფერი დალპება, ისე დალპება ღვთისგან მოცემული ჩვენი ნიჭი, რომელიც არ დავუბრუნეთ ღმერთს მადლიერებით.

ასე რომ, ნუ ეშინია მცირე სამწყსოს და ნუ ეშინია წუთისოფლის მგზავრს, მარადიული სამშობლოსკენ ვინც ისწრაფვის. რატომ? იმიტომ, რომ ქრისტიანები ვართ უბოროტონი, ქრისტიანებს გვიყვარს ღმერთი და ვევედრებით, დაიცვას ხილული და უხილავი მტრისგან დიდი და პატარა, არა მარტო ჩვენი მოყვარული, არამედ ჩვენი მოძულე, მტერიც კი, არა მარტო ჩვენი ახლობელი ადამიანი, არამედ ყველა ის, ვისაც არ ვიცნობთ და ღვთის ძალით, ლოცვის მადლით ვერთიანდებით. დღეს მრავალ ქვეყანაში, მრავალ ტაძარში წირვა აღესრულება და ჩვენთან აღსრულებული სასწაული – უფლის სისხლი და ხორცი, ვიცით ყველამ, რომ სხვა ქვეყნების სხვა ტაძრებშიც ზუსტად იგივეა – განა დანაწევრებული, სრულია აქაც და სრულია სხვაგანაც. ამ სისრულეში ყოფნისთვის ხართ დღეს მოწოდებულნი, ზარები რომ ირეკება, ამის მაუწყებელია – ამ სისავსის, ამ სისრულის; არ დავაკლდეთ არცერთი ჩვენგანი. და ამ სისრულისგან მივიღოთ თითოეულმა, რაც ჩვენს სულს საკურნებლად გამოადგება, ამინ!

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ. არაფერი საშიში არ არის. ღვთის მადლით დაცული ვიქნებით ყველანი, ოღონდ ჩვენ, როგორც ადამიანებს გვმართებს გონიერება, სიფხიზლე; რასაც გვირჩევენ სპეციალისტები, ექიმები თუ სამართალდამცავები, მათი შესრულება, მიღება გვმართებს. ღმერთი გულმოდგინებით მლოცველსა და მშრომელს ყოველთვის დაიცავს.

ჩვენთან არს ღმერთი!

9/22. 03. 2020 წ.

დიდი მარხვის მე-3 კვირა

ჯვრის თაყვანისცემის დღესასწაული

ცოდვა – პანდემია, რომელიც უცილობლად კლავს

„მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცე უსჯულოებაი ჩემი... რამეთუ უსჯულოებაი ჩემი მე უწყი და ცოდვაი ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის“.

მთელ მსოფლიოსთან ერთად მწუხარებამ მოიცვა ჩემი სული, თუმცა მწუხარება შეიძლება ყველას სხვადასხვა სახის გვქონდეს. სულ რამდენიმე კვირის წინ, მაშინ, როცა მსოფლიოს ერთ ნაწილში, შორეულ ჩინეთში ეპიდემია გამძვინვარდა, მეორე ნაწილი თავდავიწყებით აგრძელებდა ჩვეულ ცხოვრებას. ასეთი რამ ჩვენთვის უცხო არ არის; მახსენდება 90-იანი წლების სამოქალაქო ომი, რომლის დროსაც საბურთალოზე მცხოვრებს შეიძლება ვერ გაეგო, რა ხდებოდა სოლოლაკში.

თავდავიწყება – ჩვენი მდიდარი ქართული ენის ერთ-ერთი საოცარი სიტყვაა. დიდი განმარტება მას არ სჭირდება... დაფიქრება კი უნდა, რა აზრს ატარებს ის თავის თავში. მწუხარების მსგავსად, აქაც ყველამ თავისებურად შეიძლება გაშალოს ამ სიტყვის არსი. თუმცა, თუკი ილია აბულაძის ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს მივმართავთ, იქ სხვადასხვანაირ განმარტებასთან ერთად დაუფიქრებლობას, გონებადაკარგულობასა და გაბრუებულობასაც შევხვდებით. ჩემთვის, როგორც მონაზვნისთვის, თავდავიწყებას ძალიან კონკრეტული შინაარსი აქვს და ის, უპირველესად, სიკვდილის დავიწყებას ნიშნავს. ამასთან ერთად, იმის დავიწყებასაც ნიშნავს, რომ თიხისგან არის ადამიანი შექმნილი. დავივიწყეთ, რომ ღვთაებრივი სული ღმერთმა შთაგვბერა და განგვაცხოველა; შემოქმედმა სრულყოფილებისკენ მოგვიწოდა, ჩვენ კი ამაოების, ეგოიზმის, სიამოვნების, უზნეობის, ანგარების, სიძულვილის, შურლისა და სხვა მრავალი ცოდვის მორევში ჩავიძირეთ... ბუნების წესიც კი, ანუ ბუნებითი სჯული, რომელიც არცერთ ცხოველს არ შეუცვლია, ადამიანებმა დავარღვიეთ... და აი, მოვიდა (ან შეიძლება ჯერ მხოლოდ დაიწყო) განსაცდელი – არცთუ ისე პატარა, მაგრამ არც ყველაზე დიდი.

„ცხოვლად შემზილე თიხა, ხელოვანთმთავარმან მეკეცემან, ხორცად და ძვალად, სამშინველად და სულად, არამედ ჰოი, მხსნელო, ღმერთო და მსაჯულო ჩემო, მონანული შემიწყნარე“.

დიდხანს ვყოყმანობდი, უნდა დამეწერა თუ არა, რასაც ვწერ... ვიცი, რომ არ მაქვს სურვილი ამ წერილის სოციალურ ქსელში ან რაიმე სხვა ქსელში გავრცელების... ჩემს თავს ვეკითხები: რისთვის ან ვისთვის ვწერ? თანდათან ჩამოყალიბდა პასუხი: ერთია, რომ აზრმა ჩემი გონების სუსტი ჯეგირი გაარღვია; ასევე, იმიტომ, რომ, ვინაიდან ღმერთმა სულის საცხონებლად მონას-

ტრის წინამძღვრობის ჯვარი მიბოძა, მივეჩვიე – რასაც ჩემს ქრისტესმიერ დებს ვეუბნები, უპირველესად, ჩემს თავს ვუმეორებ. დაბოლოს, მწველად ვგრძნობ სხვებთან ერთად გადარჩენის – ცხონების სურვილს. მათთან ერთად, ვინც ძალისაებრ მიყვარს, მეცოდება და მენანება!

> **„პირისაგან უგუნურთასა კვერთხი გინებისა, ხოლო ბაგეთა გონიერთა დაიცუან იგი... ეძიებდე სიბრძნესა უგუნურთა თანა და არა ჰპოვო, ხოლო ცნობა გონიერთა თანა ადვილ არს“**
>
> **(იგავ. თ. 13)**

ამ მწუხარების ჟამს სიხარულმაც დაისადგურა ჩემს გულში! ეს მაშინ, როცა ჩვენი ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებას გავეცანი. ტაძარი ყველასთვის ღიაა და ქრისტიანებს შეგვიძლია მივეახლოთ საღვთო საიდუმლოებებს! ჩემთვის სასიხარულო ეს გადაწყვეტილება ზოგიერთებისთვის დამანგრეველი აფეთქების ტოლფასი იყო. აფეთქებამ ქრისტიანებიც კი შეარყია... ერთი მხრივ, მართებული მოწოდება სახლში დარჩენის, სახელმწიფო რეგულაციები ჩვენს დასახმარებლად და, ამასთან ერთად, ადამიანებთან არსებული ქრისტესთან მყოფობის მაცოცხლებელი სურვილი!

მადლობა ღმერთს, ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობა არ იდევნება – არ იხურება ეკლესიები, არ იკრძალება წირვა-ლოცვა. მაგრამ ქრისტე თავდავიწყებით იდევნება ჩვენი გულებიდან საკუთარი ცოდვით.

ჩვენი საზოგადოება განსხვავებული ადამიანებისგან შედგება: ქრისტიანებთან ერთად არიან სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები, ასევე წარმართები, ურწმუნოები და ღვთისმებრძოლები. ეს უკანასკნელები ხშირ შემთხვევაში ქრისტიანებად წარმოადგენენ თავს. დიდი უმრავლესობა, ჰუმანიზმის სახელით, ქრისტეს „მცირე სამწყსოს“ ხან ხალხის მტრად, ხან კი კაცობრიობის მტრად შერაცხავს. მოვიდა დრო, როცა აღარავინ ერიდება, იყოს „მასწავლებელი“, თუმცა შეიძლება წაკითხული ჰქონდეს: „ნუ ყველამ ასწავლოს“. ეს მასწავლებლობა განსაკუთრებით სარწმუნოებას ეხება. ვგულისხმობ იმას, რომ სარწმუნოებრივ საკითხზე ნებისმიერი პროფესიის ადამიანი თამამად მსჯელობს. მათ შორის თეოლოგებიც არიან. ეს ყველაზე გაურკვეველი პროფესიაა, თუმცა უკვე საცნაური ხდება, რას ემსახურება ამ პროფესიის წარმომადგენელთა უმეტესი ნაწილი... (ამ ბოლო დროს ხშირად აღმომხდება ხოლმე: „ღმერთო, გვიხსენი მებრძოლი თეოლოგებისგან და მოგვმადლე მლოცველები, ანუ ღვთისმეტყველები“). ვერავისგან გაიგებ ერთ უბრალო ნათქვამს – „ეს მე არ ვიცი“. ამას არ ამბობს არც ის, ვინც სარწმუნოების „მრწამსიც“ კი არ იცის და მეტადრე ის, ვინც შეიძლება „მრწამსი“ იცოდეს. ამრიგად, ტელევიზიიდან თუ ინტერნეტსივრციდან „დაუღალავად“ გვასწავლიან, რატომ უნდა დაიკეტოს ეკლესიები და რატომ არიან ერთი კოვზით ნაზიარები ქრისტიანები საზოგადოებისთვის ყველაზე საშიში ადამიანები. როცა საქმე ეკლესიების დაკეტვას ეხება, მაგალითად მოჰყავთ სხვა ადგილობრივი ეკლესიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ცოტა ხნის წინ ჩვენი ეკლესიის მიერ მიღებული რომელიმე გადაწყვეტილება რაიმეთიმაინც მსგავსი რომ ყოფილიყო რუსეთის ეკლესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა, აღარ გავაგრძელებ, ამას რა მოჰყვებოდა. დღეს კი, როცა ამ ორი ეკლესიის გადაწყვეტილებები ერთმანეთს არაფრით ჰგავს, იმავე ხალხს ეკლესიის

ამგვარი დამოუკიდებლობა სულაც არ ახარებს... დიახ, ყველა ადგილობრივი ეკლესია დამოუკიდებელია და არა მარტო დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს, არამედ ერთმანეთისგან დამოუკიდებლადაც ატარებს პასუხისმგებლობას იმ სამწყსოზე, რომელიც მას ღმერთმა ჩააბარა. ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება ხდება ღვთის სიტყვაზე დაფუძნებით და იმ გარემოების გათვალისწინებით, რა გარემოებაშიც დღევანდელ დღეს იმყოფება თითოეული ადგილობრივი ეკლესია. ღვთის წინაშე პასუხისგება კი საერთოდაც ინდივიდუალურია – თითოეული ცალ-ცალკე მივაგებთ პასუხს ქვეყნიერების შემოქმედს! საქართველოში მყოფები, დაე, ნუ განვსჯით სხვა კონტინენტებზე თუ მეზობლად მყოფი ეკლესიების გადაწყვეტილებებს და ნურც ისინი იფიქრებენ, რომ ვალდებულნი ვართ, მათი მოცემულობის მიხედვით ვიცხოვროთ ჩვენს პატარა საქართველოში.

შედარებების მოყვარულები სხვა პარალელებსაც მრავლად გვთავაზობენ. ჩვენი ეკლესიისა და სხვა რელიგიების შედარება არასოდეს არ წყდება. აქაც არაფერს იშურებენ: ლანძღვას, გინებას, შეურაცხყოფასა თუ დაცინვას. ამ ყველაფრის მიღმა მარტო უცოდინრობა არ დგას. შეიძლება არ იცოდე, რომ არსებობს ისეთი რამეები, რომლებიც ერთმანეთს არ უნდა შეადარო – ვერ ედრება და იმიტომ! უცოდინრობაზე გაცილებით უფრო საშიში კი უმეცრებაა. ადამიანს ყველაფერი ვერ ეცოდინება, მისი გონებისთვის შეუძლებელია ყველაფერი იცოდეს და ამიტომ ის ბევრი მიმართულებით უცოდინარი რჩება. მაგრამ, როცა ადამიანი ამას ვერ აცნობიერებს და ჰგონია, რომ ყველაფერი იცის, სწორედ მაშინ არის ის ავად უმეცრების დამღუპველი სენით. ინტერნეტქსელში გახვეული მსოფლიოს ერთ-ერთი დაავადება სწორედ ეს არის: ნებისმიერ ინფორმაციაზე წვდომა მას, ცოდნის ილუზიით, უმეცრებაში ამყოფებს!

სახლში ლოცვაზეც ბევრს გვეუბნებიან ამ დღეებში. დიახ, სახლში ლოცვა ყოველთვის შესაძლებელია და აუცილებელიცაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახლში ლოცვა უტოლდება წმინდა ლიტურგიაში ჩვენს მონაწილეობას და საღვთო ზიარების მიღებას. ტელევიზიის მეშვეობით ლიტურგიის ყურებით და ამ დროს სახლიდან ლოცვის აღვლენით შეიძლება ინუგეშოს ადამიანმა, – მადლობა ღმერთს, დედამიწაზე კვლავ აღესრულება უსისხლო მსხვერპლი, – მაგრამ ამას ქრისტიანი არ უნდა მიეჩვიოს და წესად არ უნდა აქციოს. ეს ის გამონაკლისი შემთხვევა უნდა იყოს, რომელიც ეკლესიაში სიარულის წესს ამტკიცებს. ეკრანზე ლიტურგიის ყურება იგივეა, მწყურვალი წყაროსთან ჩაატარო და წყალი არ დაალევინო.

დღევანდელ ვითარებაში მეც არაერთ ადამიანს ვურჩიე სახლში დარჩენილიყო და, ღმერთს შენდობას ვთხოვ, თუ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში არასწორად განვსაჯე. მათთან ერთად, ვინც დღეს ტაძარში არ მიდის, მე ეპიტიმირებულის (**ეპიტიმია – სასჯელი ჩადენილი ცოდვისთვის**) განცდას ვატარებ. ასეთ დროს ქრისტიანებს ყველაზე მეტად საკუთარი უდებება და სიზარმაცე გვახსენდება: როცა თავისუფლად შეგვეძლო ტაძარში სიარული და არ დავდიოდით; ან ტაძარში მყოფები გონებით სხვაგან ვიმყოფებოდით; ქრისტესთან ზიარებაზე, მოუცლელობით, უარს ვამბობდით; ამაოებას აყოლილები საღვთო საიდუმლოებებს უგულებელვყოფდით. მადლობა ღმერთს, რომ ტაძრები ღიაა, მაგრამ ამ ყველაფრის და სხვა მრავალი შეცოდების გამო დღეს სახლებში გვი-

წევს ყოფნა. სინანულით ღვთის წინაშე თავმდაბლად დგომა დაგვეხმარება განვსაჯოთ, თუ როგორ მოვიქცეთ. ადამიანები სნეულებებით მოწყვლადები ცოდვის გამო გავხდით. „არა არს კაცი, რომელი სცხონდეს და არა სცოდოს“, ამიტომ ნებისმიერი ქრისტიანი, მათ შორის სასულიერო პირიც, შეიძლება დასნეულდეს ახალი ვირუსითაც.

ქრისტემ, ქვეყნიერების მაცხოვარმა, კაცობრივი ბუნება არა მხოლოდ მაშინ გვიჩვენა, როცა „შეემშია მას“, ან „სცრემლოოდა“, არამედ მაშინაც, როცა ეშმაკისგან განიცდებოდა:

„ქრისტე განიცდეგოდა, ხოლო ეშმაკი განსცდიდა, და ქუათა ჰრქუა მას, რათა პურად შეჰსცვალნეს, მთად აღიყუანა იგი ხილუად წამსა შინა ერთსა მეფოგათა ქუეყანისათა, ჰსძრწოდე სულო, და მარადის მღვიძარე შემწე იყოფდ ღმერთსა“.

ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს საფლავზე „ორთა მათ ბუნებათა ცხადყოფად“ მისულმა უფალმა კაცობრივ იკითხა, „სადა დასდევით იგი“, და „ღვთაებრ უწოდა მას სამარით და აღადგინა... წამისყოფით“. მან, ვინც სიკვდილისა ძალი დაარღვია და „ოთხისა დღისა მკვდარი საფლავით ბრძანებით აღადგინა“, ერის წინაშე თავის დამდაბლებით საფლავი იკითხა!

სახლში დარჩენა, ყველა სხვა გაფრთხილებასთან ერთად, ის კაცობრივი ზომებია, რომელთაც ისე მივმართავთ, როგორც ადამიანები, ღვთაებრივი კი ღმერთს – „სიცოცხლისა მომნიჭებელს და სიკვდილისა მფლობელს“ უნდა დავუთმოთ.

დღეს ქრისტიანმა შეიძლება მრავალი გარემოების გათვალისწინებით გააკეთოს არჩევანი და დარჩეს სახლში: საკუთარი შიში, ახლობლების პანიკური შიში ან ღვთისგმობამდე მისული მათი სულიერი მდგომარეობა, თავისი ან ოჯახის წევრის მძიმე დაავადება, ან ასაკი, რის გამოც მათთვის ვირუსი უფრო საშიშია, ექიმების ხვეწნა-მუდარა, რომ ვერ გაუძლებენ, თუ ინფიცირებულთა რაოდენობა კრიტიკულად გაიზრდება; მე, პირადად, მაქვს სასულიერო პირების და მთელი ეკლესიის გაფრთხილების სურვილიც. თუკი ხელისუფლება და მედიცინის მუშაკები ჩვენი ფიზიკური გადარჩენის ბრძოლის წინა ხაზზე დგანან, სასულიერო პირები – პატრიარქი, მწყემსმთავრები და სამღვდელოება სულიერი ბრძოლის წინა ხაზზე რჩებიან. ისინი დემონური ძალების პირისპირ დგანან, უკან ქრისტიანები და სხვანი არიან. სავალალოა, რომ დღეს მათ ზურგში საკუთარი ხალხიც ესვრის. უგუნურებმა არ იციან, რომ სასულიერო პირების რიგების შეთხელება დემონური ძალების ხახაში ჩავარდნას ნიშნავს (მიუხედავად იმისა, სჯერა თუ არა მავანს მათი არსებობის). ამიტომ, ვირუსებისგანაც და ჩასაფრებულებისგანაც განსაკუთრებულად გასაფრთხილებელი სწორედ სასულიერო დასია, თუმცა ქრისტიანებს შორის ყველა ვერ დარჩება სახლში. არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ვირუსზე უფრო დიდ განსაცდელებს გადიან. ესენი ისინი არიან, ვინც განსაცდელების სიმძიმის გამო ღმერთს „ხელში აყვანილი“ დაჰყავს. ამიტომაც არ დაიკეტა ტაძრები – ის ერთადერთი ადგილი, სადაც ღვთის მიერ შექმნილმა ადამიანმა უნდა მიიღოს „პური ზეცისა და სასმელი ცხოვრებისა“. თუკი სასურსათო მაღაზიები და აფთიაქები სიცოცხლისთვის აუცილებელი ობიექტებია, ნუთუ ეკლესია მათზე ნაკლებ სასიცოცხლოა?! ვინც ასე ფიქრობს, მან ან არ იცის, ვინ

არის ჩვენი „ცხოვრება და აღდგომა“, ან მისი მოწინააღმდეგეა. ამ უკანასკნელთათვის თვით ჯვარცმულმა მაცხოვარმა ასე ილოცა: „შეუნდე, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმან!“

დიახ, სახლში დარჩენაც და ტაძარში მისვლაც ჩვენი თავისუფალი არჩევანია. სწორი არჩევანი კი ერთ დიდ სათნოებაზეა დამოკიდებული – განსჯაზე, რომელიც არის კეთილისა და ბოროტის გარჩევის გულისხმისყოფა. ეს უდიდესი სათნოება თავმდაბალი, ღვთისმოსავი, ქრისტეს მცნებებით ცხოვრების ნაყოფია. დღეს ისეთებიც გამოჩდნენ, პატრიარქ ლეონიდეს არჩევანს რომ უწუნებენ, ქოლერის ეპიდემიის დროს სხვებთან ერთად რატომ დალია მტკვრის წყალიო (რა თქმა უნდა, სხვა არჩევანი რომ გაეკეთებინა, იმასაც დაუწუნებდნენ); ალბათ, ნინო ჭავჭავაძის არჩევანიც მათთვის განხილვის თემაა, ახალგაზრდა ქალმა ტიფით დაავადებულების მოვლა რომ გადაწყვიტა და თვითონაც ტიფით გარდაიცვალა. დიახ, არჩევანს ადამიანის ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება. თითოეულ ჩვენგანს გვაქვს პასუხისმგებლობა – ვიტვირთოთ საკუთარი არჩევანი, რომელსაც ჩვენ ნაცვლად ვერავინ შეძლებს. ყოველდღიური ჭიდილი ცოდვასთან – ესეც არჩევანია. დღეს ქრისტიანებს გვიწევს არჩევა, წავიდეთ თუ არა ტაძარში. შეგვიძლია სწორი არჩევანის გაკეთება? მე, როგორც მონაზონი, მონასტერში ვცხოვრობ და ამ განსაცდელის ჟამსაც ყოველ წირვაზე ვეზიარები. თავს არ მივიჩნევ წმინდა ზიარების ღირსად, მეტადრე იმ ქრისტიანებზე მეტად, ვინც სახლში რჩება; ეს მხოლოდ იმ არჩევანის წყალობითაა, რომელიც თითქმის 30 წლის წინ გავაკეთე: „ვირჩიე მე მივრდომა სახლსა ღმრთისა ჩემისასა“ და ავირჩიე მონაზვნური ცხოვრება. დღეს ჩვენი სინანულით დგომა – ზოგიერთისთვის სახლში, ზოგიერთისთვის კი ტაძარში – იმედს მოგვიტანს, რომ ღმერთი კიდევ მოგვცემს მშვიდობიან დროს იმისთვის, რომ შევიცვალოთ. ბერძნული სიტყვა „მეტანია“, ქართულად „სინანული“, ზედმიწევნით რომ ვთარგმნოთ, გონების შეცვლას ნიშნავს; ესე იგი, შევინანოთ, ნიშნავს შევიცვალოთ, დავტოვოთ ხორციელი აზროვნება და შევიძინოთ სულიერი. ეს ცოდვასთან ბრძოლით და წმინდა წერილში განსწავლით უნდა შევძლოთ. დღეს თუ არ შევიცვლებით, ხვალ, გაცილებით უფრო დიდი განსაცდელების დროს, ვერ შევძლებთ სწორი, ყველაზე გადამწყვეტი არჩევანის გაკეთებას. ამიტომ საშურია, რომ დღეს სახლში დარჩენილმა ეკლესიაში წასული არ განიკითხოს და, პირიქით, ეკლესიაში წასულმა სახლში დარჩენილზე არ აიმაღლოს თავი:

> **„ნუ ჰმაღლი სათნოებათათვის, ნუცალა თავსა შენსა ჰხედავ, ვითარ მართალსა და მოყუასსა დაჰსჯი ფარისევლებრ, არამედ მდაბლითა გულითა ცოდვათა შენთა იხსენებდი და მსგავსად მეზვერისა ხმაჰყავ: ღმერთო, მილხინე ცოდვილსა და მაცხოვნე მე!“**

ღმერთმა შეგვინდოს ამდენი მსჯელობა საღვთო ზიარებაზე! ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში ჩამოყალიბდა კათაკმეველთა ინსტიტუტი, რაც მოსანათლის ხანგრძლივ მომზადებას ნიშნავდა. წმ. კირილე იერუსალიმელს ეკუთვნის სწავლება კათაკმეველთა ნათლობის შესახებ. ამ წესის თანახმად, საღვთო საიდუმლოებებზე საუბარი მოუნათლავ ადამიანთან მკაცრად იკრძალებოდა, ვინაიდან მისი სასმენელი მზად არ იყო, „არ იყო ღირსი სმენად“. დღეს მონათ-

ლულმა ქრისტიანებმაც კი არ იციან, რა საშინელ საიდუმლოზე მსჯელობენ კადნიერებით. არც ის იციან, რომ სწორედ ქრისტიანებზეა ნათქვამი: „თუკი ნათელღებული არ ცხონდეს, ამისა შემდგომი დავიდუმო“. ვაი, რომ ღვთისგან მოწოდებულიც მრავალი აცდუნებს და ცდუნდება. ჩვენ, ვისაც მაცხოვარმა გვითხრა: „თქუენ ხართ მარილნი ქუეყანისანი; უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაითამე დაიმარილოს?“ (მათ. 5, 13), თამამად ვსაუბრობთ „საღმრთოთა, უკვდავთა და ცხოველსმყოფელთა საიდუმლოთა“ შესახებ და ვერ გაგვიგია, ვისი უნდა გვეშინოდეს.

„უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა, ვისა მეშინოდეს. უფალი შესავედრებელ არს ცხოვრებისა ჩემისა, ვისგან შევძრწუნდე“.

როდესაც ადამიანი ღვთის შიშს კარგავს, მასში ათასნაირი სხვა შიში იბუდებს. ამიტომაა დღეს ასე გავრცელებული სხვადასხვა ფობიით გამოხატული ფსიქიკური დაავადებები (ფობია – ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს და სწორედ შიშს ნიშნავს). ზოგი ბაქტერიების, ზოგი დახურული სივრცეების, ზოგი მორწმუნეების ეკლესიაში შეკრების, ზოგი კი საკუთარი აჩრდილის შიშს ემონება; ბევრია მოცული მეორედ მოსვლის შიშითაც, საკუთარი სიკვდილი კი დავიწყებია, რომელიც ყოველ წამს შეიძლება ეწვიოს. დღეს, თუკი ეს ეგოიზმთან ბრძოლაში გამოგვადგება, კარგია, ხაზგასმით რომ ვამბობთ – „მეშინია, სხვას არ გადავდო“; მაგრამ ისიც ვაღიაროთ, რომ სხვისგან გადადებისაც გვეშინია. ადამიანებს ადამიანების გვეშინია! საკუთარი ხელის სახეზე ან თვალზე მოხვედრისაც გვეშინია! ეს იმიტომ, რომ ამაოდბრძნობა შევიძინეთ – „დასაბამი სიბრძნისა შიში უფლისა“ კი დავკარგეთ!

ინფორმაციულ მორევში დანთქმულებმა იმის უნარიც დავკარგეთ, რომ განვსაზღვროთ, ჩვენს გონებას რამდენი შეუძლია დაიტიოს, ან საერთოდაც, სჭირდება კი მას ამდენი ინფორმაცია?! ამ მორევმა გონება იმდენად აგვიმღვრია, რომ მისგან დაცილება – ინფორმაციის თუნდაც შემცირება, რომლითაც გონება მცირედით მაინც უნდა დაიწმინდოს, შემაშინებელია, რადგან საკუთარ თავთან დარჩენას ნიშნავს – შფოთით გაწამებულ და გაღატაკებულ სულთან დარჩენას ნიშნავს!

„ვინა ვიწყო მე გლოვად, საქმეთა ცხოვრებისა ჩემისათა? ანუ რომელი დასაბამი ვჰყო ქრისტე, გოდებისა ამის? არამედ ვითარცა ტკბილმან, მომცენ ცრემლნი ლმობიერნი“.

სარწმუნოება, სინანული, ლოცვა და კეთილი საქმეები – ეს ის ოთხი მთავარი საქმე და სათნოებაა, რომელთა ასაშენებლად დიდი შრომა და დროა საჭირო. ქსელებში და მორევში მყოფები ყველაზე მნიშვნელოვანისთვის მოუცლელები გავხდით. მრავალთა ამაოდბრძნობას დაწაფებულები, ცრუმასნავლებლებს დავემოწაფეთ:

„ჰსჯული მოუძლურდა და ურგებ იქმნა სახარება, ხოლო წერილნი, ყოველნივე ცუდ მაშურალ, წინასწარმეტყველნი უქმ, და ურგებ სწავლისა სიტყუა, რამეთუ წყლულნი შენნი, სულო, განმრავლდეს არა ყოფითა კურნებად შემძლებელისათა“.

დღეს გავრცელებული პანდემია თავდავიწყებულ, გადიდგულებულ კაცობრიობას დაგვატყდა თავს. თითქოს სიკვდილი მანამდე არც ყოფილა ან მას შემდეგ აღარ იქნება. იმ დედამიწაზე, რომელიც „სიკვდილის საშინელი წისქვილია“ (წმ. იუსტინე პოპოვიჩი), სრბოლა შეჩერდა! სიკვდილმა თავი შეგვახსენა! არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, როგორ და საიდან გავრცელდა ახალი ვირუსი. ღვთის წმინდა განგებულება, რომლის გარეშეც არც არაფერი მომხდარა, არც ხდება და არც მოხდება, განსაცდელის დაშვებით ზრუნავს მის მიერ შექმნილ ადამიანზე. უფლისგან ნასწავლი ლოცვა „მამაო ჩვენო“ დღეს სხვა ძალით მოქმედებს ჩვენზე: „იყავ ნება შენი... პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს... მომიტევენ ჩვენ... ვითარცა ჩვენ მიუტევებთ... და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“.

იმედი ის კვერთხია, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე ეყრდნობა. თუმცა აუცილებელია საკუთარ თავს ვკითხოთ: პანდემიამდე არსებული თავდავიწყებული ცხოვრების დაბრუნების სურვილით ვცოცხლობთ, თუ ერთხელ და სამუდამოდ ღვთის მოწყალების იმედი გვინდა ავაშენოთ.

ბევრნაირ პროგნოზს მოისმენთ იმის შესახებ, თუ როგორი იქნება მსოფლიო პანდემიის შემდეგ. ფსიქოთერაპევტები ნევროზულ პანდემიას პროგნოზირებენ, პოლიტიკოსები, ეკონომისტები, სოციოლოგები და ასტროლოგები თავიანთ პროგნოზებს გვთავაზობენ. ისმის ახალი ტერმინებიც – „ელექტრონული მონობა“, „ტოტალური კონტროლი“, „ელექტრონული საბანკო საკონცენტრაციო ბანაკი“ და ა.შ. ადამიანს ყველა ეს პროგნოზი აშინებს. მე ვერ გავაკეთებ ვერანაირ პროგნოზს იმ უბრალო მიზეზით, რომ ეს ჩემი საქმე არ არის. ის კი ვიცი, რომ ღვთის პირიდან გამოსული ყველაფერი აღსრულდება...

> **„სიტყვა ჩემი... უკეთუ გამოვიდეს პირისაგან ჩემისა, არა მოიქცეს ჩემდამო ცალიერი, ვიდრემდის არა აღესრულოს ყოველნი, რაოდენნი ვინებენ“**
>
> **(ესაიას წინასწარმეტყველება)**

ერთის მაინც მეშინია – ისევ თავდავიწყების, ცოდვის მეშინია – პანდემიის, რომელიც უცილობლად კლავს!

> **„შეგცოდეთ შენ, სახიერ, და სასოებაი არა წარგვიკვეთიეს, არცა, მეუფეო, სხვა ღმერთი ვიცით შენსა გარეშე“.**

თქვენთან ერთად
გადარჩენის სურვილით
ილუმენია იოანა
ახალი შუამთის ხახულის
ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის
მონასტრის წინამძღვარი

04.2020

P.S. ცოტა ხნის წინ საბერძნეთიდან გამოგვიგზავნეს ღრმად პატივცემული მოძღვრის, მამა სტეფანე ანაგნოსტოპულოს წიგნი, რომელიც ჯერ არ წამიკითხავს, მაგრამ სათაურში ჩემი სულის გამოძახილი შევიცანი:

„მე დავაშავე! შენ?“

თბილისური თეთრი ღამეები

წლევანდელ თბილისურ გაზაფხულზე მეტ მისტიკას თვით კნუტ ჰამსუნის „მისტერიებშიც“ ვერ ვნახავდით. ყველაფერი, როგორც ყოველთვის: ქალაქი თავისი ურბანისტური საშინელებით, ბუნების გამოღვიძების სუსტი მცდელობა, ინტერესი ახალი ამბებისადმი, რომლებსაც საინფორმაციო საშუალებები გაურკვევლობასა და დახლართულობას უფრო მატებდნენ, ვიდრე სიცხადესა და ახსნას. იყო ერთი ფაქტორი, რომელსაც ადამიანთა ქცევის, საუბრის ძირითად მიზეზად მივიჩნევდით, – ერთდროულად გასაგებიც და გაუგებარიც, თუმცა გაუგებარი უფრო და ამიტომაც მეტად საშიში. 2020 წლის ზამთარი და გაზაფხული, შემდეგ უკვე ზაფხული და შემოდგომა ჩვენთვის უცნაური, უხილავი მტრის ბატონობასთან ასოცირდა.

ჩვენთვის ჩვეულებრივი ამბავია, რომ მოსაღამოვდება, ბინდი სულ უფრო მუქდება და ბოლოს ღამდება. ნელ-ნელა მიწყდება ხმაური, ნელ-ნელა ჩაქრება სინათლეები ფანჯრებში და ქალაქი, ქვეყანაც, მცირე გამონაკლისების გარდა, ძილს მიეცემა. არაერთხელ მიფიქრია, რა ხდება იმ სახლებში, სადაც შუქი მთელი ღამე არ ქრება, – შეიძლება, არც არაფერი, შეიძლება, იქაც ჩემნაირი ადამიანი ზის და ღამის სიჩუმეს ვერ ელევა.

მერე ეს ბინდი ნელ-ნელა გაიფანტება და გათენდება. ბავშვობაში და მერეც, ვერაზე რომ ვცხოვრობდი, დილის სიჩუმეს მეეზოვის ცოცხის ხმა არღვევდა, მერე ჭიშკრების ჭრიალი ისმოდა და ვიცოდით, რომელი ეზოდან ვინ გამოდიოდა და საით მიიჩქაროდა. ესეც ჩვეულებრივი ამბავი იყო: ზოგი ადგებოდა, ზოგი ძილს შეიბრუნებდა, მაგრამ დღე-ღამის მონაცვლეობა კვირის, თვის, წლის რიტმს არ არღვევდა. ვიღაც, რა თქმა უნდა, იტყოდა, უი, შემომაღამდაო, ან უი, შემომათენდაო. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, – არაგასაკვირი და არააღსანიშნავი მაინც. ყოველ შემთხვევაში, დღე და ღამე თბილისში, ახალშობილების გარდა, არავის ერეოდა...

ხშირად წარმოვიდგენდი, როგორი იყო თეთრი ღამეები. მაინტერესებდა, როგორ იძინებდა ან როგორ იღვიძებდა ხალხი თეთრი ღამეების დროს. მინდოდა, სწორედ ამ დროს მოვხვედრილიყავი იქ. თუმცა სულ სხვა იყო 2020-ის გაზაფხულის თბილისური თეთრი ღამეები.

აპრილის შუა რიცხვებში, სააღდგომოდ (რადგან ეს ნამდვილად აღდგომასთან იყო დაკავშირებული) შეწყდა ქალაქში ავტოტრანსპორტის მოძრაობა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა და საქალაქთაშორისო მიმოსვლა – კიდევ უფრო ადრე; სკოლებსა და საბავშვო ბაღებში სწავლა მარტიდან შეჩერებული იყო; ვინც შეძლო, სახლიდან მუშაობდა; ღია მხოლოდ სასურსათო მაღაზიები და აფთიაქები რჩებოდა, ანუ არც წასასვლელი იყო და არც წასვლის საშუალება, ყველაზე გამოცდილი ტრანსპორტის, საკუთარი ფეხების გარდა. 90-იანებგამოვლილებს ეს ამბავი ძალიან არ გაგვკვირვებია და რადგან ტელეფონი, ტელევიზია მუშაობდა, სიახლეც ცოტა იყო, მათ შორის სასიამოვ-

ნოც – ინტერნეტი – რომელიც ყველაზე მივარდნილ ადგილზეც კი უმკლავდებოდა მიყრუებულობის განცდას.

დედამიწამ, სხვაგან არ ვიცი, თბილისში კი ნამდვილად დასვენება მოიწყო. რამდენიმე დღეში წვიმისგან და ღამით დასუფთავების სამსახურის გადარეცხილი ქუჩები, აღმოჩნდა, რომ სულაც არ იყო უსახური; გამჭვირვალე ჰაერი ყველამ იგრძნო.

როგორი იქნებოდა თეთრი ღამეები თბილისში, ამგვარი რამ რომ შესაძლებელი ყოფილიყო? ზუსტად ასეთი:

უმანქანო ცარიელი ქუჩები...

კანტიკუნტად გამვლელები, ისინიც ცოტა დაბნეული...

თითქოს მიძინებული ქალაქი...

ბევრი ჟანგბადი...

ცოტა უხერხულობა და შიში ცარიელი ქალაქის გამო...

ცენტრალურ ქუჩებში განსაკუთრებით უცნაური იყო სიჩუმე, რადგან ყველასთვის ჩვეულებრივი, უკვე შეუმჩნეველიც იყო ხმაური რუსთაველზე, პეკინზე, კოსტავაზე, ვაჟა-ფშაველაზე და იმდენად გაბმული, რომ ვეღარც აღიქვამდი ხმაურად. მაგრამ ასე გუშინ იყო, დღეს...

დღეს თბილისური თეთრი ღამე გათენდა.

მერე ნელ-ნელა დაღამდა და სიჩუმე ისევ სიჩუმედ დარჩა, უბრალოდ ყველა ფანჯარაში შუქი აინთო და ახლა 2020-ის ღამე პოლარულ დღეს დაემსგავსა, რადგან ქალაქს ეღვიძა, თუმცა ღამე იყო, თითქოს მზე არ ამოვიდა და მაინც ყველა ფხიზლობდა: ზოგი ერთობოდა სახლში, ზოგი მუშაობდა სახლში, ზოგი უბრალოდ ვერ იძინებდა.

მთავარი თავისებურება იყო ის უხილავი საფრთხე, რომელსაც ყველა გრძნობდა, რომელიც იმალებოდა ადამიანებში და ვლინდებოდა სიცხისა თუ ხველების სახით ან ყოველგვარი სიმპტომის გარეშე, თესავდა შიშს, გულგატეხილობას, ამსხვრევდა იდეალებს, ცდილობდა, შეერყია რწმენა...

მთავარ ამბავს მივადექი.

ეს იყო ისტერია ზიარებასთან დაკავშირებით.

შენდობის კვირის მწუხრზე, საზიარებლად რომ ვემზადებოდი, ერთმა ახალგაზრდამ მორიდებით მითხრა, რუმინეთის ეკლესია მორწმუნეების ზიარებას ერთჯერადი კოვზებით აპირებსო (შემდეგ ეს ცნობა ყალბი აღმოჩნდა). პირველი, რაც ვთქვი, რა სისულელეა-მეთქი. არც მიფიქრია, ეს იყო პირველი აზრი, ქვეცნობიერი და უტყუარი.

დაიწყო „მსჯელობა“, როგორ გავრცელდებოდა ვირუსი ეკლესიებში, მერე მოედებოდა მთელ ქალაქს, ქვეყანას, მსოფლიოს, მზის სისტემას, დახოცავდა უამრავ ადამიანს.

დაიწყო მოწოდებები: „ნუ დაგვხოცავთ, ჩვენ სიცოცხლე გვიყვარს“, „ეგოიზმია, შენ ეზიარო და მე მოვკვდე“...

გაგრძელდა შეურაცხყოფით: „მკვლელებო“, „ბნელებო“, „დაუბანლებო“...

და, სხვათა შორის, ამ საშინელი აგრესიის გამო ბოდიში არავის მოუხდია, არც შეწუხებულა, არც გახარებია, რომ ეკლესიის კლასტერი არ გაჩნდა მაშინაც კი, როდესაც ვირუსმა ღვანკითამდე მიაღწია. არ ვიცი, როგორ მიაგნო ვირუსმა ღვანკითს, რომელიც, რომ არა კოვიდი, შეიძლება თავისი არსებობის ბოლომდე უცნობი დარჩენილიყო მთელი საქართველოსთვის.

ის, რომ ბარძიმში, ზიარების დროს, მაცხოვრის სისხლი და ხორცია, ჩვენი რწმენის ერთ-ერთი ძირითადი ცოდნაა. ამაში ეჭვის შეტანა, ფაქტობრივად, რწმენაში ეჭვის შეტანის ტოლფასია,

მაგრამ კითხვა: როგორ გარდაიქმნება ღვინო და პური მაცხოვრის სისხლად და ხორცად, გონებისთვის იმდენად მიუწვდომელია, რომ გარჯადაც არ ღირს გაგების მცდელობა. ასე მიმართა საიდუმლო ლოცვების წაკითხვის წინ მოძღვარმა მრევლს: „ახლა ამ ბარძიმში ჩვეულებრივი ღვინო და პურია, შევალთ საკურთხეველში, წავიკითხავთ ლოცვებს და ეს ღვინო და პური უფლის ძალით მის წმინდა სისხლად და ხორცად გარდაიქმნება. არ მკითხოთ, როგორ? ეს მე არ ვიცი, უფალმა იცის“.

ნამდვილი თავმდაბლობისა და ღვთისადმი რწმენის მაგალითია, ამ სიტყვების დავიწყებას ვერასდროს შევძლებ. იქნებ რწმენის ეს მინიმალიზმია სრული რწმენა, რომ ვერასდროს გაიგებ იმას, რაც უფლის ძალით ხდება; რომ ჩვენი გონება ისევე უძლურია დიადი აზრების სრულად აღსაქმელად, როგორც სხეული – მისთვის შეუსაბამო სიმძიმის ასაწევად.

ზიარებაზე უარის თქმა ნიშნავდა:

უარის თქმას ჩვენს განვლილ ცხოვრებაზე ღმერთში;

უარის თქმას ქრისტეზე;

უარის თქმას მომავალ მარადიულ ცხოვრებაზე;

უარის თქმას ცხოვრების აზრსა და მიზანზე;

უარის თქმას სიცოცხლეზე.

რა დარჩებოდა ჩვენგან?

ჩალით გამოტენილი უსიცოცხლო გაქუცული ფიტული ლობიოს მარცვლებით თვალების ნაცვლად.

ეკლესიაში მისვლის აკრძალვა არ იყო უცხო ჩვენი თაობისთვის. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ეკლესიაში სიარული საფრთხეს შეუქმნიდა ჩვენს კარიერას. ძალიან სასაცილო იყო საბჭოთა კარიერა! პარტიული ლიდერების ქებით გაჯერებული დისერტაციები, მათივე ციტატებით გაჯერებული ლექციები და ტყუილი წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ, ტყუილი ყოველ ფეხის ნაბიჯზე!

ამჯერად სასწორზე თითქოს სიცოცხლე დაიდო – ჩვენი, ჩვენი ოჯახის წევრების, თანამოქალაქეების. სოციალურ ქსელებში აქვეყნებდნენ ე.წ. „სთორებს“, როგორ ატარებდნენ დროს და არავის უთქვამს, რომ ეს ისეთივე საშიში იყო ვირუსის გავრცელებისთვის, როგორიც ნებისმიერი თავყრილობა, სადაც წესი ირღვეოდა.

სიცოცხლე ღმერთის გარეშე ეგონათ სიცოცხლე, ხოლო სიკვდილი ღმერთთან – სიკვდილი. სინამდვილეში მხოლოდ ღმერთთან ყოფნაა სიცოცხლე აქაც, სააქაოში და იქაც, საიქიოში.

ეს კიდევ ერთხელ გავიაზრეთ თბილისური თეთრი ღამეების დროს – დღისითაც და ღამითაც. პრინციპში, დღეც და ღამეც თეთრი ღამე იყო: დღე – უხალხო და ცარიელი, ღამე – უძილო და სევდიანი.

უფლის სიტყვები კიდევ ერთხელ გაცხადდა: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“[1].

[1] მათ. 6, 33.

არც არასდროს ვყოფილვართ პირბადის, სადეზინფექციო ხსნარისა და გამჭვირვალე ფარის იმედად (თუმცა არც მათ გამოყენებაზე გვითქვამს უარი).

ქეთევან ღოღობერიძე

აბბა ალექსანდრეული მიტროპოლიტი ეკვითი ნი

ბრძოლა მართლაც ბევრი იქნება. გოლგოთა მხოლოდ შენით და შენთვის
გასავლელად იქნება სასიხარულო, უფალო, რომელსა გშვენის
დიდება მამისა თანა სულით წმიდითურთ
აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.



ებბა ალაკვერდელ მიტროპოლიტ დავითს, ჩვენს მოძღვარსა და წინამძღოლს სულიერი ცხოვრების გზაზე, 60 წელი შეუსრულდა. ყურნალ «ალაკვერდის» redაქცია ულოცავს მეუფე დავითს საიუბილეო თარიღს.

აღიაკერდი

ძღვა ჯვარიმა

+ რისცვე ალსდგა
ბავდრეთით სიკვდი
ლითა სიკვდილ
ისა დაეთრგო
ნველი და
საფლავე
ბისშინ
ეთა ცხოვ
რე
ბის
მი
ენ
ჭ
ეფ
ელ
ი::

„როგორც მსგავსება შვილებისა მშობლებთან, ისე ჩვენი მსგავსება
წინაპრებთან ღირსეულს ჰყოფს ჩვენს მყოფობას ამ ცისქვეშეთში. ტკივილსა
და სიხარულში, ლოცვითა და შრომით იქმნება მომავალი მსგავსი ისტორიები“.
ეს სიტყვები აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითს ეკუთვნის.
ალავერდობის დღესასწაულს კი ასე განმარტავს მეუფე:

„სამი რამ ერთად არის შეკრებილი ალავერდობის დღესასწაულში:
ღვთით მოცემული ხელისუფალი – წმინდა ქეთევან დედოფალი,
ქვეყნიერების გამომხსნელი ჯვარი და წმინდა იოსებ ალავერდელი –
ღირსი მამა, სიმბოლო ეკლესიის სწავლებისა.
ეს არის უწყვეტი ჯაჭვი ძლიერებისა, რომელიც უნდა დავიცვათ, შევინარჩუნოთ.
ეს სამეული ჩვენი ერისთვის პასუხია, თუ რით გადავრჩით, როგორი ერთობით
უნდა ვიყოთ დღეს, ვის უნდა ვავედრებდეთ ამ ერთობას და რა იქნება
მომავალში ჩვენი გამარჯვების საწინდარი. ეს არის, გარკვეულწილად, ხატი,
შიფრი დღევანდელობისთვის. ქრისტესმოყვარე ერი მსასოებელია
იმ ზეციური მფარველობისა, რასაც ჯვარი ჰქვია და იმ მიწიერი ერთობისა,
რასაც საერო და სასულიერო პირთა ჯვრის გარშემო ერთობა ჰქვია“.

ჩვენი მოძღვრის, აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის სამღვდელ-მთავრო მსახურების 28 წელი სწორედ ამ ერთობით შრომის ნათელი მაგალითია. მრავალი სფერო მოიცვა მისმა ფიქრმა და ზრუნვამ: ძველი ტიპიკონის დამკვიდრება სამონასტრო ცხოვრებაში, ძველი ქართული დამწერლობა, კალიგრაფია და ქართული საგალობლები, დაცული ტერიტორიები, ტრადიციული და სამონასტრო მეურნეობების აღდგენა, ძველი ქართული ტრადიციული ქვევრის ღვინის აღორძინება, საგამომ-ცემლო საქმე, საეკლესიო ხელოვნება თუ ქართული სულიერი და მატე-რიალური ძეგლების გადარჩენის მეტად მნიშვნელოვანი საქმე.

ყოველი საქმე, ახალაშენებული თუ აღდგენილი ტაძარი და მონასტერი გადახდილი სულიერი ბრძოლის დასტურია, რომელიც ღვთის მოწყალე-ბამ დაასრულა და გვირგვინი დაადგა. ამ ბრძოლას ყველა თავის პალეს-ტრაზე – ბრძოლის ველზე წარმართავს, ღვთის შეწევნითა და მოძღვრის წინამძღოლობით. თვით წინამძღვრის მიერ მრავალთათვის გადახდი-ლი ბრძოლა კი უხილავი რჩება კაცთათვის და მხოლოდ ღვთისთვისაა სახილველი. ჩვენი მოძღვრის, მეუფე დავითის ჩვენი სულების გადარ-ჩენისთვის ბრძოლაც – თვალისთვის უხილავი, ხელით შეუხებელი და სიტყვით აღუწერელი – 30 წელზე მეტია თავგანწირვით აღესრულება. ამ ბრძოლის ხილულ მოწმეებად კი რჩებიან ღვთის სადიდებლად და ჩვე-ნი სულების სახსრად აღდგენილი და აშენებული ეკლესია-მონასტრები.

მრავალი ფიქრით მოცული სამღვდელმთავრო მსახურება საზოგადო მსახურებას წარმოადგენს, რომელსაც მეუფე-ბერი ასე ხედავს:

„ყოველი საქმის წარმატება უპირველესად ცოდნას ემყარება. ღმერთზე ცოდნა, სულით და გულით განათლება — სიწმინდეა. სათქმელი ბევრია. დრო არასაკმარისი. თავს ვესაუბრები და ვცდილობ ღვთის წინაშე ენით გამოუთქმელი სინანულის სათქმელი ვთქვა.
ჰე, უფალო, შემინდე და შემიწყალე“.

პეტრე მოციქულს მისდამი სიყვარულის დასამტკიცებლად მაცხოვარმა უბრძანა, თუკი გიყვარვარ, „დამწყსე ცხოვარნი ჩემნი“. ჩვენი მოძღვრის მიმართ მადლიერების გამოხატვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუკი გავაცნობიერებთ, რომ მან გვიტვირთა ქრისტეს სიყვარულით და დაშვრა, რათა წარგვადგინოს „სრული, ქრისტე იესოს მიერ“, რომელსა შვენის დიდება აწ და უკუნისამდე. ამინ.

მადლიერებით,

ქრისტესმიერ დებთან ერთად

ალავერდი იყო და არის სამეფო მონასტერი. აქაურობას დღემდე ეტყობა ჩვენი მეფეების ზრუნვის კვალი. ალბათ საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება ამ მასშტაბის მონასტერი. თავისი სიდიადითა და სიწმინდით ალავერდი, მართლაც, გამორჩეულია.

აქ მოსვლის შემდეგ სულ მქონდა განცდა, რომელსაც სიტყვით ვერ გამოვთქვამდი. გავიდა წლები და ეს განცდა შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს – ალავერდი თავისი სულითა და გარეგნული შეხედულებით არის მეფური დიდებულებისა და ბერული უბრალოების. ეს ორი რამ შერწყმულია

მასში. ძნელია იყო ხელმწიფე და ამავდროულად იყო ერთი მწირი, ყარიბი, რომელსაც არაფერი გააჩნია – ღვთის ერთგულებისა და სიყვარულის გარდა. ალავერდს ასე აღვიქვამ, მსურს, ამ ნიშნით გამოირჩეოდეს და ცხოვრების ამ წესის მაკურთხეველი და მომცემი იყოს; მეფური სიდიადე და ღირსება ჰქონდეს ყველა მონაზონს და მონაზვნის თავმდაბლობასა და უბრალოებას ატარებდეს თითოეული, ვინც აქ იცხოვრებს...



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სთან ერთად. 1992 წ.

მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების შემდეგ აღორძინება დაიწყო სამონასტრო ცხოვრებამ. საჭირო გახდა ძველი მონასტრების აღდგენა-რესტავრაცია. მომრავლდნენ ახალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობის მსურველებიც. აღმშენებლობით პროცესში აუცილებლად უნდა ჩართულიყვნენ ქვეყნის წამყვანი მკვლევრები, სპეციალისტები, მეცნიერები. მისი უწმიდესობის კურთხევით ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი ჩაუდგა სათავეში. 2003 წელს საპატრიარქოში შეიქმნა ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი, რომლის თავმჯდომარეა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მისი მოადგილე კი – მეუფე დავითი. ცენტრის საქმიანობას უძღვება საბჭო, რომელიც უფრო ადრე, 1988 წელს დაფუძნდა.

რთული იყო ეკლესიის წიაღში შექმნილიყო ისეთი საბჭო, რომელსაც საზოგადოება გაუწევდა ანგარიშს. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ასეთი ფართო საეკლესიო მშენებლობა, სინოდის ასეთი მრავალმხრივი მოღვაწეობა... სპეციალისტები ამბობდნენ, რომ არ შეიძლებოდა რაიმე ძეგლის აღდგენა. მას უყურებდნენ როგორც მკვდარ, არქეოლოგიურ არტეფაქტს, მხოლოდ ხელოვნების ნიმუშს. მეუფე დავითი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ეს არ არის ძეგლი, არ არის არქეოლოგიის ის ნაწილი, რომელსაც არ სჭირდება აღდგენა. ეს ცოცხალი ორგანიზმია. თუ არა ეკლესიების აღდგენა, თუ არა მის გარშემო მონასტრული ცხოვრების გაფართოება, გაშლა, შეუძლებელი იქნებოდა ფუნქციონირება იმისა, რასაც ჰქვია ეკლესია, ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ღვაწლი. წინააღმდეგობა იყო ძალიან დიდი. პირველი მოდელი მეუფემ ალავერდის ეპარქიაში განახორციელა.

მერაბ ბუჩუკური
თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მონუმენტური ხატწერისა და რესტავრაციის კათედრის გამგე, პროფესორი

2005 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის გადაწყვეტილებით, სხვადასხვა სამინისტროს ჩართულობითა და კომპანია „ბადაგონის“ ხელშეწყობით დაიწყო ალავერდის მონასტრის რეაბილიტაციის ფართომასშტაბიანი პროგრამის განხორციელება.

როთა განმავლობაში ბუნება ზეგავლენას ახდენს, ქვა ძველდება, სკდება, ფუჭდება. ამიტომაც არსებობენ სპეციალისტები, რესტავრატორები, მშენებლები, კირითხურონი. უზარმაზარი ცოდნა გროვდება და საჭიროა ამ ცოდნის გონივრულად გამოყენება. ეს გონივრულობა კი არის – ძველს შევუნარჩუნოთ თავისი ბრწყინვალება, ღირსება, სიდიადე და ჯეროვნად გადავცეთ მომავალ თაობას, რომ მანაც გაიაზროს და დაინახოს, როგორ მოვუფრთხილდეთ წარსულს.

როდესაც ძველი ეკლესია-მონასტრებისა თუ საცხოვრებლების აშენება ან რეაბილიტაცია ხდება, ძალიან მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ნიჩბით, დღეს კი უკვე ექსკავატორის ციცხვით შეიძლება გადავყაროთ, დავაზიანოთ უძვირფასესი ისტორია. წარსულის მოფრთხილება ძალიან მნიშვნელოვანია. ვერაფერს აღვადგენთ, თუ ჯერ არ გამოვიკვლიეთ.

აბგა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

აღდგენით პროცესს წინ უსწრებდა მონასტრის ტერიტორიისა და კონკრეტული ობიექტების გეოლოგიურ-არქეოლოგიური კვლევა, რომელსაც ამ დარგების სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ.

ალავერდის ფერისცვალება დაიწყო 2005 წლის სექტემბერში, ღირსი იოსებ ალავერდელის ხსენების დღეს, სადღესასწაულო ღამისთევის შემდეგ. გულშეძრული დავდიოდი და ვუყურებდი შეზარხოშებულ ხალხს. მათ ღამე მონასტრის გარეთ გაეთენებინათ და ახლა მონასტრის ეზოში დაბორიალობდნენ, ზოგიერთი მათგანი შეუფერებლადაც იქცეოდა.
ამ ყველაფრის გამო გული დამძიმებული გვქონდა, მაგრამ ღირსი იოსებ ალავერდელის მეოხებას ვსასოებდით. ამ დროს გაისმა სატელეფონო ზარი. პატრიარქმა მოგვილოცა ალავერდობის დღესასწაული და აკურთხა ადამიანების ჯგუფი, რომელთა შემწეობითაც ალავერდში აღორძინების პროცესი დაიწყო.

იმ წელს ალავერდობის შესახებ ფილმი გვქონდა გადაღებული, რომელიც გარკვეულწილად ეხმიანებოდა გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობას“ – ჩვენთვისაც მიუღებელი იყო ეგრეთ წოდებული „მომლოცველების“ უდიერი საქციელი ამ წმინდა ადგილას. ვაპირებდით 2006 წლის ალავერდობისთვის, ერთი კვირით ადრე, ტელევიზიით გაგვეშვა ეს ფილმი, რომ ამით მაინც შეგვეჩერებინა მოჯარული, მოძალებული მოქეიფეები. ღმერთმა სხვაგვარად განაგო. ვმადლობთ ღმერთს და ვმადლობთ ჩვენს პატრიარქს.

აბგა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

ნაყარი მიწისგან გაწმენდილი ეზოს არქეოლოგიური კვლევის შედეგად ალავერდის მონასტრის ტერიტორიაზე აღმოჩნდა XI, მოგვიანებით კი – VIII საუკუნის მარნები, გამოვლინდა ძველი გალავნის მნიშვნელოვანი მონაკვეთი და თავდაცვითი საფორტიფიკაციო ნაგებობის სისტემა, ასევე, საერო და რელიგიური დანიშნულების სხვადასხვა სათავსო-ნაგებობა.

კვლევის შემდგომი ეტაპი ალავერდის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ კედლის მიმდებარე ტერიტორიაზე ადრეული შუასაუკუნეებისდროინდელი დარბაზული

ეკლესიის შესწავლა იყო, რომელიც ალავერდის XI საუკუნის გუმბათოვან ტაძრამდე აუგია აქ ღირს მამა იოსებ ალავერდელს. გათხრების შედეგად აღმოჩნდა კერამიკული ქურები, თავდაცვითი კოშკი, საწნახელი, აგურით ნაგები აკლდამები და მოზრდილი ზომის ფიქლით გამართული ე.წ. საოჯახო სამარხები; ასეულობით ერთეული არქეოლოგიური არტეფაქტი, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი ადრეული შუა საუკუნეებიდან გვიან შუა საუკუნეებამდე პერიოდს მოიცავს.

ალავერდის მონასტერი.
2004 წ.

მონასტრის კარიბჭის ტერიტორიის
გაწმენდა ნაყარი მიწისგან. 2004 წ.



საეპისკოპოსო სასახლე (XVI-XVII სს.)
XX ს.-ის 90-იანი წლები

საეპისკოპოსო სახლი
რესტავრაციის შემდეგ

არქეოლოგიური გათხრები
საკათედრო ტაძრის
ჩრდილო-დასავლეთ უბანზე;

ალავერდის ძველი
ბაზილიკური ეკლესიის
გათხრები

მარცხნივ:
ღირსი იოსებ ალავერდელის სიმბოლური ლუსკუმა;
მარჯვნივ:
ღირსი მამის ახლად გამოვლენილი სამარხი

არქეოლოგიური სამუშაოებისას ტაძრის ჩრდილოეთ მკლავის აფსიდში აღებულ იქნა იოსებ ალავერდელის საფლავის მარმარილოს სიმბოლური ლუსკუმა, რის შემდეგაც კედლის სისქეში, თითქმის მთელ სიგრძეზე, გამოჩნდა სამარხი, რომელსაც მწვანე ფერის თეძმის ტუფის ქვით გამშვენებული XI საუკუნის ორნამენტირებული თარო აქვს და წმინდა იოსებ ალავერდელის საფლავის ადგილს აღნიშნავს.

დღეისთვის აღდგენილი და რესტავრირებულია:

♦ XVI საუკუნის საეპისკოპოსო სასახლე ისტორიული სატრაპეზოთი; მეორე სართულზე იკურთხა წმინდა იოანე ნათლისმცემლის მუცლადღების ეკლესია;

♦ ფეიქარ-ხანის ეპოქის, XVII საუკუნის „საგრილობელი“, სადაც სამომავლოდ მონასტრის წიგნთსაცავი განთავსდება;

♦ XVI საუკუნის აბანო, რომელიც უნიკალურია, როგორც ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში წყლის გამათბობელი სისტემებით, სხვა კომუნიკაციათა ქსელით, შადრევნით, მოჭიქული იატაკითა და ინტერიერის სხვა დეტალებით;

♦ მონასტრის საძვალე;

♦ მონასტრის ტერიტორიაზე ჟამთა სიავის გამო მრავლად იყო მიმოფანტული საფლავის ქვები. არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების შემდეგ სამოცზე მეტი საფლავის ქვა შეიკრიბა და დალაგდა ტაძრის დასავლეთით, საგანგებოდ გამოყოფილ ადგილზე, სადაც მონასტრის ნეკროპოლი მოეწყო.

ისტორიული შენობა – „საგრილობელი“
რესტავრაციამდე და აღდგენის შემდეგ

მონასტერთან მდებარე XVI ს.-ის აბანო რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ

2019 წელს მეუფე დავითის ლოცვა-კურთხევითა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსებით განხორციელდა სამეცნიერო პროექტი „ალავერდის ნეკროპოლის წარწერები“. მისი მიზანი იყო მონასტრის ეზოსა და თავად ტაძარში არსებული საფლავების ქვებისა და ეპიტაფიების გრაფიკული ასლების დამზადება, მოხსენებულ პირთა იდენტიფიკაცია და წარწერების ცალკე კატალოგად გამოცემა. ტაძარში მდებარე რამდენიმე საფლავის ეპიტაფია გამოცემული აქვს პროფ. თ. ბარნაველს, დანარჩენ მასალას კი აღნიშნული კატალოგის საშუალებით პირველად გაეცნო ფართო მკითხველი. წიგნის ავტორია არქეოლოგი გ. ლაღიაშვილი.

მონასტრის საძვალე და ნეკროპოლი

ძველი ისტორიული შენობის – პალატის ნანგრევები

სამომავლო სიძველეთსაცავი

დასრულდა მონასტრის ისტორიულ გარემოში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი პალატად წოდებული ნაგებობის აღდგენა-რეკონსტრუქცია, სადაც ალავერდის სიძველეთსაცავი-მუზეუმი უნდა განთავსდეს. აქ დაივანებს არტეფაქტები, რომლებიც არქეოლოგიური კვლევის პროცესში გამოვლინდა მონასტრის ტერიტორიაზე. პროექტით გათვალისწინებულია, რომ სიძველეთსაცავს რამდენიმე დარბაზი ექნება, სადაც თემატურად გამოიფინება საეკლესიო ხელოვნების ნიმუშები. ასევე აქ მოეწყობა სარესტავრაციო სახელოსნო-ლაბორატორიები მეცნიერთათვის, რომლებიც ათწლეულების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდნენ ერის კულტურულ საუნჯეს. მათ საშუალება ექნებათ, იცხოვრონ და იმუშაონ ისტორიულ გარემოში.

საეკლესიო და ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების პროექტი ითვალისწინებს: საეკლესიო ხელოვნების ნიმუშებისთვის აუცილებელი განათებისა და ტემპერატურული რეჟიმების ორგანიზებას, ვიდეომეთვალყურეობას; სიგნალიზაციის სისტემის გამართვას; უსაფრთხოების სხვა ეფექტურ, მაღალ სტანდარტებს.

თავდაპირველად აღდგენითი პროცესის განხორციელება მეუფემ ალავერდში დაიწყო არა ტაძრით, არამედ უფრო გვიანდელი ეპოქის სამღვდელმთავრო სახლით, რომელსაც გარკვეული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და ამავე დროს, დღევანდელი საჭიროებებიდან გამომდინარე, მცირედი ნაწილის მიშენებაც გახდა აუცილებელი. ცვლილება ორგანულად მიესადაგა იმ გარემოს. შემდეგი ნაბიჯი მონასტრის ტერიტორიაზე XI საუკუნის ღვინის მარნის აღდგენა იყო. ქართველები შინაგანად კონსერვატორები ვართ, ყველაფერს ცოტა მძიმედ ვუყურებთ, სანამ შედეგს დავინახავთ, თუმცა ალავერდში ყველაფერი წარმატებით განხორციელდა. შემდეგ, ხუროთმოძღვრების საბჭოსა და კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან შეთანხმებით, ალავერდის მონასტრის ეზოში ძველი შენობის ადგილას აშენდა საეკლესიო მუზეუმი, რომელიც საოცრად ჩაეწერა გარემოში, თითქოს შეავსო იქ არსებული სიცარიელე.

მეუფის ეს გადაწყვეტილება იმ დამოკიდებულებას ეფუძნება, რომელიც ისტორიულად გვქონდა და, ვფიქრობ, სწორია. ჩვენს ხალხს რომ არ აღედგინა საუკუნეების მანძილზე დანგრეული, იავარქმნილი ეკლესია-მონასტრები, არ გვექნებოდა არც ალავერდი, არც სვეტიცხოველი... ძალიან ბევრი ტაძარი დროთა განმავლობაში მიწისძვრისა თუ ავბედობის ჟამს ინგრეოდა, ზიანდებოდა. ამის მაგალითად სიონიც კმარა, შორს რომ არ წავიდეთ. მაგრამ, როგორც კი შესაძლებლობა გაჩნდებოდა, ჩვენი წინაპრები მაშინვე აღადგენდნენ ხოლმე. მეუფეც ზუსტად ამ კვალს მიჰყვება – იმ განსხვავებით, რომ ახლა ბევრად უფრო მეტი შესაძლებლობაა კვლევის, შესწავლის, რომ უფრო დავუახლოვდეთ ძველ სახეს.

პროფ. მერაბ ბუჩუკური

ალავერდის მონასტრის აღდგენილი პალატი

ალავერდის მონასტერი შეიმკო წმინდა ხატებით. ამ ღვთივსათნო საქმეში მრავალმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

მონასტერსა და მის მთავარ ტაძარში დაბრძანებული ხატებიდან აღსანიშნავია:

- ღირსი მამის, აბბა იოსებ ალავერდელის ხატი;
- კახეთის დედოფლის, წმინდა ქეთევან წამებულის ხატი, რომელშიც მოწამე დედოფლის წმინდა ნაწილია ჩაბრძანებული;
- საქართველოს დიდების ხატი;
- ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და წმინდა მოციქულთა ხატები, რომლებიც საგანგებოდ მონასტრისთვის დაიწერა ათონის წმინდა მთაზე;
- პეტრიწონის ღვთისმშობლის უძველესი ქართული ხატის ასლი, რომელიც ბულგარეთში შეიქმნა;
- კიევ-პეჩერის მღვიმეებში მოღვაწე მამათა ხატი, რომლის ზურგზე წმინდა ნაწილებია ჩაბრძანებული (დაიწერა კიევ-პეჩერის ლავრაში);
- კიკოს ღვთისმშობლის ხატი;
- სინას მთის მაცხოვრის ხატი;
- ღირსი სერაფიმე საროველის ხატი, რომელიც დივეევოს სავანეში დაიწერა;
- ღირსი ეფროსინე პოლოცკელის ხატი წმინდა ნაწილით, რომელიც ბელარუსიდან ჩამობრძანდა;
- ზარზმის ღვთისმშობლის ხატი;
- წმინდა ნინოს ხატი;
- ღირსი გაბრიელ აღმსარებლის ხატი;
- დავით აღმაშენებლის ხატი;
- თამარ მეფის ხატი;
- ქართველ წმინდა მეფე-დედოფალთა ხატი;
- ძმები კარბელაშვილების ხატი;
- პოჩაევოს ღვთისმშობლის ხატი უკრაინიდან;
- წმინდა მშობლების ვედრება წმინდა დიდმოწამე გიორგისადმი;
- ათორმეტი დღესასწაულის სატაძრო ხატები;
- გარდამოხსნისა და დატირების ხატი დიდი პარასკევის მსახურებისთვის.



ალავერდის ტაძრის საკურთხეველი, სადაც დაფლულია წმინდა დიდმოწამე დედოფლის ნანილები. აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის ნახატი

2017 წლის შემოდგომაზე საქართველოში ინდოეთიდან დიდმოწამე ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ჩამობრძანდა. ალავერდობის დღესასწაულებზე წმინდა ნაწილები ალავერდის მონასტერში დააბრძანეს.

2000 წელს ქრისტესთვის წამებული და სამშობლოსთვის თავდადებული წმინდა დედოფლისადმი მიძღვნილ სიტყვაში მეუფე დავითი წერდა:

ჯ

საღვთო, ჰოი, სანატრელი გვესმის ხმა უფლისა. კახეთის დედოფალი ქეთევან, ქართველთა მაგალითი, შვიდმნათობიერი მოწამე, პატრონი ჩვენი, მეოხი ჩვენი. სიტყვა ვერ გადმოსცემს მის ღვაწლს, მისი მზრუნველობის სიდიდეს. მრავალტანჯული ჩვენი ქვეყნის მრავალტანჯული დედოფალი, რკინის ჭანგებით დაგლეჯილ სხეულში მზეებრ გამობრწყინვებული მტკიცესული, რწმენა ქრისტესი. როგორც ორლესული მახვილი, მისი ცხოვრება ჩვენი ერის რწმენა-ზნეობის მცველად დგას.

უფალი ბრძანებს, ვინც კაცთაგან მოელის წარმავალ დიდებას, ის დააკლდება სამარადისო, ბრწყინვალე დიდებას. მოწამე დედოფალმა თავისი ადამიანური სუსტი მხრებით ზიდა უფლის სიტყვები: „არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი...“ წარმავალი, ხრწნადი პატივისა და დიდების წილ უფლისგან ჯილდო – გვირგვინი მოწამისა დაიდგა. შაჰის ცოლობას, და მით ერის სულიერ გახრწნას, მხნედ აღუდგა, საპყრობილე „ზეციურ პალატად“ აქცია და ამით ჩვენ გვიქადაგა – „არა არს უფროსი სიყვარული, ვიდრე მოყვასისთვის თავის დადება“.

აჰა, ქართველნო, მამანო და დედანო, ყმაწვილნო და ასაკოვანნო, კიდევღა ცოცხლობს ჩვენ შორის დედოფალი ქეთევან?! რწმენა ქრისტესი, თავდადება ერისთვის, მოყვასისთვის, მოთმინება განსაცდელისა, აღზრდა პირადი მაგალითით ჯანსაღი თაობისა?

რამდენმა წარმავალ პურზედ გაცვალა სამშობლო ქვეყანა?! რამდენმა მოყვასს ზურგში დანა დასცა?! რამდენმა წმინდა ტაძრები, ხატები შეაგინა?! რამდენმა რწმენა გამოიცვალა?!

როცა წარვდგებით ღვთის წინაშე პასუხის გებად, ერთ-ერთი მამხილებელი წმინდა დედოფალიც იქნება და გვეტყვის – განა ჩვენც არ გვიჭირდა? განა ჩვენც არ გვებრძოდნენ? განა ჩვენც ამ მიწას არ გვართმევდნენ? სად გაქრა ძირი თქვენი ძლიერებისა – შიში ღვთისა და სიყვარული მოყვასისა? სად დაშრა წყარო მაცოცხლებელი, ცრემლი სინანულისა? მაშინ გესმათ ხმა უფლისა: „რომელმან უარმყოს მე წინაშე კაცთა, მეცა უარვჰყო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა“.

ჰოი, საშინელი სამსჯავრო, ტირილი და გოდება გვმართებს, თუკი ეს ყველაფერი დავივიწყეთ.

წმინდა მოწამე შვიდმნათობიერი ქეთევან იყოს თქვენი შემწე და მფარველი! ვისურვებდი ჩვენი ერის რწმენას მტკიცეს და თავდადებას, კეთილგონიერებასა და თავმდაბლობას.

არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩენილი ზეითუნის ზეთის ცივი წესით სახდელი ქვა

სამონასტრო კომპლექსი მხოლოდ ტაძრები და მონაზონთა საცხოვრებელი არ არის; ალავერდის მონასტრის გარემო ინფრასტრუქტურული შენობებითა და გამწვანებით მთლიანობაში სისრულის განცდას ქმნის.

მონასტრის ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩნდა ზეთისხილის ზეთის ცივი წესით სახდელი ქვა; ამან განაპირობა აქ ზეთისხილის ბაღის გაშენება. ყველაზე ხანდაზმული ზეთისხილის ხე, რომელიც საგანგებოდ მონასტრისთვის ესპანეთიდან გამოიგზავნა ქართველი მეცენატის დიმიტრი აბდუშელიშვილის შემწეობით, შეიძლება ითქვას, რომ ალავერდის მონასტრის ასაკისაა.

1500 წლის ზეთისხილის ხე ზეთისხილის ბაღში

მონასტრის ბაღები

ალაზნის ველზე, ალავერდის მონასტრის გალავანს 100 მეტრში ჩამოუდის ხოდაშნისხევი, რომლის დაზიანებული სათავე და მორღვეული ნაპირსამაგრი ჯებირები ნალექიან ამინდში ღვარცოფს წარმოქმნიდა. ბოლო 30 წლის მანძილზე კალაპოტი არ გაწმენდილა. ინერტული მასალით ამოვსებული ხევი წყალს ვერ ატარებდა, რის გამოც მონასტერი რამდენჯერმე დაიტბორა. მდინარე ძირს უთხრიდა ისტორიულ გალავანს. წმინდა გიორგის ტაძრის ქვის იატაკი ობის მწვანე ფენამ დაფარა. არქეოლოგიური კვლევისას გასუფთავებული ეზოს მონაკვეთი შლამითა და ტალახით აივსო. დაზარალდა მონასტრის სამეურნეო ნაგებობები. საფრთხე შეექმნა ალავერდის მონასტრის მთავარ ტაძარს.

2008 წელს გაიწმინდა და გაფართოვდა ხევის კალაპოტი. 2011 წელს ჩატარდა საინჟინრო სამუშაოები ხევის წყლის კალაპოტში მოსაქცევად; გამაგრდა ნაპირი, მოეწყო წყალამრიდი გაბიონი.

ხოდაშნის ხევის ადიდებისას დატბორილი მონასტრის ტერიტორია

დამცავი გაბიონის მშენებლობა

ფიქრობთ, ჩვენი ყოველი სიხარული პატრიარქის ლოცვით ღვთისგანაა გამოთხოვილი. როცა ცოტა ხნის წინ, მისი უწმინდესობა ალავერდში ბრძანდებოდა და მონასტრის განახლება-აღორძინების პროცესი იხილა, დიდად გაიხარა. ამის შემდეგ, თბილისში ჩასულს, ყოველთვის მეკითხებოდა: „რა ხდება ალავერდში?“

მსმენია, აღსაყდრებიდან ერთი წლის თავზე, 1979 წელს, მისი უწმინდესობა ალავერდობის დღესასწაულზე მობრძანდებოდა. მილიციის კორდონმა გზა გადაუღობა, მილიციელები რეგიონში გავრცელებული ეპიდემიის გამო გამოცხადებულ კარანტინს იმიზეზებდნენ, რომ არ მიეცათ პატრიარქისთვის დღესასწაულზე დასწრების საშუალება. მაშინ ახალგაზრდებმა, მათი ასაკისთვის ჩვეული სიფიცხით, მილიციელებთან კამათი დაიწყეს, მაგრამ მისმა უწმინდესობამ დაამშვიდა ისინი, ავტომანქანიდან გადმოვიდა და ფეხით გააგრძელა გზა ალავერდისკენ. ალბათ, იმ დღიდან ალავერდის მდგომარეობა მისთვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო და ამიტომ ხშირად კითხულობდა: „რა ხდება იქ?“

აგბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

ალავერდობა. 1979 წ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ალავერდელ მიტროპოლიტ გრიგოლთან (ცერცვაძე), სამღვდელოებასა და ერთან ერთად

ალავერდის სიძველეთსაცავის პროექტის წარდგენა. 2006 წ.

«ძალიან გამახარა ალავერდის სულიერმა ცვლილებებმა.

ასე მოკლე დროში ამდენი რამ როგორ მოასწარით. წარმოუდგენელია, დიდებულია.

ალავერდი სვეტიცხოველის სადარი უნდა გახდეს, ის უნდა ბრწყინავდეს.

თქვენ გეგონათ დამთავრდა? ახლა იწყება ყველაფერი».

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
2008 წ.

* * *

2000 წელს, ღვთის კურთხევით, ორი დედაქალაქის – მცხეთისა და თბილისის – გასაყარზე მდებარე ადგილას გამოჩნდა ახალი სავანის აგების შესაძლებლობა. მოგვიანებით მეუფე დავითი იტყვის, რომ ამით ალავერდის რესტავრაციის დაწყებამდე წლების მანძილზე ნაფიქრის მოსინჯვის საშუალება მიეცა – ამ სავანის აშენება იყო მომზადება, გენერალური რეპეტიცია ალავერდის რეაბილიტაციის წინ.

წმინდა იოანე ნათლისმცემლის დედათა სავანის დაფუძნება ჩვენი ქვეყნის წმინდა ადგილების, მცხეთისა და გარეჯის სიყვარულმა განაპირობა. ის ხუროთმოძღვრების ღირსეული თანამედროვე ძეგლია, რომელიც ძველი სამონასტრო ტრადიციების დაცვით, ბუნების დაუზიანებლად და მასთან შერწყმით აშენდა.

ადგილი, ჩვენგან იოანე ნათლისმცემლის უდაბნოდ წოდებული, ღვთივ გამოგვიჩნდა. დედა ღვთისმშობლის მფარველობითა და დიდი წინასწარმეტყველისა და წინამორბედის შეწევნით გაძლიერებული, ღვთის განგებულებით დღევანდლამდე კაცთაგან დაფარულ ამ ადგილზე მოსული, საოცარი ხილვის მოწმე გავხდი: გარემო ფერითა და კლდოვანით, მცენარითა და ცხოველით ახალ გარესჯად წარმომიდგა. ხოლო ქარაფიდან ქვემოთ, ჩრდილო-დასავლეთით – უფლის კვართის საბრძანებელი, უძველესი წმიდა ქალაქი მცხეთა. რომელსაც ერთი მხრით მაღლობიდან ჯვრის მონასტერი დაჰყურებს, ხოლო მეორე მხრით ბაგინეთის მთის ფერდობს ზემოდან – კარსანის წმიდა ნინოს ეკლესია. ამ წყალობის შემდეგ ყოველთვის ამ ადგილზე მოსული დიდხანს, საათობით ვრჩებოდი. მაშინ ვერც ვიფიქრებდი, თუ როგორ და რით აშენდებოდა ახალი სამყოფელი. ადგილიც საკმარისი იყო სალოცავად. მხოლოდ უფლის მოწყალებამ შეძლო დღევანდელი ფერისცვალება ამ ადგილის. მოსახლეობა მას ჩაკიდული თხემისა ადგილს უწოდებს.

აბბა ალავერდელი
მიტროპოლიტი დავითი



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ჩაკიდული თხემების წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანეში. 2006 წ.

ღვთის სასწაულია, რომ ეს მონასტერი დაფუძნდა. სანამ მონასტერი აშენდებოდა, აქ არაფერი იყო კლდოვანისა და ხეებუჩქნარის გარდა. მართლაც უდაბნო იყო. დიდი ხანი ვეძებდი ადგილს მცხეთასა და თბილისს შორის, ოღონდ ის აუცილებლად გარეჯის მსგავსი უნდა ყოფილიყო. რომ დავდიოდი, ქვემოდან სულ ვუყურებდი აქაურობას და ვფიქრობდი, ნეტავ საიდან აქვს მისასვლელი. მაშინ აქ სასაფლაოების მხრიდან ნაგავსაყრელის გავლით უნდა მოსულიყავი, სადაც პირველად რომ გამოვიარეთ, საშინელი, აპოკალიფსური სურათი დამხვდა. შემდგომში დიდი ნუგეში იყო, ნაგავსაყრელიდან რომ ჩამოიხედავდი და ხედავდი, მონასტერი შენდებოდა.

როდესაც მონასტრის მშენებლობის აზრი წარმოიშვა, მივედი უწმიდესთან და ვუთხარი, რომ თბილისთან მიწის ნაკვეთი გადმოგვცეს, ვითხოვე კურთხევა ეკლესიის აშენებაზე. დაფიქრდა და დამეთანხმა. როგორი მიწაა, ბაღი თუ შეიძლება გაშენდესო. ვუპასუხე, რომ ქვიანი ადგილი იყო. რად გინდა ასეთიო. სხვას რომ გული არ მიუვიდეს, კლდიანი და ყველასთვის უვარგისი ადგილი ავირჩიე-მეთქი. შემომხედა და მაკურთხა.

ეს სავანე არ აშენდებოდა, ბატონი ვახტანგ ქუთათელაძე რომ არ ყოფილიყო. ყველა საქმეს წინამძღვარი, თავი სჭირდება. იშვიათია შემთხვევა, როდესაც შემწე, საქმეში გვერდში მდგომი ადამიანი არ არის თვითდაჯერებული, პრეტენზიული; როცა შეუძლია მოგისმინოს და თავისი აზრი გვერდზე გადადოს ან უარი თქვას, – ეს ყველაზე მნიშვნელოვანია ურთიერთობაში. ასეთი იყო ჩვენი ურთიერთობა. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ასეთ შედეგს ვერ მივიღებდით.

როგორც ძველი მონასტრების სიახლოვეს ჩნდებოდა დასახლება, ზუსტად იგივე განმეორდა. როგორც იოსებ ალავერდელი მივიდა გაუვალ ჭალებში და მერე იქ სოფელი გაჩნდა, ასე მოხდა აქაც.

დიდება და მადლობა ღმერთს და ყოვლადწმიდა დედა ღვთისმშობელს, რომელმაც ეს სავანე მოგვმადლა სანუგეშოდ და სულის სახსნელად.

აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე.
აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის ნახატი

ეს მონასტერი უფლის საჩუქარია. გარეჯის სიყვარულისთვის ღირსმა მამამ დიდი წყალობა მოიღო და გვაპოვნინა ეს ადგილი, რომელიც, მართლაც, მეორე გარეჯივით არის ყველაფრით.

ეს იქნება მონაზონთა დასახლებული მთა. შეიძლება ეს ახლა ზღაპარივით ჟღერდეს, მაგრამ „უკეთუ ღმერთმა ინებოს, ბუნება დაიძლევა“. ამის თქმის ძალას და უფლებას ამ პატარა სავანის არსებობა მაძლევს. აქ მონაზონთა სამყოფელი იქნება, ისეთი, როგორიც სინას მთაზეა, ათონის მთაზე. იქაც სწორედ ასეა, ფერდობზე შეფენილი. აქ იცხოვრებენ მონაზვნები, მარილი ამა სოფლისა, მარილი, რომელიც ამ სოფელს გადაგვარებისგან იცავს. და იქნება ასეთი საკრებულო მთა, სადაც ყველა მოვა, ერთი საერთო წეს-განგება ექნებათ და იცხოვრებენ ღვთისა დიდებით...





რა მიზიდავს ჩაკიდულ თხემებში? ესაა ძველი, უზარმაზარი გამოცდილების მორჩილი, მაგრამ გაცხრილული დამოწაფება ყოველგვარ ამბიციათა გარეშე. ესაა პრაქტიკულობისა და უპრეტენზიო სილამაზის თანყოფნა; ეს არის ასევე მცირეში დიდის ხილვა...

რითია ეს კომპლექსი თანამედროვე და აქტუალურიც დღევანდელობისთვის? აქ მოხდა ტრადიციის არა გარეგანი, არამედ საფუძვლიანი, დიდი ერთიანობის მატარებელი წვდომა-განახლება. სწორედ ამაშია ძალა ამ შესანიშნავი ჩანაფიქრის ხორცშესხმისა. მეუფეს ძალიან ღრმად ესმის ქართული სააღმშენებლო ტრადიცია – მთელი თავისი სირთულითა და ამასთანავე შინაგანი ერთიანობით.

სამსონ ლეჟავა
გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

* * *

ოცდამეერთე საუკუნის მონასტერს ახალი დროების ურბანულ არქიტექტურასთან საერთო არაფერი აქვს. იგი სწორედ მასშტაბით არის შთამბეჭდავი და საინტერესო. აქ ტრადიცია შემოქმედების წყაროდ, ენერგიად იქცა. ტრადიციით დამუხტულმა აწმყომ შესაფერისი საყრდენი პოვა და შეიქმნა ძველისა და ახლის ერთობლიობის საუკეთესო ნიმუში. იოანე ნათლისმცემლის სავანე სწორედ ამ შეთანხმებული სინთეზის მაგალითია.

ნინო ლაღიძე
არქიტექტორი, ჟურნალ „სტილის“ მთავარი რედაქტორი

ზემო - ინგილო
0
5
10
15 კმ.

ალავერდის ეპარქიის ეკლესია-მონასტრები

აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის ნახატი

* * *

1993 წლის სექტემბრის დასაწყისში ბოდბის მონასტრიდან მეუფესთან ერთად ოთხნი წამოვედით. ერთი „ნივით“ ჩამოვედით თელავში... მამა მიქაელი მაშინ დიაკვანი იყო და ოჯახიც ახალი შექმნილი ჰქონდა, მამა რაჟდენი კი მეათე კლასში იყო, თანაც დედისერთა. ორივემ მოინდომა ბოდბის ეპარქიიდან მოძღვარს გამოჰყოლოდა. ყველანი ერთად მეუფე გრიგოლის (ცერცვაძე) აშენებულ პატარა სახლში დავბინავდით, რომელიც ღვთაების მონასტრის ეზოში დგას. მეუფეს სენაკი რომ ჰქონოდა, სამრეკლოს მეორე სართულზე მდებარე პატარა ოთახი გამოვათავისუფლეთ ათასგვარი უხმარი ნივთისგან. ამ სენაკს ერთი ნაკლი ჰქონდა – ღუმელს ვერ დადგამდი, თუმცა, ამ „ნაკლით“ ის მეუფეს გარეჯის გამოქვაბულში მოწყობილ სენაკს ახსენებდა. ეკლესიის სახლში მამა მიქაელი ფიზიკის კანონებით სასწრაფოდ გვასწავლიდა ქალაქელებს შეშის ღუმლის დანთებას. ტაძრის ეზოს გალავანი არ ჰქონდა, პირსაბანი აივანზე ეკიდა, ყველას დასანახად... ჰოდა, ბევრს თვალშიც არ მოვდიოდით... როდესაც გალავნის ასაშენებლად საძირკვლისთვის მიწის ამოთხრა დავიწყეთ, თელავის მაშინდელ გამგებელთან „ცნობილი“ მკითხავების საჩივარი შევიდა, მეუფე დავითი ტაძრის ეზოში – არც მეტი არც ნაკლები, – ოქროს ეძებსო! მონაზვნობის მსურველებზე კი ჩიოდნენ, თუ ისეთი ცოდვილები არიან, რომ მონასტერში უნდა იყვნენ, ქალაქში კი არა, ტყეში უნდა იცხოვრონო! ყველას და ყველაფერს ათეიზმის დაღი ეტყობოდა! წინ დიდი ბრძოლა იყო გადასახდელი... მეუფემ გადაწყვიტა, ღვთაების ტაძარში ყოველდღე საღვთო ლიტურგია აღესრულებინა. მოგვიანებით მეუფე დავითი იტყვის: „ალავერდის ეპარქიაში ჩვენი მსახურება ბევრი სიხარულისა და ბევრი ტკივილის მომტანი აღმოჩნდა – სიხარული და მწუხარება ხომ ძმები არიან. ეს არის ღვთის წყალობისა და ღვთის სიყვარულის გამოვლინების ადგილი“.

ხახულის ღვთისმშობლის
ახალი შუამთის მონასტრის წინამძღვარი
ილუმენია იოანა



თელავის ღვთაების მონასტერი.
აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის ნახატი



თელავის ღვთაების მონასტერი. 2020 წ.

ყველას ნუგეშით გვავსებს ერთი ამბავის გახსენება, რომელიც თელავის ღვთაების მონასტერში მოხდა. 1995 წლის გაზაფხული იყო. სასმელი წყალი მონასტერში წყაროდან ამოჰქონდათ. მეუფე წირვაზე იდგა. როდესაც ტაძარში მდუღარების შეტანის დრო მოვიდა, აღმოჩნდა, რომ მონასტერში წყალი არ იყო. ყველა შეცბა და შეწუხდა... ამ დროს მონასტერში, თიხის დოქით ხელში, ასაკოვანი ქალბატონი შემოვიდა და მორიდებით თქვა: ეს ახალი დოქი სახლში მქონდა და ვიფიქრე, ღვთაების ტაძარს შევწირავ-მეთქი... ცარიელს ხომ არ მოვიტანდი და გზად წყაროს წყლით ავავსე...

ამ კეთილმორწმუნე ქალბატონმა არც კი იცოდა, რომ ღვთის წმინდა განგებულებით მან ლიტურგიის აღსრულებისთვის იზრუნა.

ილუმენია იოანა



ხახულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და ახალი შუამთის მაცხოვრის ხატები

2003 წელს დაზუსტდა ალავერდის ეპარქიაში არსებული ტაძრების ნუსხა, რომელშიც 600-მდე ეკლესია-მონასტერია შეტანილი. ეს ეკლესია-მონასტრები მუდმივ მოვლა-პატრონობას საჭიროებს. ამისთვის ერის სარწმუნოება, მშვიდობიანი დრო და მატერიალური სახსარია საჭირო. საბჭოთა იმპერიის დაშლის პერიოდში, 1990 წელს, ეკლესიას ერთ-ერთი პირველი ახალი შუამთის მონასტერი დაუბრუნდა. ეს ისტორიული სამართლიანობის აღდგენა იყო.

აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის ლოცვა-კურთხევით 1995 წლიდან ახალი შუამთა დედათა მონასტერია. ის, რაც დახვდათ აქ მოსულ მონაზვნობის მსურველებს, შეიძლება დავახასიათოთ ბიბლიის სიტყვებით: „საძაგელი მოოხრებისა“. დანგრეული შენობები, გავერანებული გარემო, ხატებისა და სიწმინდეებისგან დაცლილი მონასტერი. ამის ფონზე ყველაზე რთული მონაზვნური ტრადიციის აღდგენა იყო, ვინაიდან ის მემკვიდრეობას ემყარება, მონასტერში კი ათწლეულების მანძილზე შეწყვეტილი იყო სამონასტრო ცხოვრება.

ღვთის შეწევნითა და ჩვენი მოძღვრის, მეუფე დავითის ლოცვითა და შრომით აღდგა ღვთისმსახურება და სამონაზვნო ტრადიცია, დაიწერა და შეიმკო ახალი ხატები, მონასტერი შეიმოსა სიწმინდეებით.

იღუმენია იოანა

დედაღვთისას კურთხევით, მოძღვრის ლოცვითა და მონაზონთა კრებულის ძალისხმევით – მათი ინტელექტუალური, ფიზიკური და ქონებრივი რესურსით, ასევე, ღვთისმოყვარე ადამიანების თანადგომით და გარკვეული მონაწილეობით სახელმწიფოს მხრიდან შესაძლებელი გახდა მრავალფეროვანი სამუშაოების ჩატარება ახალი შუამთის მონასტერში:

♦ 2002 წელს დაიწყო და 2005 წელს გასრულდა მონასტრის მფარველი ხახულის ღვთისმშობლის ახალი ხატის შექმნა და შემკობა. ისტორიული ხატის ზურგზე, რომელიც გასაბჭოების შემდეგ ხელოვნების მუზეუმშია დაბრძანებული, 44 წმინდა ნაწილია. ახალი ხატი ზედმიწევნით იმეორებს დედანს და დღეს მის ზურგშიც 44 წმინდა ნაწილია დავანებული;

♦ 2014 წელს დაიწერა და შეიმკო შუამთის მაცხოვრის ხატი, რომლის დედანიც ასევე ხელოვნების მუზეუმშია დაბრძანებული. მაცხოვრის ხატიც ზედმიწევნით იმეორებს დედანს და მის ზურგში, ისე როგორც დედანი ხატის ზურგში, 58 წმინდა ნაწილია ჩაბრძანებული.

ორივე ხატის ზურგზე ჭედურობით შესრულებული ახალი საქტიტორო წარწერებია. მონასტერში სწორედ მფარველი ხატების მობრძანებას უკავშირდება ყველა შემდგომი მნიშვნელოვანი საქმე.

♦ მონასტერმა შემოიმტკიცა ისტორიული, ე.წ. „ხატის ტყე“, რომელიც 200 ჰექტარს შეადგენს. ეს ტყე სწორედ ამით გადაურჩა გაჩანაგებას. ტყეში, შუამთის მონასტერთან ახლოს, განმხოლოებლი ნამონასტრალები, ე.წ. სკიტები – კელიები მდებარეობს (მონაზონთა საცხოვრებლები მცირე ზომის ეკლესიებით), რომლებიც 2006 წელს აღდგა;

♦ მოეწყო მონასტრისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საინჟინრო კომუნიკაციები (წყალი, ელექტროგაყვანილობა, საკანალიზაციო სისტემები, ბუნებრივი აირი);

♦ მონასტრის ტერიტორიაზე, აუცილებლობის გამო, 2000 წელს ძველი ვაგონების გამოყენებით აშენდა წმინდა გიორგის კელია;

♦ აღდგა ქვის ისტორიული გალავანი მთავარი ტაძრის ეზოს მთელ პერიმეტრზე;

♦ ტაძრის ეზოში ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოები იმისთვის, რომ მოწყობილიყო სარინელი;

♦ გაიწმინდა და პირვანდელი სახით აღდგა ტაძრის ფასადი, გამოიცვალა სახურავი და სარკმელები;

♦ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიერ დამტკიცებული პროექტით აღდგა ტაძრის ისტორიული და ფუნქციურად აუცილებელი ნაწილი – სტოვა, რომელიც შაჰ-აბასის შემოსევების დროს დაზიანდა და შემდგომში სრულად დაინგრა;

♦ მონასტრის მთავარ ტაძარში ჩატარდა არქეოლოგიური კვლევა; ათწლეულების მანძილზე ვანდალური წარწერებით აჭრელებული ცემენტის შელესილობა შეიცვალა კირის შელესილობით; გაიწმინდა უნიკალური კედლის მხატვრობა. მიმდინარეობს სამუშაოები ტაძრის კანკელისა და ახალი იატაკის მოსაწყობად.

♦ ჩატარდა ისტორიული სამრეკლოს სარეაბილიტაციო სამუშაოები: გამაგრდა, გაიწმინდა და პირვანდელი სახით აღდგა მისი ფასადი. 2018 წელს მონასტრის ძალებით დასრულდა სამრეკლოს შიდა სივრცეების აღდგენა-რეაბილიტაცია და იქ მონასტრის სამუზეუმო სივრცე მოეწყო;



♦ განხორციელდა ტაძრის ეზოში მდგომი ისტორიული ნაგებობის და ასევე ისტორიული საწინამძღვრო სახლის აღდგენა-რეაბილიტაცია;

♦ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიერ დამტკიცებული პროექტით დაიწყო მონასტრისთვის აუცილებელი ახალი ნაგებობების აშენება ისტორიული შენობების ადგილას.

აღდგენილი სამრეკლო და ისტორიული საწინამძღვრო სახლი; მთავარი ტაძრის აღდგენილი სტოვა

განსაკუთრებით სასიხარულო მოვლენა იყო 2013 წელს შუამთიდან ბოლშევიკების მიერ განდევნილი მამების, ილუმენ ნიკოლოზისა (მიქელაძე) და არქიმანდრიტ იოსების (ლაგაზიშვილი) დაბრუნება-გადმოსვენება.

შუამთელი მამების ახალი საფლავები

მონასტერში უპირველესი ადგილი, რა თქმა უნდა, უჭირავს ღვთისმსახურებას. უნდა აღინიშნოს, რომ ღვთისმსახურების ნაწილია ადამიანების სულიერი დახმარება და შეწევნა, რომელიც დაფარულში რჩება და საცნაურია მხოლოდ ღვთისთვის.

დღეს მონაზონთა შინაგანი ცხოვრების თანამდევია შენობა-ნაგებობების – ხილულისა და მატერიალურის შექმნა-აღდგენა, რომელიც ღვთის დიდი შეწევნით არის შესაძლებელი. სწორედ ეს დარჩება ამ ხილულ სამყაროში იმისთვის, რომ კიდევ მრავალი სული ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა გადარჩეს ცათა სასუფევლისთვის.

ილუმენია იოანა



შუამთის მონასტერი. აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის ნახატი

2018 წელს ქართველი მეცენატის, დიმიტრი აბდუშელიშვილის ინიციატივით შეიქმნა ახალი შუამთის მონასტრის რეაბილიტაციის ფონდი. ფონდის დაფუძნების მიზანია პროექტის – „ახალი შუამთა ახალი თაობის მხარდასაჭერად“ – განხორციელება, რასაც წინ უნდა უძღოდეს სამონასტრო კომპლექსის სრული რესტავრაცია-რეაბილიტაცია, რათა მონასტრის კრებულმა სულიერი, ინტელექტუალური და მატერიალური რესურსი მაქსიმალურად გამოიყენოს ახალი თაობისთვის.

23 წლის მანძილზე ჩვენი მონასტრის კრებულისთვის დიდი პატივი იყო და არის ღვთის სახლში ცხოვრება და საქმიანობა. ამ პატივს ჩვენთან ერთად ამ ხნის განმავლობაში მრავალი ადამიანი ინაწილებდა თავისი შესაძლებლობების მიხედვით. მაგრამ ძირითადად ის, რასაც ადრე მეფეები აკეთებდნენ, ეპოქის ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენს შემთხვევაში უბრალო მონაზვნების მხრებზე აღმოჩნდა (ვგულისხმობ კულტურული მემკვიდრეობის მოვლას).

მონასტერი, როგორც სულიერების წყარო და საგანმანათლებლო კერა, ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებდა ჩვენი ქვეყნისთვის. 23 წელი მონასტრის განახლებისა ერთი თაობაა. მონასტრის აღდგენიდან დღემდე ახალი შუამთა მრავალი ბავშვისა და ახალგაზრდისთვის სულიერ ნავსაყუდლად იქცა, მონასტრის სულიერი მხარდაჭერა მრავალ ახალგაზრდას ჰქონდა. მათგან ზოგიერთი დღეს კარიერულად წარმატებულია, ზოგი – მრავალშვილიანი ოჯახის დედაა, ზოგი სტუდენტია. ერთი სიტყვით კი – ქრისტიანი ადამიანები არიან და სხვაგვარი დახასიათება მათ არ სჭირდებათ.

მოდის ახალი თაობა – ახალი გამოწვევებით, ახალი საფრთხეებით, ახალი დროის ნიშნებით. რთულდება ძველი და ახალი თაობის კავშირი.

დრო ჩვენი სულების გადარჩენის წინააღმდეგ მუშაობს. მომხმარებლურ-მატერიალისტურ ეპოქაში სულ უფრო რთული ხდება სულიერი ფასეულობების შენარჩუნება. აქედან გამომდინარე, ხშირად ისმის კითხვა: იქნება თუ არა ახალი თაობა ჩვენი მომავალი? მომავალი, რომელიც შეინარჩუნებს ენას, სამშობლოს და სარწმუნოებას.

პავლე მოციქული მიმართავს ერს და ეუბნება: „თქვენ ხორციელისა ჩუენისა ნაკლულევანების შემავსებელი ხართ, ჩვენ სულიერისა თქვენისა ნაკლულევანების“.

მონასტერი აგრძელებს თავის ყველა იმ საქმიანობას, რაც ზემოთ იყო ჩამოთვლილი, მაგრამ უფრო და უფრო საშური ხდება დრო. ამის გამო შუამთის მონასტერმა დააფუძნა ფონდი: „ახალი შუამთა ახალი თაობის მხარდასაჭერად“. ჩვენ ვრჩებით მთესველებად, ვიცით რა, რომ მხოლოდ კეთილმა თესლმა შეიძლება გამოიღოს კეთილი ნაყოფი, მომავალი კი ღვთისთვის მიგვინდია.

...ახალი თაობის კავშირი სულიერ მემკვიდრეობასთან ჩვენი გადარჩენის გზაა. მონასტერი ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა დარჩება სულიერი აღმშენებლობის ადგილად. საკუთარი სულის აღმშენებლობა კი ქვეყნის აღმშენებლობის საწინდარია.

ილუმენია იოანა
ახალი შუამთის მონასტრის
რეაბილიტაციის ფონდის
დაფუძნებაზე წარმოთქმული
სიტყვიდან

2016 წელს ძველი შუამთის მონასტერში მრავალწლიანი ინტერვალის შემდეგ პირველი წირვა ჩატარდა. მეუფე დავითის ლოცვა-კურთხევით, განახლებული მონასტერი გოლგოთის ჯვრის სახელობისაა, ტაძრები კი – აღდგომის (დიდი გუმბათოვანი ტაძარი), ამაღლების (მცირე გუმბათოვანი ტაძარი) და ღვთისმშობლის მიძინების (ბაზილიკა).

ძველი შუამთის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზით დადგინდა, რომ მონასტერი მოქმედი იყო ადრეული შუა საუკუნეებიდან ვიდრე XVII საუკუნემდე და გადაიწვა შაჰ-აბასის შემოსევების დროს.

აღდგენილი სკიტები ძველი შუამთის ტყეში

ძველი შუამთის მონასტერი

2000 წლის 27 სექტემბერი, ჯვართამაღლება. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II აღავლენს ლოცვას გიგოს გორაზე აღმართულ ჯვართან

1993 წლის 27 სექტემბერი იყო – ჯვართამაღლების დღესასწაული. ღვთაების მონასტერში ჯერ წირვა არ იყო დაწყებული, როცა დილით ადრე შემზარავი ქვითინის ხმა შემოგვესმა. გარეთ გამოსულებს ბადის ღობეზე მომდგარი ფეხმოკვეთილი ქართველი ჯარისკაცი დაგვხვდა. მან სოხუმის დაცემა გვამცნო...

ილუმენია იოანა

თელავის განაპირას მდებარე ბორცვი – ე.წ. „გიგოს გორა“ – ქალაქისთვის ერთ-ერთი წმინდა ადგილია, სადაც XX საუკუნის დასაწყისში ყოვლადწმიდა სამების ეკლესია დაანგრიეს. საბჭოთა რეპრესიების დროს აქ ხვრეტდნენ თავადაზნაურებს, სასულიერო პირებსა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს. ტრაგიკული ისტორიის გამო ამ გორას თელავის გოლგოთაც უწოდეს. 1996 წლის 27 სექტემბერს, ჯვართამაღლებას, რომელიც სოხუმის დაცემის დღეა, ამ ადგილას აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა სასულიერო პირებთან ერთად ხის ჯვარი აღმართა. მას სურდა, აქ ტაძარი აშენებულიყო. 2000 წლის 27 სექტემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მღვდელმთავრებთან ერთად ჯვართან ლოცვა აღავლინა და აკურთხა ადგილი წმინდა მოციქულთასწორი ნინოს ტაძრის ასაშენებლად. ტაძრის მშენებლობას სათავეში ჩაუდგა მაშინდელი ხელისუფალი, აწ განსვენებული ქალბატონი მედეა მეზვრიშვილი. წმინდა ნინოს ტაძარი 2002 წელს იკურთხა.

გიგოს გორა უნდა იყოს შემკრები ისტორიისა. მძიმე, მწარე, მაგრამ სიცოცხლისუნარიანია ეს ისტორია. მომავალმა თაობამ აუცილებლად უნდა იცოდეს და პატივი მიაგოს მას. პატივის მიგება კი რა ფორმით უნდა მოხდეს, ამაზე ფიქრია საჭირო. აქვე, ახლოს ბოლშევიკებმა სამების ტაძარი დაარღვიეს. ნატაძრალზე, იქ, სადაც ახლა გივი ჩოხელის სახელობის სტადიონია, მის შესასვლელთან, შეიძლება დაიდგას ნიში სამების ხატით. გორაზე ამოსასვლელი გზა მნახველს მოუთხრობს ამ ადგილის ისტორიას.

აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

↓ თელავის ყოვლადწმიდა სამების ეკლესია,
რომელიც XX ს.-ში დაანგრიეს

წმინდა ნინოს ტაძარი
გიგოს გორაზე

თელავისთვის ასევე ისტორიულად დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილს, რომელსაც თელაველები ძველ გალავანს უწოდებენ. ის კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე დიდმა (1010-1037 წწ.) ააგო. კვირიკე დიდის ციხესიმაგრე წმინდა გიორგის კარის ეკლესიით XI საუკუნეში კახეთ-ჰერეთის სამთავროში ერთ-ერთი მთავარი ციტადელი იყო.

წმინდა გიორგის ეკლესია XIX საუკუნეში სომეხთა თემს გადაეცა სარგებლობის უფლებით. საბჭოთა ეპოქაში კი ძველი გალავნის ტერიტორია ტაძრით სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა.

აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის თხოვნითა და თელავის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის, ქალბატონ მედეა მეზვრიშვილის ძალისხმევით, 1998 წელს გორიჯვრის წმინდა გიორგის ეკლესია გალავნით საქართველოს ეკლესიას დაუბრუნდა.

რუისპირის წმინდა ნიკოლოზის აღდგენილი ტაძარი

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა (ქობულაშვილი) რუისპირში შუამთის მონასტრისთვის მიწის ახალი ნაკვეთი შეიძინა. ვინაიდან შუამთაში გამორჩეულ პატივს მიაგებდნენ წმინდა მღვდელმთავარს და თინათინ დედოფალმაც

მისი დღესასწაულის საგანგებოდ აღნიშვნის წესი დაადგინა, რუისპირშიც, მონასტრის კუთვნილ მიწაზე, ახალი ეკლესია წმინდა ნიკოლოზის სახელზე აიგო. ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ აქ წირვა-ლოცვა შეწყდა და დროთა განმავლობაში ტაძარი უკიდურესად დაზიანდა.

სოფელ რუისპირის მკვიდრმა, ბატონმა დავით სეხნიაშვილმა აღადგინა წმინდა ნიკოლოზის ეკლესია საწინამძღვრო სახლით. აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა ტაძარი 2011 წელს აკურთხა. ამ ტაძრისთვის საქართველოს კათოლიკოს-პატრირქის ლოცვა-კურთხევით იტალიის ქალაქ ბარის წმინდა ნიკოლოზის ხატის მიხედვით შეიქმნა ახალი ხატი, რომელმაც ბარიში წმინდა ნიკოლოზის საფლავზე დაბრძანების შემდეგ რუისპირის წმინდა ნიკოლოზის ტაძარში დაივანა.

რუისპირის წმინდა ნიკოლოზის ხატი

2009 წლის 9 მაისს აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა სოფელ ბუშეტში წმინდა იოაკიმესა და ანას ეკლესიის საძირკველი აკურთხა. ტაძრის აღმშენებელია ბატონი მამუკა დავითინიძე. მისი ძალისხმევით ტაძართან ერთად საქართველოს ეკლესიას და ბატონი მამუკას წინაპრების სოფელს ეკლესიის მიმდებარე დიდი ტერიტორიაც გადაეცა. 2013 წლის 22 სექტემბერს, წმინდა იოაკიმესა და ანას დღესასწაულზე ტაძარი იკურთხა.

ბუშეტის წმინდა იოაკიმესა და ანას ეკლესია

თელავის ახალ სასაფლაოზე 2014 წლის 21 ივლისს აღდგომის ეკლესიის საძირკველი იკურთხა. ტაძრისა და მთელი კომპლექსის აღმშენებელია ბატონი შოთა დემინაშვილი. 2017 წლის 29 იანვარს ტაძარი აკურთხა აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა. აღდგომის ტაძრის აშენება იმ სასაფლაოზე, სადაც მრავალი ახალგაზრდა განისვენებს საუკუნო ძილით საყოველთაო აღდგომამდე, დიდი სიხარული იყო თელაველებისთვის.

თელავის გოლგოთა ახლოსაა აღდგომის ეკლესიასთან, საფეხმავლო ბილიკით რამდენიმე წუთში შეიძლება იქ გადასვლა. აღდგომის ეკლესია აღმართულია ახალ სასაფლაოზე, სადაც ჩვენი დღევანდელობა საფლავების ქვებზე იწერება. ვფიქრობ, ქალაქში იბადება ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული თხრობითი ადგილი, სადაც რამდენიმე თაობის თავისუფლებისთვის ბრძოლისა და ამ ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნის დიდი ისტორია შეერთდება.

აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

ლაფანყურის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია

სოფელ ლაფანყურში ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი 2014 წლის 9 ივნისს აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა აკურთხა. სოფელი შედარებით გვიანდელია, ამიტომ მას ტაძარი არ ჰქონდა, თუმცა მრავალი წლის განმავლობაში აქ ქადაგებით მსახურობდა დეკანოზი მიქაელ ჭაბაშვილი, რომლის გარშემოც გაერთიანდნენ სოფლის მოსახლეობა და ამ სოფლიდან წასული ემიგრანტები. მოძღვრისა და მრევლის ერთობამ ყველასთვის სასიხარულო ნაყოფი გამოიღო – დღეს ამ სოფელშიც ღვთის სადიდებელი წირვა-ლოცვა აღესრულება.

ხადორის ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესია

პანკისის ხეობის სოფელ ხადორში ახმეტის რაიონის მუნიციპალიტეტის თანადგომით აშენდა ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. ტაძარი იმ ადგილას აიგო, სადაც 2006 წელს სიონის ივერიის ღვთისმშობლის ხატის მოგზაურობისას სიწმინდე დააბრძანეს, 2007 წელს კი აქ ეკლესიის მშენებლობა დაიწყო.

ყვარელწყლის
წმინდა გიორგის ეკლესია

2017 წლის 9 სექტემბერს პანკისის ხეობის სოფელ ყვარელწყალში იკურთხა წმინდა გიორგის ტაძრის საძირკველი. ტაძრის აღმშენებელია ამ სოფლის თანამდგომი და მოამაგე ბატონი ლევან დავითაშვილი.

თეთრიწყლების
300 არაგველის ეკლესია

თეთრიწყლების 300 არაგველის სახელობის ტაძრის საძირკველი აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა 2011 წლის 24 სექტემბერს აკურთხა. ტაძარი სოფლის მოსახლეობის ძალისხმევით შენდება. 2017 წლის 24 სექტემბერს მშენებარე ტაძარში პირველი საღვთო ლიტურგია აღესრულა.

ახმეტის წმინდა ბიძინას, შალვასა და ელიზბარის სახელობის ეკლესია

2009 წლის 22 აგვისტოს ახმეტაში კახეთის განმათავისუფლებელი გმირების, წმინდა ბიძინას, შალვასა და ელიზბარის სახელობის ტაძრის მშენებლობა დაიწყო. ამ ადგილას მობრძანდა ივერიის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მოგზაურობდა. აღიმართა ჯვარი. ეკლესიის საძირკველი იკურთხა 2009 წლის 22 აგვისტოს. ტაძარი მრავალი ადამიანის შემოწირულობით აშენდა. მშენებლობის პროცესს სათავეში უანგაროდ უდგას ახმეტის მკვიდრი ბატონი ზურაბ ფილაშვილი.

ახმეტის ჯვარიპატიოსნის
სახელობის ეკლესია

ახმეტის ჯვარიპატიოსნის ტაძარში გასული საუკუნის 90-იან წლებში წირვა აღესრულებოდა, თუმცა ტაძარი არ იყო დასრულებული და ნაკურთხი. 1994 წლის 22 მაისს ჯვარიპატიოსნის ეკლესია აკურთხა აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა. რესტავრაციის შემდეგ, 1999 წელს ტაძარი მოხატეს დავით ხიდაშელმა და ვლადიმერ თევდორაძემ.

წინანდლის
ღვთისმშობლის შობისა
და წმინდა გიორგის
სახელობის ტაძრები

1997 წელს სოფელ წინანდალში ღვთისმშობლის შობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორია სამუსიკო სკოლის შენობით საქართველოს ეკლესიას გადაეცა. ამ ტერიტორიაზე აღდგა XIX საუკუნის წმინდა გიორგის ეკლესია სამრევლო სახლით და გალავნით, რომელიც დღეს წინანდლის კიდევ ერთი გამორჩეული ადგილია.

ზემო კურდღელაურის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია

ზემო კურდღელაურის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, რომელიც სასაფლაოზე მდებარეობს, 1998-2003 წლებში ბატონ შოთა დემინაშვილის ოჯახის შემწეობით განახლდა.

ქვემო კურდღელაურის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია

ქვემო კურდღელაურის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის აღდგენა-რესტავრაცია 2001-2003 წლებში მიმდინარეობდა. ტაძარი ძალზე დაზიანებული იყო, რადგან სხვადასხვა დროს მას იყენებდნენ სამჭედლოდ, საწყობად... შეიცვალა ეკლესიის სახურავი, მოეწყო კანკელი, ტრაპეზი და იატაკი. ტაძარი იკურთხა 2003 წლის 27 აგვისტოს. მისი განმაახლებელია თელავის მკვიდრი, ბატონი კახა დათიშვილი.

ქისტაურის
წმინდა ნინოს ეკლესია

ქისტაურის წმინდა ნინოს ეკლესია ერთი საუკუნის მანძილზე უმოქმედო და დაზიანებული იყო. ამავე სოფლის მკვიდრის, ბატონ შალვა ერისთავის შეწევნით ტაძრის განახლება-აღდგენა 2007-2009 წლებში მიმდინარეობდა. აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა 2009 წლის 27 იანვარს, ნინოობის დღესასწაულზე ქისტაურის წმინდა ნინოს ეკლესია აკურთხა.

აკურის წმინდა ილია
წინასწარმეტყველის
ეკლესია

აკურის წმინდა ილია წინასწარმეტყველის ეკლესია 2016 წელს განახლდა ბატონ ნოდარ მოდებაძის შემოწირულობით. განახლების შემდეგ პირველი წირვა 2016 წლის ლაზარეს შაბათს შესრულდა.

აწყურის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

აწყურის შირიმის ქვით ნაგები ეკლესია XIX საუკუნეში კირით შეათეთრეს. 2018 წელს გაიწმინდა ტაძრის ინტერიერი და ქვის დეკორი პირვანდელი სახით გამოჩნდა. მოწესრიგდა საცხოვრებელი სახლი და სამრეკლო.

6000 გარეჯელი მოწამის ეკლესია

თელავში, მეოცე კადრირებული ბრიგადის ტერიტორიაზე, 2011 წლის თებერვალში 6000 გარეჯელი ღირსმოწამის ტაძრის საძირკველი იკურთხა. ტაძრის მშენებლობაში სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობენ.

იყალთოს სამონასტრო კომპლექსი

2008-2010 წლებში არქეოლოგიური გათხრების შემდეგ გაიწმინდა მონასტრის მთავარი ტაძრის ფასადი და გადაიხურა სამონასტრო კომპლექსში შემავალი სამი ეკლესია. იყალთოს მონასტრის გალავნის გარეთ, ასფალტირებული გზის ქვევით აღმოჩნდა VIII-IX საუკუნეებით დათარიღებული წმინდა ნინოს ტაძარი, რომელიც 2017 წელს აღდგა. 2018 წელს კი რესტავრაცია ჩაუტარდა სოფელ იყალთოში მდებარე VII-VIII საუკუნეების წმინდა სტეფანე პირველმოწამის ეკლესიას.

წმინდა ნინოს აღდგენილი ეკლესია

წმინდა სტეფანე პირველმოწამის აღდგენილი ეკლესია

[illegible]

[illegible]

[illegible]

თუშეთი – ღვთის დიდებულებისა ბეჭედი

პირველი მოლოცვითი მოგზაურობა თუშეთში.
1994 წ.

დღეს ყველასთვის სამწუხარო მოვლენაა მოსახლეობისგან დაცლილი საქართველოს მთა. გამონაკლისს არც თუშეთი წარმოადგენს. აქ მოსახლეობა მხოლოდ ზაფხულობით ადის, მანამდე კი დაცარიელებული სახლები და დაკეტილი ტაძრები ჩვენი ტკივილის უტყვ მოწმეებად რჩებიან.

აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის ლოცვა-კურთხევით 1994 წელს თუშეთში პირველი მოლოცვითი მოგზაურობა მოეწყო. ეს მოგზაურობა ტრადიციის დასაბამი გახდა. მას შემდეგ, ყოველწლიურად, ივლის-აგვისტოში, საგანგებოდ შედგენილი გრაფიკით, ალავერდისა და მცხეთა-თბილისის ეპარქიების სამღვდელოება მთათუშეთში წირვა-ლოცვას აღასრულებს; ისინი, შეძლებისდაგვარად, მთის თითქმის ყველა ხეობაში შედიან. მოგზაურობის ბოლოს კი, მიძინების დღესასწაულზე, ომალოში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი საღვთო ლიტურგიას აღასრულებს.

ღვთის შეწევნით, აღდგენილია შენაქოს ყოვლადწმიდა სამების, ილიურთისა და ბოჭორნის წმინდა გიორგის ტაძრები; აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს ომალოს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში.

საქართველოს მთიანეთი განსაკუთრებულ თანადგომას საჭიროებს. სწორედ ასეთი თანადგომითა და ხელშეწყობით ბატონ ლაშა პაპაშვილის მხრიდან, უკვე რამდენიმე წელია, 6 მაისს, წმინდა გიორგის დღესასწაულზე ილიურთის წმინდა გიორგის ტაძარში საღვთო ლიტურგია აღესრულება.

2007 წლის 19 ივლისს თუშეთის გადასასვლელ უღელტეხილზე, სამი ათასი მეტრის სიმაღლეზე, ქრისტიანთა მცველად და მფარველად ჯვარი აღიმართა. ამის შემდეგ, მეუფე დავითის ლოცვა-კურთხევით, თუშეთის გზის არაერთ მონაკვეთზე დაიდგა ჯვარი იმის გასახსენებლად, რომ ჯვრის თაყვანისმცემლები ვართ და არა წარმართები.

ყოვლადწმიდა სამების ტაძარი ცერზე. 2020 წ.

ცერზე ჯვრის აღმართვის იდეა გაჩნდა მას შემდეგ, რაც ადგილობრივებისგან მოვისმინეთ საოცარი მისალმება: „წყალობა ჯვარისა!“ ვიფიქრეთ, რომ თუ ამ ადგილს თუშები „ღმერთის დიდების“ ადგილად მოიხსენებენ, მაშინ ჯვარი აღვმართოთ, რაც მათ ყოფით მომენტს ღმერთთან დააკავშირებდა. აქედან პირდაპირ მოჩანს ალავერდი. ეს არის ერთადერთი ადგილი თუშეთში ამსვლელთა და ჩამომსვლელთათვის, საიდანაც შეიძლება ალავერდს შეავედრონ თავიანთი მშვიდობიანი მიმოსვლა, სამშობლო და ოჯახის წევრები.

თუშეთში ჯვრები აღიმართა იმის გასახსენებლად, რომ არ ვართ კერპთაყვანისმცემლები. ჯვრის თაყვანისმცემლები ვართ და მისთვის არასოდეს გვიღალატია.

მთასა თუ ბარში ყოველთვის ქრისტეს ძირზე ამონაყარი ლერწი ვიყავით. როგორც ვაზი ძირის გარეშე ნაყოფს ვერ გამოიღებს, ისე ვერც თუში გამოიღებს კეთილ ნაყოფს თუშეთის გარეშე. ძირი ჩვენი არის ქრისტე, ქრისტეზე ვართ დამყნობილი და ამიტომაც არის ჩვენი მტევანი კეთილსურნელი.

ხშირად ეშლებათ და ამბობენ, თუშეთში კერპთაყვანისმცემლობის გადმონაშთებიაო. სინამდვილეში, ყველა წესი, ყველა ადათი აქ მხოლოდ ქრისტიანობით საზრდოობს. და თუკი ვინმე ფიქრობს, რომ აქ საკერპო წესმსახურებაა, ის ქვეყნის მტერია, ამ ხეობისა და აქ მყოფი ხალხის მტერია, რადგან სურს, სინამდვილე სიცრუით შეცვალოს. კერპთმსახურება ვერ იქნებოდა სულიერი მაცოცხლებელი ძალა ჩვენი ერისა. ხატობები, რომლებიც თუშეთის ყველა სოფელში იმართებოდა, უძველესი ქრისტიანული ტრადიციაა. ხატი ძველ ქართულში ჯვრის შესატყვისია, ხატობაში მისვლა ჯვრის თაყვანისცემაა.

ამ მთებში მხოლოდ ჯვრის ნიშითა და ძალით თუ იცხოვრებდა კაცი.

ჯვრის მსასოებელი მრევლი დაცულია ეკლესიის მადლით. ჯვარი არის სიმბოლო, ნიშანი ედემში დანერგული სიცოცხლის ხისა. ჯვარი არის ცოდვათაგან გამოხსნის იარაღი. თუშეთში ტრადიციული მისალმება: „წყალობა ჯვარისა“ – ქრისტიანთა ტრადიციაა. ასეთ სალამს ურჯულო ვერ იტყვის. ეს სიტყვები ცნობიერად, სულით და ხორცით ქრისტეს აღმსარებელთა გულიდან ამოსული სიტყვებია.

აბგა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

მარიამობის წირვა ცერზე ყოვლადწმიდა სამების ტაძარში. 2020 წ.

Ფიქრეთ, რომ ცერის უღელტეხილზე აღმართული ჯვრის მარტო ყოფნა არ იქნებოდა კარგი. გადაწყდა, რომ აგვეშენებინა ყოვლადწმიდა სამების სახელობის ტაძარი. და ეს ტაძარი უნდა აეშენებინა მთელ საქართველოს. ხალხს ვუთხარით, რომ ცერის უღელტეხილზე შენდებოდა ტაძარი და ამის შემდეგ ვინც წავიდოდა თუშეთისკენ, ყველას თავისი ქვა წამოეღო...

ღმერთმა აკურთხა ეს დღე და მრავალი ადამიანი შეკრიბა ცერზე, დედაქალაქიდან თუ ჩვენი ეპარქიიდან. მრევლის თვალწინ აშენდა თითქოს ეკლესია. ჩვენი წინაპრების არცერთ თაობას არ ულოცია აქ ასეთი ხანგრძლივობით და ასე სრულად. ამ ადგილას ყოველ ნახევარ საათში ამინდი იცვლება, იშვიათია ასეთი მზიანი დღე – ნისლმაც კი რომ არ გადაიაროს. ცერი თუშეთის კარიბჭეა. აქედან იწყება თუშეთის ეროვნული პარკი. აქაურობას უპირველესად სულიერი პატრონობა სჭირდება. განსაცდელიც იქნება, მაგრამ უფალი შეგვეწევა.

აბგა ალავერდელი
მიტროპოლიტი დავითი

მომღერალ-მგალობელთა გუნდი „ნადი“ ასრულებს კახურ მრავალჟამიერს

ალავერდელი მიტროპოლიტი დავითის ლოცვა-კურთხევით, ყოველწლიურად სამგალობლო თუ ფოლკლორულ გუნდებს შორის გამორჩეულმა გუნდმა მარიამობის დღესასწაულზე ამ ადგილას მრავალჟამიერის შესრულების უფლება უნდა მიიღოს. 2020 წლის მარიამობას ეს პატივი წილად ხვდა მომღერალ-მგალობელთა გუნდს „ნადი“.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
თუშეთში. 2010 წ.

თუშეთი.
არქიტექტორ თეიმურაზ უგულავას ფოტო

პატრიარქმა 2010 წელს თუშეთში სტუმრობისას ბრძანა, რომ მთამ სიწმინდე შემოინახა. ჩვენთვისაც და ადგილობრივებისთვისაც ეს მთა ნამდვილად წმინდა ადგილია. აქაურობა უნდა აივსოს მკვიდრი მოსახლეობით. ხალხი უნდა დაუბრუნდეს თავის სამკვიდრო საცხოვრებელს, თავიანთი ტრადიციული მეურნეობები უნდა აღადგინონ. ეს არის ჩვენი მოლოდინი.

ღვთისადმი ჩვენი სათხოვარია, რომ ეს მხარე ჩვენს ღონიერ, ძლიერ სამშობლოში იყოს ხალხმრავალი, სტუმართმოყვარე და ყოველთვის ღვთის მადლიერი.

აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

* * *

ყოველთვის ბევრი იყო ისეთი ხალხი, რომელთაც სწყუროდათ ღვთის სიტყვის მოსმენა ცათა სასუფეველზე და სულის გადარჩენაზე, თუმცა ცოტანი იყვნენ მასწავლებლები. სწორედ ამიტომ უთხრა უფალმა თავის მოწაფეებს: „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ. ევედრენით უკუე უფალსა სამ-კალისასა, რაჲთა მოავლინნეს მუშაკნნი სამკალსა თვისსა“ (ლუკ. 10, 2).

დღეს ალავერდის ეპარქიაში 18 სასულიერო პირი მსახურობს:

დეკანოზი ანთიმოზ ჩაგელიშვილი
დეკანოზი ილარიონ ჭაჭაშვილი
დეკანოზი გიორგი ლომიაშვილი
დეკანოზი ესტატე ბელადიძე
დეკანოზი ისააკ ფეიქრიშვილი
დეკანოზი ფარნაოზ მარგალიტაშვილი
დეკანოზი ადამ ბეწუნაიძე
დეკანოზი მიქაელ ჭაბაშვილი
დეკანოზი ზაქარია ჩიხრაძე
დეკანოზი დავით ჭვრიტიძე
დეკანოზი რაჟდენ თანდილაშვილი
დეკანოზი რომანოზ ექვთიმიშვილი
დეკანოზი გიორგი პაპუნაშვილი
მღვდელი გენადი გოგილაშვილი
მღვდელმონაზონი იოსებ ღვინიანიძე
მღვდელი გიორგი ლაზარიაშვილი
მღვდელი კონსტანტინე პაპალაშვილი
მთავარდიაკვანი ოთარ კაჭკაჭიშვილი

მათ მიერ ღვთისმსახურება აღესრულება შემდეგ ეკლესია-მონასტრებში:

ალავერდის წმინდა გიორგის მონასტერი;
ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის მონასტერი;
თელავის ღვთაების მონასტერი;
თელავის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია;
თელავის წმინდა ნინოს ეკლესია;
თელავის აღდგომის ეკლესია;

იყალთოს ღვთაების მონასტერი;
იყალთოს იოანე ნათლისმცემლის ეკლესია;
აწყურის წმინდა გიორგის ეკლესია;
წინანდლის წმინდა გიორგის ეკლესია;
წინანდლის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია;
კავთის წმინდა გიორგის ეკლესია;
ქვემო კურდღელაურის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია;
ზემო კურდღელაურის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია;
კონდოლის კვირაცხოვლობის ეკლესია;
რუისპირის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია;
ახმეტის ჯვარპატიოსნის ეკლესია;
მატნის ღვთისმშობლის შობის ეკლესია;
ქისტაურის წმინდა ნინოს ეკლესია;
ბუშეტის წმინდა იოაკიმესა და ანას ეკლესია;
ართანის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია;
ლაფანყურის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია;
ზემო ხოდაშნის ხარების ეკლესია;
ნაფარეულის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია;
ვანთის ღვთაების ეკლესია.

გარკვეული პერიოდულობით წირვა-ლოცვა აღესრულება ასევე შემდეგ ეკლესიებში:

ჯოყოლოს წმინდა გიორგის ეკლესია;
სანავარდოს აღდგომის ეკლესია;
მატნის წმინდა ბარბარეს ეკლესია;
აკურის წმინდა ილია თეზბიტელის ეკლესია;
წყაროსთავის წმინდა გიორგის ეკლესია;
გულგულის კვირაცხოვლობის ეკლესია;
ალვანის ყოვლადწმიდა სამების ეკლესია;
კისისხევის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია;
სამეფო გალავანში არსებული მთავარანგელოზთა ეკლესია;
თეთრიწყლების 300 არაგველის სახელობის მშენებარე ეკლესია;
ძველი შუამთის მონასტერი;
იყალთოს წმინდა სტეფანეს ეკლესია;
საკობიანოს ღვთისმშობლის ეკლესია;
ხადორის ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესია.

* * *

მონასტრებში სულიერი ცხოვრების განახლებისა და აღდგენითი სამუშაოების პარალელურად სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო სამონასტრო მეურნეობების შექმნა. ამის შესახებ მოსაზრებები აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა ჩამოაყალიბა სტატიაში: „მიწათმოქმედება – ანი და ჰოე“.

ანი და ჰოე ათვლის წერტილს გვახსენებს, რომლის სასრულიც მარადიული წრეა, მარადიულ ღირებულებებზე გვაფიქრებს. მარადიული ღირებულება და უხრწნელი საუნჯე წიგნიერებით, პროგრესის სწორად აღქმით, ტექნოლოგიების გონივრული გამოყენებით შეიძლება მოვიპოვოთ. ეკლესიის ურთიერთობა ერთან – საგანმანათლებლო კუთხით, ხელოვნებისა და ეკოსისტემების დაცვისა და შესწავლის კუთხით და სხვა მრავალი მიმართულებით – უაღრესად ფრთხილ, ზომიერ საფუძველზე უნდა იქნას დამყარებული. ეკლესიას უნდა ჰქონდეს ურთიერთობა საპროექტო, ანალიტიკურ ჯგუფებთან, მეცნიერებთან. უნდა ვიცნობდეთ ახალ ტექნოლოგიებს და მოთხოვნებს, დაფიქრებისთვის, განსჯისთვის, აჩქარებით რომ არ მივიღოთ გადაწყვეტილებები. ჩვენ მრავალი წელია ვფიქრობთ, როგორ მოვაწყოთ სამონასტრო ტრადიციული მეურნეობები, როგორ მოვაწყოთ მონასტრებთან ისეთი გარემო, რომელიც ღირსეულად წარადგენს ჩვენს ქვეყანას, მის ტრადიციებს, ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვან შრომასა და ბრძოლას, გამარჯვების სიხარულსა თუ მარცხის სიმწარეს...

სამონასტრო და საეკლესიო მეურნეობები ვერ იქნება დიდი ზომისა და წარმადობის, რადგან ეს მათი მოვალეობა არ არის. ეს მეურნეობები უნდა იყოს ნიმუში ერის ადამიანებისა და სასულიერო პირთა გონივრული, უანგარო, ღონიერი ურთიერთობებისა. ასეთმა მაგალითებმა უნდა წაახალისოს და ჩვენი ხელშეწყობით უნდა მოამრავლოს ერში მსგავსი მიდგომის მეურნეობები, რამაც საბოლოოდ უნდა შექმნას პატარა, მოქნილ რგოლებად შეკავშირებული ერთიანი, მტკიცე სამეურნეო ჯაჭვი, რომელიც მსურველს შესთავაზებს მაღალხარისხიან, შესაბამისი ფასის პროდუქტსა და პროდუქციას, ერთი აუცილებელი პირობით – მცირე რაოდენობით, რადგან დასაწყის ეტაპზე სიმცირე ხარისხის გარანტიაა...

ალავერდის მონასტრის ისტორიული მარნის ტერიტორია. 2006 წ.

ალავერდის მონასტრის მარნის არქეოლოგია. 2006 წ.

ალავერდის მონასტრის ისტორიული მარნის რეაბილიტაციამ საფუძველი დაუდო ტრადიციული სამონასტრო მეურნეობების აღდგენას.

ალავერდის წმინდა მონასტერი სავალალო მდგომარეობაში ჩავიბარეთ. გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობის“ მოქმედი „გმირები“ დასეირნობდნენ ზამთარ-ზაფხულ მონასტრის ტერიტორიაზე – შიგნით თუ გარეთ. მონასტრის ეკალბარდით დაფარულ ეზოში XI საუკუნის მარნის ნაშთი არსად ჩანდა, თუმცა ისტორიული საბუთებით ცნობილი იყო ალავერ-დის მონასტერში მარნის არსებობა, რომელიც მონასტრის მასშტაბის შესაფერისი უნდა ყოფილიყო. მის აღდგენაზე ფიქრი 2000 წელს დავიწყეთ. ალავერდის მონასტერში წინაპრებისგან დანატოვარი საქმე, განძი გავათავისუფლეთ მტვრისა და მიწისგან და ჩვენმა წინაპრებმა გვითხრეს და გვიჩვენეს გზა, თუ როგორ უნდა გაგვეგრძელებინა ეს საქმე, რომ მათი ნაშრომი არ დაგვეკარგა.

2005 წელს კომპანია „ბადაგონმა“ ჩვენგან შეთავაზებული პროექტი მიიღო და მოიწონა; „ბადაგონის“ წვლილი განუზომლად დიდია, თუმცა მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამ წამოწყებას, კონკრეტული ისტორიული ფურცლის გადაშლას, აღორძინებას ასეთი მასშტაბი და რეზონანსი ექნებოდა...

მარნის აღდგენის პროცესში გავიცანით ბატონი თეიმურაზ ღლონტი – 2006 წელს ალავერდის მონასტრის მიერ მოწყობილ კონფერენციაზე – „ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები“ – ბატონმა თეიმურაზმა წაიკითხა მოხსენება, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო. ჩვენ თანამოაზრეები აღმოვჩნდით. წლების ნაფიქრი, თუ როგორ გაგვეგრძელებინა წინაპრისაგან დანატოვარი საქმე, როგორი უნდა ყოფილიყო ტრადიციული მეთოდით ქვევრში დაყენებული ღვინო, ბატონმა თეიმურაზმა მწყობრად ჩამოაყალიბა.

აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

ალავერდის მონასტრის აღდგენილი მარანი
და სამეურნეო სახლი. 2015 წ.

როგორც წესი, ყველა დიდ საქმეს განსაცდელი ახლავს თან, რაც უტყუარი საბუთია იმისა, რომ ეს საქმე ღვთისთვის სათნოა. ისტორიული მარნის რესტავრაციის პროცესში განსაცდელი მრავლად შეგვხვდა. როგორც ადამიანს, გული გვტკიოდა იმის გამო, რომ ზოგი ვერ ხედავდა ალავერდის მონასტერში მიმდინარე პროცესების მნიშვნელოვნებას, ხოლო როგორც ქრისტიანს გვახარებდა ის, რომ ღვთის სათნო შრომას ამდენი წინააღმდეგობა და განსაცდელი ხვდებოდა. ეს უტყუარი მოწმობა იყო, რომ ღმერთი აკურთხებდა ამ საქმეს და ჩვენი წინაპრების სულებიც ხარობდნენ, რადგან უძველეს მონასტერში უძველესი მარანი უნდა აღმდგარიყო. ეს კი ძირძველი, ტრადიციული სამონასტრო საქმიანობის დასაწყისი და პირველი მაცნე-მაუწყებელი იქნებოდა...

მარნის არქეოლოგიური მონაპოვრის შესწავლის შემდეგ შემუშავდა პროექტი, რომლითაც განვსაზღვრეთ, რა შეგვეძლო დღევანდელ უძლურ ადამიანებს ჩვენს მხრებზე გვეტვირთა. მივიღეთ ის, რაც გვაქვს – იმ ზომის მეურნეობა, როგორიც ისტორიულად იყო მონასტერში. როცა გვეკითხებიან, გავაფართოებთ თუ არა ისტორიულ მარანს, პასუხია – არა. რატომ? მონასტერი ღვინის მწარმოებელი კომპანია არ არის. მონასტერმა შეიძლება ერს აჩვენოს, რა არის კარგი და უმჯობესი და როგორ უნდა მოუაროს იმ ტრადიციას, რომელიც დღევანდლამდე მოვიდა.

სახარებაში ნათქვამია: „ჰე იყოს ჰე და არა იყოს არა“. რასაც ვამბობთ, არის ის, რასაც ვაკეთებთ. მოსულებს ყველაფერს ვეუბნებით, იმიტომ რომ ეს ჩვენ არ გვეკუთვნის, ეკუთვნის ხალხს; თუ ვინმემ უნდა მოუაროს, უნდა მოუაროს ხალხმა. ჩვენი წვლილი, ჩვენი როლი რა არის? ვნახეთ, მტვერი გადავაცალეთ და სანიმუშოდ დავდეთ, როგორი უნდა იყოს ძირძველი საქმე.

აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

ქვევრში
გადანახული
უძველესი გემო
და სურნელი

ეროვნული ღვინო

1011

წლიდან

მონასტრის მარანი

XXI საუკუნეში აღდგენილი
8000-წლიანი ტრადიცია

2020 წელს ღვინის საერთაშორისო კონკურსზე
„MONDIAL DES VINS EXTRÊMES CERVIM"
„ბერების ღვინო 1011" დიდი ოქროს მედლით დაჯილდოვდა

* * *

ქვევრის ღვინის რეაბილიტაცია უდავოდ ალავერდის მონასტრის მარნიდან დაიწყო. ჩვენი ახალი ტრადიცია არის დავიწყებულის აღდგენა და სურვილი, მცდელობა, რომ ძველი, დღევანდელი და მომავალი გაერთიანდეს ისევ იმ ფარგლებში, რომელიც თავდაპირველად განუკუთვნა ღმერთმა. ისტორიული მარნის რეაბილიტაციით XI საუკუნე გაახალგაზრდავდა და XXI საუკუნე დაბრძენდა.

მონასტრის აღდგენილი მეურნეობა და მარანი, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, არის ნაფერები საქმე, რომელმაც „8000-წლიანი ბავშვი – ტექნოლოგია“ ღრმა ძილისგან გამოაღვიძა და ქართველ ხალხს, მის შემოქმედს, დღემდე მომტანს დაუბრუნა.

ალავერდის მონასტრის ქვევრის ღვინო მალე აღმოჩნდა პრესტიჟულ კონკურსებზე როგორც ინგლისში, ისე იტალიაში, თავდაპირველად, კონკურსგარეშე, თუმცა ენოლოგთა და სომელიეთა გაკვირვება გამოიწვია. როდესაც ქვევრის ღვინის წარმატებაზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საეტაპო მოვლენა – 2010 წელს ლონდონში ჟურნალ „Decanter“-ის მიერ მოწყობილ კონკურსში ქვევრის ღვინის პირველი გამოჩენა და მისი მაღალი შეფასება. წარმოდგენილი იყო ალავერდის მარნის 2007 წლის მოსავლის ქვევრში დაყენებული თეთრი ღვინო „ალავერდის ტრადიციები“, რომელიც კომპანია „ბადაგონთან“ ერთად შეიქმნა. ღვინომ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ეს გზის დასაწყისი იყო...

აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

ალავერდის მონასტრის მარანში, საგამოფენო სტენდთან, რომელზეც ალავერდის მარნის არქეოლოგიის ამსახველი ფოტომასალაა წარმოდგენილი, შთაბეჭდილებების წიგნში მრავლადაა ჩანაწერები ქართული ვაზისა და ღვინის, ალავერდის მონასტრის მარნის შესახებ.

უკანასკნელ წლებში საქართველოში ძალიან ბევრი ღვინის მაგისტრი, ექსპერტი თუ ღვინის მწერალი ჩამოვიდა ამ კულტურის გასაცნობად. მსოფლიოში აღიარებული ბრიტანელი ღვინის კრიტიკოსი და მწერალი ენდრიუ ჯეფორდი ჟურნალ „Decanter“-ში წერს:

30 წელია ღვინოს ვიკვლევ და ქართული ქვევრის ღვინო ჩემთვის აღმოჩენაა. სადაც არ უნდა ვმოგზაურობდე ღვინის სამყაროში, ყოველთვის მახსოვს, რომ ყველა ის ღვინო, რომელსაც ვსინჯავ, ყველა ის ქმედება, რომელსაც ვხედავ და ის სული, რომელიც ამ ქმედებას განსაზღვრავს, კავკასიიდან იღებს სათავეს...

ალავერდის მარანში სტუმრობის შთაბეჭდილება აღსავსეა უფალთან ერთობის ნიშნით, სამყაროს მთლიანობის განცდით, როდესაც თანამედროვეობა იქმნება ტრადიციის საფუძველზე, მის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს და მომავალში გასაკეთებელს განსაზღვრავს. არსად დედამიწაზე მეღვინეობის ისტორია ისე არ არის შერწყმული თანამედროვეობასთან, როგორც აქ. ჩემთვის, როგორც უცხოელისთვის, საყურადღებოა, არ გამომრჩეს ქართველთა

ეროვნული თვითმყოფადობისა და ღვინის კულტურის ღრმა კავშირი. ქართველებს ფრანგებზე მეტად მიაჩნიათ საკუთარი თავი „მეღვინეობის ერად“. საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებელი წმინდა ნინოა, მისი ჯვარი კი ვაზის ლერწით არის შექმნილი. ქართველი ხალხის ისტორიას გამოხატავს მეუფე დავითის სიტყვები: „უფლის სავენახედ იქცა ქვეყანა“, მას ეს სიტყვები 2011 წელს უთქვამს. მსგავსს ვერაფერს მოისმენთ ბორდოში, ადელაიდასა და ნაპაში, რაც საქართველოში მეუფე დავითმა, ალავერდის მონასტრის წინამძღვარმა მითხრა: „მიწა, სამშობლო არა მხოლოდ იმიტომ გვიყვარს, რომ იქ წინაპრის ძვალი, ძარღვი და ხრტილია ჩანაცრული... არამედ იმის გამოც, რომ მიწა ზეცას გაბმული ხსოვნის ძაფია, ჩვენი დაცემის მწვავე ნერვია. ჩვენდამი მოცემული აღთქმის გასაღებია – თავმდაბალი მუშაკობაა, ვაზის ფესვია, უფლის სისხლია“.

დღესდღეობით ღვინის ბევრი მოყვარულისთვის რელიგიის ღვინოსთან კავშირი ღიმილისმომგვრელია; ღვინო მიწიერ სიამოვნებად იქცა, თუმცა არა საქართველოში. არსად დედამიწაზე მეღვინეობის ისტორია ისე არ არის შერწყმული თანამედროვეობასთან, როგორც აქ.

ენდრიუ ჯეფორდი
ღვინის მწერალი, საფრანგეთი

ალავერდის მონასტერი განსაკუთრებული ადგილია. მონასტრის, როგორც სულიერების აღორძინებულ ცენტრთან ერთად, აქ ის უძველესი ცენტრია, სადაც საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ტრადიციის – მეღვინეობის დარგის – შენარჩუნება ხდება. საქართველო მეღვინეობის ერთ-ერთი უძველესი ტრადიციის მქონე ქვეყანაა. ამ ტრადიციას კი ისეთი ცენტრები ინარჩუნებენ, როგორიც ალავერდის მონასტერია. აქ აწარმოებენ ღვინოებს, რომლებიც ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. სწორედ ახლა, როდესაც მსოფლიო იკვლევს მეღვინეობის დარგის ფესვებს და ადგენს, რამდენი დადებითი მხარე აქვს ღვინის დაყენების ტრადიციულ წესს, ის სამუშაო, რაც ალავერდის მონასტერში ჩატარდა, გადამწყვეტი აღმოჩნდა იმის დასადასტურებლად, რომ ძველებური მიდგომები დღესაც აქტუალურია და აუცილებელია მეღვინეობის საუკეთესო ტრადიციების შენარჩუნება და ამავე დროს სრული გახსნილობა ინოვაციის მიმართ.

ჩარლზ მეტკალფი
ღვინის ექსპერტი, დიდი ბრიტანეთი

ალავერდის მონასტერი საოცარი ადგილია. აქ გაერთიანებულია ისტორია, რომელსაც მნახველი შეიძლება შეეხოს – ლამაზი ძველი მონასტერი და მიწაში ჩაფლული უძველესი ქვევრები, და, ამავე დროს, ტრადიციის თანამედროვე შეგრძნება, რომელსაც ასეთი სიყვარულით ინარჩუნებს მეუფე დავითი და მისი ქარიზმატული გუნდი. ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია გადავცე მეუფეს ჩემი გულითადი მილოცვა ყველაფრისთვის, რასაც მან მიაღწია უკანასკნელ ათწლეულში. არსად სხვაგან დედამიწის ზურგზე არ არსებობს არაფერი მსგავსი.

როგერტ ჯოზეფი
ღვინის მწერალი და ექსპერტი,
დიდი ბრიტანეთი

„ვაზის კუნძული“ მონასტრის ეზოში – ამპელოგრაფიული მუზეუმი

საქართველოში ვაზის 500-ზე მეტი ენდემური ჯიშია ცნობილი. კავკასია ვაზის სამშობლოდ არის აღიარებული.

2011 წელს ალავერდის მონასტრის ეზოში ამპელოგრაფიული მუზეუმი მოეწყო, სადაც წარმოდგენილია კახეთისა და ქართლის ვაზის 104 უძველესი ჯიში. ვაზის მუზეუმს საგანმანათლებლო დატვირთვა აქვს.

* * *

ქართული ვაზის ჯიშებზე იტალიელი მეცნიერი, ენოლოგიის დარგში ოსკარის მფლობელი, პროფესორი დონატო ლანატი წერს:

„საფერავის ჯიშის ყურძნის შესწავლა უსასრულოდ შეიძლება; იგი ახალ-ახალ, მოულოდნელ თვისებებს ავლენს. შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ქართული აბორიგენული ჯიშები მსოფლიოს არც ერთი ჯიშის ყურძენს არ ჰგავს, მათი შედარება სხვა ჯიშის ყურძენთან თითქმის შეუძლებელია“.

ონატო ლანატის სიტყვები მოწმობს, რომ 8000-წლიანი ექსპერიმენტი გრძელდება და, სავარაუდოდ, უსასრულოა... რადგან იგი მოულოდნელ თვისებებს ავლენს, ამოუწურავია პოტენციალი, რაც მასში უფალმა ჩადო. ადამიანს კი სურს შეიცნოს იგი, ამოხსნას მისი საიდუმლო და ამ ფიქრით შემოქმედს უკავშირდება...

არსად მთელ მეღვინეობისმოყვარულ მსოფლიოში არ მოიძებნება 8000 წლის ბებერი, დღეს მოქმედი ტექნოლოგიის ცოცხალი ტრადიცია. 8000 წელია, ვაზი და ქართველი კაცი ერთად მოდიან. ბუნებრივია, ეს ურთიერთობა კულტურის სფეროს გასცდა და ქართველის იდენტობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი თვისება გახდა... ვაზი და ღვინო ჩვენთვის ქრისტეს შემდგომ და მანამდეც იყო ღმერთთან მიმართების ერთ-ერთი მთავარი გამოხატულება.

ბიბლიიდან ვიცით, რომ ადამიანი, თითოეული ჩვენგანი, მიწისგან ვართ მოზელილი და პირველი ჩვენი წინაპარი, დიდი მშობლები – ადამი და ევა, სამოთხეში დაადგინა უფალმა. შეიძლება ითქვას, რომ მიწა – საოჯახო ალბომია, ყოველ ჯერზე მიწის დამუშავებით იხსნება ეს საოჯახო ალბომი და ადამიანი განიცდის იმ სიტყვებს – „მიწა ხარ და მიწად მიიქცევი“, რომლებიც ქვეცნობიერად დევს ყველაში, მორწმუნეშიც და არამორწმუნეშიც. ვინც მიწათმოქმედებას მისდევს, მისთვის ეს პირველი დავალება, ვალდებულება ცხადია. ოღონდ მიწათმოქმედი უნდა იყოს გონიერი, უნდა ვმადლობდეთ ღმერთს ყველაფრისთვის, რასაც გვაძლევს ჩვენი შრომის სანაცვლოდ და გვახსოვდეს, რომ მიწიდან იშვა ადამი და მიწადვე მივიქცევით ჩვენ, ადამის შემდგომი თაობა. ეს კავშირი არის უწყვეტი ათასწლეულების განმავლობაში. უფალმა აღთქმა მისცა ადამს, რომ კაცობრიობას დაიხსნიდა პირველშეცოდების მძიმე შედეგებისგან. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში – ოცდაერთი საუკუნე ქრისტეს შემდეგ და მანამდეც, მრავალი ათასწლეული, ადამიანი ამუშავებს მიწას, და ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად, ზოგი კი საერთოდ ვერ გულისხმაჰყოფს, რომ მიწათმოქმედი ადამიანი, ერი ასრულებს უფლის დავალებას: ამუშავებს მიწას, რომ შეინარჩუნოს ედემი, ღვთით მოცემული ქვეყანა. მემკვიდრეობა არ არის მხოლოდ მატერიალური ქონება, მემკვიდრეობა არის დავალება, აღთქმა, რომლითაც საზრდოობს ჩვენი სულიერი სამყარო. აქედან გამომდინარეა სწორედ ვენახთან დამოკიდებულებაც. იმასაც ვიტყვით, რომ ედემში ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა – ვენახია, და არა შემდგომ კათოლიკური სამყაროდან შემოსული ვაშლი. ვენახი – ეს არის კავშირი სამოთხესთან, ხილულიც და უხილავიც.

ჩვენთვის მიწათმოქმედება ორგვარი საზრდოს მომცემია: სულიერისა და ხორციელის, მატერიალურის. ვინც ამას გრძნობს, იგი მადლობელია როგორც უხვი, ისე მწირი მოსავლის შემთხვევაში. და ესეც ჩვენთან, ჩვენს წინაპრებში, ჩვენი წინაპრების დახმარებით ღვთით ბოძებული მადლია, რომელიც როგორც მარილს, ისე გვინახავს. სამწუხაროდ, ზოგიერთმა ღვთით მოცემული ჯილდო, მოწათმოქმედების უფლება გაცვალა ოცდაათ ვერცხლზე, მამა-პაპის მიწა გაყიდა. ამით ის შეიძენს მატერიალურს, მაგრამ კარგავს ყველაზე მთავარს – ძარღვს, რომელსაც ხსოვნის ძარღვი ჰქვია და რომელიც გაბმულია მიწიდან ზეცამდე, ამ ხილული ქვეყნიდან უხილავ სამშობლო-სამოთხემდე.

აბგა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის ნახატი

გოგი
სალაყაია



რატომ უყვარს ქართველს სამშობლო, რატომ სხვაგან ვერსად ცხოვრობს? იმიტომ რომ, ეს ბებერი შვილი, ბავშვი მხოლოდ ქართველებმა შემოინახეს – თიხის ქვევრში, კვერცხის ფორმის ქვევრში, მიწიდან მოცემული კურთხეული ვენახის ნაყოფით; ღვინო, რომელზეც უფალმა თქვა, რომ ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, შევინარჩუნეთ ჩვენ. მიწის გულიდან, როგორც დედის მუცლიდან, იბადება სითხე, რომელზეც უფალმა თქვა: სვით ღვინო ახალი, ესე არს სისხლი ჩემი, ამით მივიღოთ გამოხსნა და ცოდვათა მიტევება. ეს, რა თქმა უნდა, უფრო დიდია, ამას სხვა განზომილება აქვს. მაგრამ ჩვენი წინაპრის უდიდესი დამსახურება სწორედ ისაა, რომ მან შეძლო და გადმოიტანა თავის ყოფა-ცხოვრებაში საღვთო სიბრძნე უბრალო ენითა და ფორმით. დღეს ამ ტრადიციის წარმომავლობის ძირი დაკარგულია, თუმცაღა იმდენად ძლიერია, რომ გვახსოვს და მივსდევთ მას. სწორედ ეს არის უნარი, ძველი ყოველთვის ახლად გამოიყურებოდეს, ახალი დაემყნოს ძველზე და მივიღოთ განსხვავებული, მაგრამ ძველი მადლითა და ძირით ნაკურთხი ტრადიცია.

ამიტომაც, ჩვენთან, მონასტერში მარნის აღდგენაზე ფიქრი ბევრმა ფაქტორმა განაპირობა, მაგრამ მთავარი თანდათანობით, მერე და მერე გამოიკვეთა. დასაწყისში ძნელია აღქმა, გააზრება იმისა, რომ ეს ჩვენი ძირძველი ყოფითი მდგომარეობაა, რომელიც წილნაყარია ღვთის სიტყვასა და მის დავალებასთან.

აბგა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

ალავერდის მონასტრის
XI ს.-ის ქვევრი

ქვევრის ღვინის აღიარების პროცესში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 2010 წელს სამი მღვდელმთავრის მიერ დაარსებული „ქართული ტრადიციული ღვინის ფონდი“, რომელიც 2011 წელს „ქვევრის ფონდის“ დაფუძნების ერთ-ერთი ინიციატორი გახდა.

ამაშია, არ დავკარგოთ ის, რაც ისტორიულად ჩვენია, რითაც ვხიბლავთ ყველას. თუ ჩვენ ამაზე უარს ვიტყვით, სხვებმა შეიძლება წაიღონ და მიითვისონ; როგორც მოხდა ქვევრთან დაკავშირებით – რომ არ ყოფილიყო ალავერდის მონასტერი და ის, რაც შემდეგ განვითარდა, ჩვენ შეიძლებოდა ქვევრი დაგვეკარგა. პატრიარქის კურთხევითა და ალავერდის მონასტრის შრომით კერძოობისთვის განწირული ტექნოლოგია, თვითმყოფადი კულტურა ხალხს დაუბრუნდა და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინტერესის საგანი გახდა მსოფლიოსთვის.

ეკლესია სარწმუნო ხიდია ძველსა და ახალს შორის. ოცდამეერთე საუკუნეში, მოდერნიზმის ბობოქარ ზღვაში, ბიბლიური კიდობნის მსგავსად, ეკლესიამ გადაარჩინა ქვევრი და თანამედროვე მსოფლიოს თიხის უნიკალური ჭურჭელი შეუნარჩუნა. უძველესი ტექნოლოგიის წყალობით მიწით ამოვსებულმა ქვევრმა მზის სინათლე იხილა და ისევ ცოცხალი ღვინით აივსო.

აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

ვაზისა და ღვინის 33-ე
მსოფლიო კონგრესის
მონაწილენი ალავერდის
მონასტრის XI ს.-ის მარანში.
2010 წ.

2010 წელს ალავერდის მონასტერმა ღვინის მსოფლიო კონგრესს უმასპინძლა დევიზით: „შეეხე ისტორიას“. კონგრესის დელეგატებისთვის განსაკუთრებულად საინტერესო იყო მონასტრის XI საუკუნის აღდგენილი მარნისა და უფრო ძველი – VIII საუკუნის მარნის არქეოლოგიური აღმოჩენების ნახვა.

ქვევრის ღვინის
I საერთაშორისო
სიმპოზიუმი. 2011 წ.

2011 წელს „ქვევრის ფონდმა“, სახელმწიფო სტრუქტურების (სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „ასოციაცია ქართული ღვინო“ და სხვ.) ხელმძღვანელობითა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის მხარდაჭერით, ალავერდის მონასტერში „ქვევრის ღვინის პირველი სამეცნიერო სიმპოზიუმი“ ჩაატარა. კონფერენციის სამუშაო სხდომების მიმდინარეობა პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

„ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა“ – ამ საერთაშორისო მულტიდისციპლინური პროექტის ბიომოლეკულური კვლევების ხელმძღვანელი, პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი პატრიკ მაკგოვერნი ქვევრის ღვინის I საერთაშორისო სიმპოზიუმზე ალავერდის მონასტერში (მარჯვნიდან პირველი)

ქვევრის ღვინის III საერთაშორისო სიმპოზიუმი ალავერდის მონასტერში. 2015 წ.

ღვინის მსოფლიო კონგრესმა, ქვევრის ღვინის საერთაშორისო სიმპოზიუმებმა, საერთაშორისო ფესტივალებმა, ასევე მონასტერში ჩატარებულმა სემინარებმა და დათვალიერებებმა ქვევრის ღვინო მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი გახადა.

ჩვენი მარანი, შეიძლება მოკლედ ითქვას, არის უწყება იმისა, რომ საქართველო და ქართველები ტრადიციას პატივს ვცემთ და სიახლეს ზურგს არ ვაქცევთ; შეგვიძლია, ძველთან დაკავშირებით და მისი გავლენით კიდევ უფრო გავამშვენოთ, დავაბრძენოთ ახალი, ძველს კი სიცოცხლე გავუხანგრძლივოთ.

აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

მსოფლიო დაინტერესდა ქვევრში ღვინის დაყენების საიდუმლოს ამოხსნით, რაც ქართველებისთვის დიდი აღიარებით აღინიშნა – 2013 წელს იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა „ქვევრში ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს“. ამ მოვლენას „8000-წლიანი ექსპერიმენტის“ წარმატება შეიძლება ვუწოდოთ. ეს 8000 წლის მანძილზე ღვინის კულტურის განვითარების პროცესში მიღწეული დიდი გამარჯვებაა.

Convention for the Safeguarding of the Intangible Cultural Heritage

The Intergovernmental Committee for the Safeguarding of the Intangible Cultural Heritage has inscribed

Ancient Georgian traditional Qvevri wine making method

on the Representative List of the Intangible Cultural Heritage of Humanity upon the proposal of Georgia

Inscription on this List contributes to ensuring better visibility of the intangible cultural heritage and awareness of its significance, and to encouraging dialogue which respects cultural diversity

Date of inscription: 4 December 2013

Director-General of UNESCO: Irina Bokova

2012 წელს კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობით და აბბა ალავერდელი მიტროპოლიტ დავითის უშუალო ჩართულობით დაიწყო მუშაობა ქვევრის ღვინის საერთაშორისო აღიარებისთვის. იუნესკოსთვის შესაბამისი დოკუმენტაციის მზადების პროცესი მარტივი არ იყო. მეუფე დავითი არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ მხოლოდ ქვევრი, როგორც საღვინე თიხის ჭურჭელი, წარედგინათ ნომინანტად. საღმა აზრმა გაიმარჯვა და იუნესკომ არამატერიალური კულტურის ძეგლად აღიარა ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდი. ამით 8000-წლიანი მევენახეობის, მეღვინეობისა და მეთუნეობის განვითარების აღიარებაც მოხდა.

იუნესკოს მიერ „ქვევრში ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდის“ მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარება

ქვევრის ღვინის აღიარებასთან დაკავშირებული სტუმრობა ალავერდის მონასტერში. 2015 წ.



ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიცია

8000 რთველი
VINTAGES

„ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი“ – უაღრესად ეროვნული, და, ამავდროულად, მსოფლიო კულტურის საგანძურის კუთვნილებაა. ეს არის ჩვენი იდენტობა, საიდენტიფიკაციო კოდი წინაპრებისა ჩვენთან და ჩვენი – მომავალთან. ეს ის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობაა, რომლითაც ჩვენმა ქვეყანამ გაიმყარა ადგილი მსოფლიო კულტურაში და აიღო ვალდებულება, მსოფლიოს შეუნარჩუნოს მემკვიდრეობა, რომელიც ქართველებთან ერთად უკვე მთელი მსოფლიოს კუთვნილება გახდა.

საქართველო – მეღვინეობის აკვანი – ასე იცნობს და აღიარებს დღეს მთელი მსოფლიო ჩვენს პატარა ქვეყანას. ბორდოში, ღვინის ქალაქის მთავარ შესასვლელთან, დგას ქვევრი, როგორც ქართული მეღვინეობისა და კულტურის სიმბოლო; 2016 წელს კი ჟენევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისის ეზოში დაიდგა ქვევრი, წარწერით – „საქართველო“. ეს რეალობა დაუღალავი შრომისა და მიზანმიმართული მეცადინეობის, ქართული ქვევრის ღვინის პოპულარიზაციის შედეგად დადგა. მსოფლიომ გაიცნო ქვევრის ღვინო.

გადაჭრილი გორა. შულავერის კულტურა. ქართულ-კანადური ექსპედიცია

ვაზის რქები ვერცხლის გარსაცმით. ბადენის კულტურა ძვ.წ.აღ. III ათასწლეული (ბრინჯაოს პერიოდი) და განმარხებული ვაზის თესლები დანგრეული გორიდან

„ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის“ სამეცნიერო პროექტის შედეგების წარდგენა

დონატო ლანატი

„საქართველოში ღვინოს, როგორც სიწმინდეს, ისე ეპყრობიან, იგი არ არის მხოლოდ სასმელი – ეს ამ საოცარ ქვეყანაში აღმოვაჩინე“, – ამბობს დონატო ლანატი, რომელსაც ეკუთვნის სიტყვები:

„ალავერდის მარანში გაწეული საქმიანობა ზეენოლოგიის სფეროს განეკუთვნება. ღვინის ფერი, სურნელი, ტრადიციები, სირთულეები, თაობიდან თაობისათვის გადაცემული ცოდნა – ყველაფერი ღვინის ერთ წვეთშია თავმოყრილი. ერთ ჭიქა ღვინოს შეუძლია ქვეყნის წარსული და მომავალი ჩაიტიოს“.

თავად ალავერდის მონასტერზე კი ბატონი ლანატი წერდა:

„ალავერდი ჩემთვის არა მხოლოდ ისტორიის, ტრადიციისა და კულტურის სიმბოლოა, ის არის ასევე ღმერთთან შეხვედრისა და ურთიერთობის დასაწყისი. მე, როგორც ქრისტიანი, მოხიბლული ვარ ეკლესიებით, განსაკუთრებით კი – მონასტრებით, ვინაიდან მათ შეინარჩუნეს ტრადიცია და კულტურა და აწმყოში მოიტანეს წინაპრების მიერ საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი სიბრძნე, რათა მომავლის საფუძვლად ექციათ ის.

ალავერდში მე ხელახლა ვიპოვე რწმენისა და ღვთაებრივი ენერგიის ძალა. აქ განვიცადე ხელმეორე სულიერი შობა, „ახალი გატაცებით“ უფლის მიმართ. ალავერდი არის დაფიქრების, მედიტაციის ადგილი, ეს ათვლის წერტილი და ყველაფერზე აღმატებულია“.

* * *

ქვევრი, რომელიც მსოფლიოს უდიდესი ნაწილისთვის ღვინის შესანახი ჩვეულებრივი თიხის ჭურჭელია, მეუფე დავითმა ასე დაინახა:

მერთმა თიხისგან შექმნა ადამიანი; ადამიანმა თიხისგან გააკეთა ჭურჭელი, ქვევრი, რომელიც მიწაშია დაფლული, ყელი კი ამოწეული აქვს; ის ისევე ბადებს ღვინოს, როგორც დედა – ჩვილს, წიაღიდან, მიწის წიაღიდან. შემდეგ ღვინოსაც ასაკი ემატება ბავშვივით. ღვინო, რომელსაც კლერტი და ჭაჭა ნაადრევად ჩამოაშორეს, შეიძლება უდედოდ დარჩენილ ბავშვს შევადაროთ. მთელი ეს პროცესი კი ლოცვის მსგავსია.

ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდის წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობა ხარისხიანი ქვევრია. ქვევრის საუკეთესო ნიმუშების შესაქმნელად, მისი წარმოების კვლევის ხელშეწყობისა და ქვევრის სტანდარტის შემუშავებისთვის აშენდა იყალთოს ქვევრის სკოლა-აკადემია, რომელსაც დიდი რესურსი აქვს, რომ ჩვენი ერის ღირსების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად იქცეს.

ქვევრის სკოლა-აკადემია მეთუნეობის განვითარების უძველეს არეალში აშენდა. იყალთოში ქვევრის პირველი სკოლა-აკადემიის დაფუძნების იდეა მეუფე დავითს ეკუთვნის. იგი მოიწონა ხელისუფლებამ და მსოფლიო ბანკმაც ირწმუნა, რომ იყალთოს ქვევრის სკოლა-აკადემია შეძლებდა უძველესი საგანმანათლებლო ტრადიციის გაგრძელებას.

პროექტი არ არის ბიზნესპროექტი, ის, უპირველეს ყოვლისა, სოციალური პროექტია, რაც გულისხმობს: კულტურული ფასეულობების დაცვას, მოვლას, შესწავლა-კვლევასა და განვითარებას. შენობაში არის თანამედროვე ქურა, საგანგებოდ აკადემიისთვის იტალიაში დამზადებული; საუკეთესო სამუშაო გარემო; კვლევითი ლაბორატორია ხელსაწყოდანადგარებით; ვრცელი სახელოსნო ოსტატებისა და შეგირდებისთვის; მოსასვენებელი ოთახები სველი წერტილებითა და შხაპით. ამ ინფრასტრუქტურამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის თემის წევრთა შეგნების ამაღლებას, მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობის, შრომის პირობების დაცვასა და გაუმჯობესებას; ახალგაზრდების განათლებასა და მათ დასაქმებას; დამატებითი სახელობო ადგილების შექმნას; ასევე, ტრადიციული საქმიანობების, მათ შორის, ადგილობრივ

იყალთოს ქვევრის პირველი სკოლა-აკადემია

ნედლეულზე დამზადებული ქართული ფაიფურისა და ქართული მინანქრის სახელოსნოების შექმნა-აღჭურვას; ღვთივბოძებული გარემოს, ეკოსისტემის შესწავლას, დაცვასა და მართლზომიერ გამოყენებას (ბიოსფერული რეზერვატების მოდელზე დაყრდნობით); სოფლის გარშემო არსებული ისტორიულ-კულტურული გარემოს შესწავლასა და საფეხმავლო ტურისტული ბილიკების დაგეგმვას (შენობაში არის მეთუნეობის მუზეუმისთვის განკუთვნილი ადგილი, რომლის ექსპოზიციის მოწყობისას ეს მიზნობრივი ინფორმაციები უნდა გავითვალისწინოთ. სოფლის გარშემო 60-მდე კულტურული მემკვიდრეობის ნაშთია – ნასოფლარი, ნასახლარი, ეკლესიები, სამეურნეო ნაგებობები, სამაროვანი და სხვ.). აქვე მოეწყობა ბიბლიოთეკა და ინტერნეტბიბლიოთეკა, მხატვარ-დიზაინერების ოფისი და დიდი ტერასა შეხვედრა-საუბრებისთვის.

აგბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

მევენახეობის აკვნად წოდებულ ქვეყანაში ჰაერიც კი გაჯერებული უნდა იყოს მევენახეობაზე ზრუნვით, დიდი და პატარა ამ საქმეს უნდა მისდევდეს. ღონიერი, ჯიშიანი ვენახი, ვაზი თავისი ფესვის სიღრმით ნიადაგში დაფარულ მინერალებს, მიწისქვეშა წყლებს ეძებს, კრებს და მტევანში აგროვებს. ჩვენი მომავალიც ტრადიციას უნდა ემყარებოდეს.



იყალთოს ქვევრის პირველი სკოლა-აკადემიის კონცეფციასა და სახელწოდების შინაარსს კარგად გადმოსცემს ლოგო, გრაფიკული ნიშანი, რომელზეც ქვევრი და წიგნი ერთად არის გამოსახული

იყალთო მიმდებარე სოფლებით მეთუნეთა ადგილია, რადგან აქ თიხა მოიპოვება და თიხის ჭურჭელს ოდითგან აწარმოებენ. იყალთოს მონასტრის აკადემია მწიგნობრობის კერა იყო, სადაც მევენახეობა-მეღვინეობასა და მეთუნეობასაც ასწავლიდნენ. ამან საშუალება მისცა ჩვენს წინაპარს, ტექნოლოგიური სრულყოფის გზაზე ქვევრის, როგორც ღვინის სადუღარი ჭურჭლის ფორმათა დახვეწის, სრულქმნის გზა გაევლო.

გვაქვს მაგალითი და ვეფუძნებით მას, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილ ქვევრის პირველ სკოლა-აკადემიასაც დიდ პასუხისმგებლობას ვაკისრებთ. თუკი შესაძლებელია XXI საუკუნეში რომელიმე სასწავლო ცენტრი იყოს იყალთოს ძველი აკადემიის „მემკვიდრე“, ეს ფუნქცია ნამდვილად იტვირთა ამ სკოლა-აკადემიამ – მან გააგრძელა ისტორია...

ეს არის ადგილი, სადაც ყველამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს, ყველამ, როგორც საკუთარ სახლს, ოჯახს, ისე უნდა მოუაროს. აქ არ არის დიდი და მცირე, ყველას პასუხისმგებლობა ერთ წერტილში იკრიბება და ეს არის ჩვენი ქვეყანა.

პატრიარქი ხშირად ამბობს: „იმაზე კი არ უნდა ვფიქრობდეთ, რა უნდა მოგვცეს ქვეყანამ, ვიფიქროთ იმაზე, რა უნდა მივცეთ ქვეყანას“. ეს ადგილი იქნება ამის გამოვლენის, გამომჟღავნების ასპარეზი. თითოეულმა, დიდმაც და პატარამაც, უნდა შეძლოს აქ თავისი სიტყვის თქმა და საქმით დადასტურება, რომ შემდეგ სხვამ, ამის შემხედვარემ, მადლობა შესწიროს ღმერთს.

აგგა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

ქვევრის სკოლა-აკადემიის წარდგენაზე

* * *

საქართველო ერთ-ერთია იმ ქვეყნებს შორის, სადაც ყველანაირი ტურისტული ინფორმაცია თავს იყრის მონასტრებთან. ტურისტული გზები, ყველა სახის ტურისტული მარშრუტი მონასტრით იწყება და მონასტრით მთავრდება. დღევანდელ ადამიანს სიძველის არა მხოლოდ ნახვა, არამედ ხელით შეხებაც სჭირდება სასიცოცხლო ენერგიისა და მუხტის მისაღებად. ობიექტური ინფორმაცია მან „სიძველეთსაცავებში“ – მონასტრებში უნდა მოისმინოს..

ის ფუნქცია, რომელსაც საუკუნეების მანძილზე მონასტრების გარშემო აღმართული გალავნები ასრულებდა, დღეს მოწესრიგებულმა ინფრასტრუქტურამ და გარემომ უნდა შეასრულოს.

აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

ტურისტული ნაკადის ცივილიზებულ ფარგლებში მოსაქცევად და ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული სტუმრების ღირსეულად დასახვედრად საჭირო გახდა მონასტრების გარშემო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ამის გარეშე დამთვალიერებელთა ნაკადის რეგულირება ვერ მოხერხდება და, უფრო მეტიც, უწესრიგობა, რომელიც სტუმარს ხვდება, უპატივცემულობასა და უკრძალველობას იწვევს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მიმართ.

ალავერდის მონასტერთან მეფუტკრეობის მეურნეობა „თაფლიკაცის“ შექმნა და სხვა ტრადიციული მეურნეობების ხელშეწყობა, მონასტრის მიმდებარედ „მაწვნის სახლი“, შუამთის მონასტერთან დაარსებული „საინფორმაციო კარიბჭე“, ასევე, სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები თავის თავში წმინდა ადგილების გარშემო ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობისთვის ღირსეული გარემოს შექმნას გულისხმობდა.

ამავე მიზანს ემსახურება „ოქროს გზა“, რომელიც აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის ერთიანი კონცეპტუალური პროექტია. ის, პირველ რიგში, მიზნად ისახავს ზრუნვას ჩვენი ქვეყნის მდიდარ ისტორიაზე, რომელსაც მოვლა, გაფრთხილება და დაცვა სჭირდება. პროექტი ითვალისწინებს ჩვენს ხანდაზმულ ისტორიასა და კულტურაში შემეცნებით-საგანმანათლებლო მოგზაურობას ეკოტურიზმის, მომლოცველობითი, აგრო და ღვინის ტურიზმის საშუალებით.

ქართული ეკლესია ყოველთვის ქართული სახელმწიფოს საქმეს აკეთებდა, სახელმწიფოებრივი აზროვნება კი ოდითგანვე ქართველი მღვდელმთავრების სახასიათო თვისება იყო. ამის ერთ-ერთი მაგალითი სხვა მრავალთან ერთად საქართველოს „ოქროს გზაა“. მეუფე დავითის ფიქრი დიდწილად სცილდება ეპარქიის ფარგლებს. „ოქროს გზა ოქროს ისტორიაში“ – ეს ის მასშტაბური პროექტია, რომელიც საქართველოს ამჟამინდელ და ისტორიულ დედაქალაქებს ცოცხალი თხრობით დააკავშირებს ერთმანეთთან.



აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის ნახატი

ეაზრი გაცილებით დიდ მასშტაბს იტევს, ვიდრე თავად სიტყვასა და წინადადებებს შეუძლიათ გადმოსცენ. ვფიქრობ, სიმყარე ამ ნააზრევისა არის ის, რომ მიზანი თანამიმდევრულ, კონკრეტულ, მიზანდასახულ ნაბიჯებს, ფიქრსა და მოქმედება-მოძრაობას ეყრდნობა. ყოველი საქმის წარმატება უპირველესად ცოდნას ემყარება. ღმერთზე ცოდნა, სულით და გულით განათლება – სიწმინდეა. ყოველი ღრმა ცოდნა წარმატების საწინდარია. სიღრმე ცოდნის ფესვისა, რომელმაც მიწისქვეშა წყლების სიგრილითა და მინერალების სიმრავლით უნდა ისარგებლოს. სათქმელი ბევრია. დრო არასაკმარისი. თავს ვესაუბრები და ვცდილობ ღვთის წინაშე, გულთამხილავის წინაშე ენით გამოუთქმელი სინანულის სათქმელი ვთქვა.
ჰე, უფალო, შემინდე და შემიწყალე.

აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

ოქროს გზა

ოქროს ისტორიაში

აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის
ერთიანი კონცეპტუალური პროექტი

ალავერდი გამორჩეულია მთელ კახეთის მხარეში თავისი სიდიდით, გარემო ლანდშაფტით, ისტორიითა და სხვა მრავალით. თბილისიდან ალავერდამდე და ალავერდიდან მცხეთამდე და შემდეგ თბილისამდე, ვიზიტორი მოძრაობს წრეზე, რაც იძლევა საშუალებას, უკან მობრუნების გარეშე დაბრუნდეს საწყის წერტილში.

„ოქროს გზის“ პირველი მონაკვეთი – თბილისიდან ალავერდამდე – 150 კილომეტრზე ვრცელდება: იწყება თბილისში, გაივლის უჯარმას, ცივგომბორის უღელტეხილს; შემდეგ შუამთაა – კულტურულ-ისტორიული ქვედა ზღვრით V საუკუნიდან ვიდრე დღევანდელობამდე. ძველი და ახალი შუამთის მიმდებარედ აგებულ ვიზიტორთა ცენტრიდან, რომელსაც „საინფორმაციო კარიბჭე“ ჰქვია, სრულფასოვანი ინფორმაციით აღჭურვილ ტურისტს შესაძლებლობა ექნება, ღვინის ტურის, ეკოტურისა თუ სიძველეების გაცნობის მიზნით, სასურველი მიმართულება აირჩიოს: თელავი თავისი მრავალფეროვნებით თუ იყალთოს ხეობა, როგორც ტურისტული ჰაბი – ეს მეორე, დამოუკიდებელი დიდი პროექტია.

„ოქროს გზის“ მნიშვნელოვანი ობიექტებია იყალთოს VI საუკუნის მონასტერი-აკადემია და „იყალთოს ქვევრის პირველი სკოლა-აკადემია“ .

„ოქროს გზის“ პირველი დასრულებული ობიექტი – „მაწვნის სახლი“ ალავერდის მონასტერთან მდებარეობს.

ალავერდის VI საუკუნის წმინდა გიორგის მონასტერს, კულტურის უძველეს კერას, „ოქროს გზის“ მთავარი მიზიდულობის ცენტრი შეიძლება ვუწოდოთ.

„ოქროს გზის“ უკვე განხორციელებული პროექტების ხორცშესხმას თითქმის ათწლეული დასჭირდა. ეს პირველი ეტაპია. მისი გაგრძელება იქნება: ახმეტა, კვეტერა, თიანეთი, ნოდოკრა, საგურამო-ჯიღაურა, მცხეთა. ეს გზა ორ დედაქალაქს – თბილისსა და მცხეთას აერთიანებს კულტურულ-ისტორიულ-ტურისტულ ჭრილში და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი ალავერდის გავლით, მისი საშუალებით იგეგმება.

ალავერდის მონასტერი



* * *

საქართველო ერთ-ერთი ქვეყანაა, სადაც
ყველა სახის ტურიზმი ფოკუსირდება ისტორიულ
მემკვიდრეობასთან და ეს მემკვიდრეობა
უპირატესად არის ეკლესია-მონასტრები.
ყველაზე ღირებული, რაც მომსვლელს უნდა
ავუხსნათ, არის ჩვენი ისტორია-წარმომავლობის
ფესვი და კულტურა – მასზედ აღმოცენებული;
რწმენა – ჩვენი ადათ-წესების განმაპირობებელი;
ბუნება და ხალხი – ამ სიმდიდრის
პატრონი და მომვლელი.
ამიტომაც ჩვენს პროექტს დავარქვით:
„ოქროს გზა ოქროს ისტორიაში“.



ალავერდის ჭალა

საზოგადოების გარკვეულ ნაწილში უკმაყოფილებას იწვევს სახელმწიფოს მხრიდან ეკლესია-მონასტრებისთვის ისტორიულ წარსულში მათი კუთვნილი მიწების დაბრუნება. თუმცა დღეს სწორედ ეკლესიაა იმ ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილების გარანტია, რომელსაც ტყეებისა და სავარგულების უკანონო და დამაზიანებელი გამოყენება ქმნის. ამის მაგალითია ალავერდის ეპარქიის დამოკიდებულება მისი ბუნებრივი სიმდიდრის – ალავერდის ჭალისა და შუამთის ტყისადმი. მათი ეკლესიისთვის გადაცემით დამთავრდა ხის ჭრა და მიდამოს დაბინძურება. ამ მნიშვნელოვან ეკორესურსზე ზრუნვა ეკლესიამ იტვირთა, რომ სამომავლოდ მისი ხალხის გაჯანსაღების, დასვენებისა და შემეცნებით-საგანმანათლებლო მიზნით გამოყენება შეძლოს.

ამერიკის შინაგანი დეპარტამენტის საერთაშორისო ტექნიკური დახმარების პროგრამის წარმომადგენლები ალავერდის ჭალაში

* * *

საქართველოს ეკლესიას საბჭოთა სახელმწიფოს მიერ სავალალო მდგომარეობამდე მიყვანილი ეკლესია-მონასტრები გადაეცა, – ბევრ მათგანს, მრავალი წლის მანძილზე უპატრონოდ მიტოვებულს, შეუსაბამო ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული – ისინი აბანოებად, სახელოსნოებად, საწყობებად, ბავშვთა სახლებად იყო გადაკეთებული... მათი მოწესრიგება, ღვთისმსახურებისთვის გამართვა-რესტავრაცია, ახალი ტაძრების მშენებლობა საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობით უნდა განხორციელებულიყო, რადგან ახლაც, ისევე როგორც ძველად, ქართული სულიერი კერების მემკვიდრე, მზრუნველი და დამცველი ეკლესიაა. თუმცა ეს ფრთხილად და დიდი პასუხისმგებლობით გასაკეთებელი საქმეა.

მეუფე დავითის ავტორიტეტმა ბევრწილად განსაზღვრა საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის საბჭოს ღირსეული შემადგენლობა. მან თავი მოუყარა ქვეყნის წამყვან სპეციალისტებს შუა საუკუნეების ხელოვნების ისტორიასა და არქეოლოგიაში, პროფესიონალ არქიტექტორ-რესტავრატორებს და მხატვარ-რესტავრატორებს. მისი დამსახურებაა, რომ საბჭოს ძირითადი ბირთვი დღემდე პირუთვნელად უძღვება ამ მეტად საპატიო, საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვან საქმეს და ეს ყველაფერი ხდება მხოლოდ ენთუზიაზმზე დაყრდნობით.

საბჭოს მუშაობა არ წარმართულა იოლად. მეუფე პრინციპული და შეუვალი იყო. ის უფრთხილდებოდა ეკლესიის ავტორიტეტს...

2002 წელს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების შემდეგ საბჭომ მიიღო სულ სხვა დატვირთვა – სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურასთან ერთად საპატრიარქო გახდა პასუხისმგებელი კულტურული მემკვიდრეობის იმ ნაწილზე, რომელიც სახელმწიფომ საკუთრებაში გადასცა ეკლესიას.

მეუფე დავითმა საქმით დაარწმუნა საზოგადოებაც და სახელმწიფოს წარმომადგენლებიც, რომ ეკლესიას საბჭოს სახით ჰყავდა ღირსეული გუნდი, რომელიცსაერთაშორისო სტანდარტების დონეზე გაართმევდა თავს იმ საქმეს, რასაც ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა და დაცვა ჰქვია.

პროფ. მერაბ ბუჩუკური

ხუროთმოძღვრების საბჭოს სხდომაზე. 2011 წ.

მცხეთის ჯვარი

ალავერდი, ბაგრატი, გელათი, ნიკორწმინდა, მოწამეთა... – ეს ის ძეგლებია, რომლებსაც სჭირდება ძალიან დაკვირვებით შესწავლა, რომ აღდგენისას არ დავაზიანოთ... ეს არ არის მხოლოდ ჩვენი კუთვნილი ქონება, ეს არის ამ ქვეყნისა და ამ ერის კულტურული მემკვიდრეობა, რომელმაც უნდა წარადგინოს დღევანდელი და მომავალი თაობები მსოფლიოს წინაშე: როგორც მოვუვლით წინაპრების დანატოვარს, ისეთივე იქნება ჩვენი ავტოპორტრეტი ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული ნებისმიერი სტუმრის წინაშე. არ ვუვლით? ესე იგი, არ გვყვარებია ჩვენი კულტურა. ვუვლით? ვპატრონობთ? ესე იგი, პატივს მივაგებთ ჩვენს წინაპრებს და ვზრუნავთ მათ დანატოვარზე. ჩვენ ყველა ერთ დიდ მიზანს ვემსახურებით – ჩვენი ქვეყნისა და ერის კულტურის ჯეროვან წარდგენას...

კულტურა არ არის მხოლოდ ის, რომ თავი მოვიწონოთ სიძველით. კულტურა არის მომავალ თაობაზე გათვლილი ცოდნა, რაზეც უნდა აღიზარდოს ქვეყნის მოყვარული, ღირსეული შთამომავლობა. მან უნდა ჩაიბაროს ეს ქვეყანა. ყველა ეპოქას თავისი სირთულე და სიკეთე აქვს და ჩვენ, როგორც ამ ქვეყნის დღევანდელ თაობას, ეს ვალდებულება არ მოგვხსნია, მიუხედავად ყველანაირი გაჭირვებისა. გზავნილი საზოგადოების მიმართ არის მკაფიო: ტრადიციას ვიცავთ, დღევანდელობასა და მომავალს ზურგს არ ვაქცევთ... კულტურული მემკვიდრეობა არ არის სამუზეუმო ექსპონატი, კულტურული მემკვიდრეობა არის გაცოცხლებული ისტორია. კერძოდ, თუკი მცხეთის ჯვრის მონასტერში ჩატარდება არქეოლოგიური კვლევა, სპეციალისტები იქ ნახავენ მონაზვნების საცხოვრებელი სენაკების ნაშთს და შემდეგ ერთობლივად, საერო და სასულიერო პირების მუშაობით, შეიქმნება რესტავრაციის პროექტი, უნდა შევთანხმდეთ, რომ მცხეთის ჯვრის უაღრესად უნიკალური, დიდი სიწმინდის მქონე მონასტრის სიახლოვეს უნდა აღდგეს მონაზონთა საცხოვრებელი. ვერავინ მეტყვის, რომ დავითგარეჯის სენაკებში დღეს თუ ბერმონაზვნებმა გადაწყვიტეს ცხოვრება, არ იცხოვრონ, იმიტომ რომ ის არის მემკვიდრეობა. უნდა ვიცხოვროთ, რომ მემკვიდრეობა იყოს ცოცხალი.

აბგა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

მეუფე დავითის მრავალმხრივი განსწავლულობა არ იფარგლება ოფიციალურად მიღებული განათლებით (არქიტექტორი). ვფიქრობ, ის იმიტომაც არის მრავალთათვის „მასწავლებელი“ და მისაბაძი პიროვნება, რომ თვითონაც არასდროს ჩერდება და სულიერი თუ ინტელექტუალური ღვაწლის შედეგად გზის გამკვალავია იმათთვის, ვინც იმავე გზას ადგას – ვინც ცდილობს თავისი შრომით, ცხოვრებით ერთი აგური შემატოს ერთიან ნაგებობას, ერთგვარ ზეციურ იერუსალიმს, რომლის მოლოდინშიც ვართ ქრისტიანები. მისეული აზროვნებისა თუ ხედვის საწინდარი, ვფიქრობ, მისი ძირითადი „საქმიანობაა“, როგორც მლოცველის, სულიერი მოძღვრისა და მღვდელმთავრისა, რომელსაც გაცნობიერებული აქვს პასუხისმგებლობა ეკლესიის, მრევლისა და ღვთის წინაშე. სახელდობრ, განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობა არის მეუფე დავითის პიროვნების ერთ-ერთი განმსაზღვრელი თვისება.

ხშირად შევსწრებივარ მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის შეუვალ პრინციპულობასაც, როდესაც საქმე ეხებოდა ეკლესიის ინტერესებს, იქნებოდა ეს ტაძრის რესტავრაციასთან დაკავშირებული საკითხები თუ სიწმინდის დაცვის პრობლემები, საღვთისმსახურო სივრცის მოწყობა თუ მღვდელმონაზვნების მსახურებისთვის ადამიანური პირობების უზრუნველყოფა, სამეცნიერო კვლევების მოთხოვნა თუ ამ კვლევების საფუძველზე ისტორიული სინამდვილის რეალური აღდგენა. ხოლო კონკრეტული საკითხების გადაჭრის ფონზე, შეიძლება ითქვას, რომ მეუფე დავითი ერთსა და იმავე დროს წარმოგვიდგება როგორც ტრადიციების აღმდგენელი და როგორც სტერეოტიპების დამამსხვრეველი.

თამარ კვანტალიანი
საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის მდივანი

უდაბნოს მონასტრის სატრაპეზო. დავითგარეჯი

წმინდა დედაქალაქი მცხეთა.
XX ს.-ის 90-იანი წლები

ელიგიური ორგანიზაციების როლი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, რეაბილიტაციისა და მონიტორინგის საკითხში უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ყოველწამიერად ვაკვირდებით მიმდინარე პროცესებს. აშკარად გამოიკვეთა, რომ პირდაპირი ურთიერთობა ეკლესიასთან, რომელსაც ჰყავს პროფესიონალთა გუნდი (მცირე, მაგრამ გუნდი), აუცილებელია და უფრო მეტიც, სასიცოცხლოდ საჭირო, რადგან კულტურული მემკვიდრეობა განყენებულად – საფუძვლის, გარემოსა და შინაარსის გარეშე არ იქმნებოდა. ყველა ამ შემადგენლით, საღვთო და სამეფო ისტორიასთან ერთად შეიქმნა მცხეთა ჯერ ჩვენი ქვეყნისა და ერის სისხლხორცეულ, შემდეგ კი, მსოფლიო მემკვიდრეობის კულტურულ ღირებულებად. ასეა მსოფლიო მემკვიდრეობის სხვა ნიმუშებთან მიმართებითაც...

მცხეთა იუნესკოს ნომინანტად წარადგინეს იმ დროს (XX საუკუნის 90-იანი წლები), როცა არასწორად იყო შეფასებული მთელი ქალაქის მნიშვნელობა, ეკლესიის აზრს კი ყველანაირად უგულებელყოფდნენ. თავად ნომინაციაც ნაკლულად წარადგინეს. იუნესკოს ნომინანტთა სიაში შეიტანეს სვეტიცხოველი, სამთავრო და მცხეთის ჯვარი, რომელიც დღეს ადმინისტრაციულად მცხეთას აღარ ეკუთვნის. შექმნილმა გარემოებამ სოლიდური დაბრკოლებები წარმოქმნა მცხეთის, როგორც მუზეუმ-ქალაქის დაცვითი არეალებისა და რეგულირების ზონების ჩამოყალიბება-პროექტირებაში.

ჩვენი მყარი პოზიციაა, რომ ეს ასე არ უნდა დარჩეს, მცხეთა მუზეუმ-ქალაქისა და წმინდა დედაქალაქის, მეორე იერუსალიმის, ნომინაცია უნდა შეიცვალოს და იგი გახდეს ყოვლისმომცველი. რადგან იუნესკოსთვის ფასეულია როგორც კულტურული მემკვიდრეობა, ისე ლანდშაფტი, კულტურული ლანდშაფტი და სხვა ურბანული ქსოვილი. სვეტიცხოველი, ჯვარი და სამთავრო ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანი, ფასდაუდებელი არქიტექტურული ძეგლებია, მაგრამ ეს არქიტექტურული ნიმუში წარმოქმნა ქალაქმა თავისი საღვთო ისტორიით. წმინდა დედაქალაქი მცხეთა წარმომქმნელი მიზეზების გაუთვალისწინებლად იქნება ნაკლული და ნომინაცია ვერ გახდება მსოფლიოსთვის საინტერესო. აქ საუბარია ხედვის დერეფნებზე; ისტორიული ქალაქის მთლიანად აღქმა უნდა ხდებოდეს ხედვის წერტილების შენარჩუნებით; ეს გულისხმობს, რომ იქ არ შეიძლება ისტორიულ ქალაქთან შეუსაბამო ნაგებობების დაპროექტება და აშენება. ამის სამწუხარო მაგალითები არსებობს მცხეთაში. ცხადია, პარამეტრები ვერ იქნება ცალსახად დადგენილი, ერთ თარგზე მოჭრილი. ყველა ძეგლს სჭირდება კონტექსტიდან გამომდინარე პარამეტრების შემუშავება, რაც მოითხოვს დიდ შრომას, სპეციალისტების ჩართულობას.

შეცდომები დაშვებულია და მათი გამოსწორება ყველა მხარის აქტიური, გონიერი თანამშრომლობით არის შესაძლებელი.

აბგა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

შეხვედრა იუნესკოში იუნესკო-საქართველოს ფორმატით. 2017 წლის სექტემბერი

* * *

2001 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით საპატრიარქოსთან დაარსდა საეკლესიო გალობის სასწავლო-კვლევითი ცენტრი, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი.

ცენტრის მუშაობის მიზანია ქართულ საგალობლებზე ზრუნვა და მათი პოპულარიზაცია. ქართველ მგალობლებსა და ფოლკლორისტებს ძალისაებრ შეაქვთ თავიანთი წვლილი ქართული ტრადიციული გალობის ღვთისმსახურების პრაქტიკაში აღსადგენად.

დავით მეფსალმუნე.
აბბა ალავერდელ
მიტროპოლიტ დავითის
ნახატი

ისტორიულად ეკლესია ყველაფერი ეროვნულის დამცველი და შემნახველია. ის აღადგენს და თაობებს მემკვიდრეობით გადასცემს ეროვნულ საუნჯეს. ქართული სამხმიანი გალობა უნიკალურია. ბევრმა არ იცის მისი ღირსება. საკუთარის კარგად ცოდნა კი საფუძველია მომავლისა.

გალობა მხოლოდ მოსასმენად არ არის, იგი ლოცვაა და ამიტომაც დაკვირვებული სწავლა სჭირდება. საჭიროა გალობის რაობის გაგება, კანონიკის ცოდნა, დავიწყებას მიცემული ჯანსაღი ტრადიციის აღორძინება; აღორძინება კი იწყება ჩვენეულის, ძველის გააზრებით, გადამუშავებით და იმ რეალობასთან მისადაგებით, რა რეალობაშიც გვიწევს ყოფნა; ყველაფერი განიცდის განვითარებას და გალობის ისტორიაც ამასვე მოწმობს.

აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

ანტიფონური გალობის ეკლესიის პრაქტიკაში დასაბრუნებლად მეუფე დავითი ალავერდის მონასტერში ღამისთევის მსახურებებზე ხშირად იწვევს მგალობელთა სხვადასხვა გუნდს.

ამ ტრადიციას საფუძველი ჩაეყარა 2002 წლის 1 მარტს, როდესაც ალავერდის ტაძარში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სავედრებელი პარაკლისი გალობით აღესრულა. მსახურებაში მონაწილეობდა მგალობელთა ხუთი გუნდი, რომელთაც საგანგებოდ შეისწავლეს მივიწყებული საგალობლები.

პარაკლისის შემდეგ აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა ქართული საგალობლების შენახვისა და დაცვის საქმეში მღვდელმონაზონ ექვთიმეს (კერესელიძე) ღვაწლზე იქადაგა.

2002 წ. 1 მარტი
ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის პარაკლისი
ალავერდის საკათედრო ტაძარში

ექვთიმე კერესელიძისადმი მიძღვნილი გამოფენა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

ღევანდელი დღე არის დღე სასწაული; სასწაული იმიტომ, რომ დედა ღვთისმშობელმა ინება და აკურთხა აქ ჩვენი ერთად ყოფნა. ნიშანდობლივია, რომ როდესაც ერს უჭირს, ყველაზე მთავარი, რაც მან უნდა გააკეთოს, არის ერთობით ლოცვა ღვთის წინაშე. დღეს ჩვენს ქვეყანას უჭირს. ადამიანების გულები გაგრილებულია, უფალს დაცილებული და ყველა პრობლემა მხოლოდ ამ მიზეზით წარმოიშვება. ღვთისგან განდგომა სასჯელით აღინიშნება. ღვთისკენ მიბრუნება კი – ამ სასჯელის სიმწრის გააზრების შემდეგ, ერმა ერთობლივი ლოცვით უნდა გამოხატოს...

დღევანდელი დღე კიდევ ერთი მოვლენის გამოა მნიშვნელოვანი. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეს პარაკლისი, სავედრებელი გალობა, არ აღვლენილა ასწლეულის განმავლობაში. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. როდესაც ჩვენი ეკლესია უსამართლოდ იდევნებოდა და საპატრიარქო საყდარი გაუქმებული იყო, მაშინ ეკლესია-მონასტრები დაარბიეს, ზოგიც გააუქმეს და არათუ გალობა, წირვა-ლოცვაც კი აკრძალული იყო ჩვენს ქვეყანაში ქართულ ენაზე. მხოლოდ ერისთვის თავდადებული ადამიანების შრომით, ღვაწლითა და ღვთისადმი ვედრებით გვაქვს დღეს საშუალება, ვილოცოთ და ვიგალობოთ ისე, როგორც ჩვენი დიდი წინაპრები ლოცულობდნენ და გალობდნენ.

ჩვენ მრავალი მამულიშვილის სახელი ვიცით, გვახსოვს და მათი საქმეებითაც ვამაყობთ, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა სახელები, ღვაწლი და საქმე მხოლოდ ახლაღა გამოჩნდა. მონასტრებში იყვნენ ბერმონაზვნები, რომლებიც ჩუმად, უპრეტენზიოდ ემსახურებოდნენ ღმერთსა და ერს. ეს სავედრებელი პარაკლისი, რომელიც დღეს უნდა აღვავლინოთ, ერთ-ერთი მათგანის, მღვდელმონაზონ ექვთიმე კერესელიძის ღვაწლით არის დღევანდლამდე მოსული.

საოცარია ამ ადამიანის ცხოვრება; თითქოს მისი ცხოვრებით მოთხრობილი და გადმოცემულია ჩვენი ეკლესიისა და ბერმონაზვნობის იმდროინდელი მდგომარეობა, სულიერი თუ ფიზიკური. უკიდურესად შევიწროებულნი თანამემამულეთაგან, დაცინვისა და უნდობლობის ფასად და საზღაურად ბერმონაზვნები მონასტრებში ახერხებდნენ ეპატრონათ ჩვენი დიდებული წინაპრების დანატოვარი საუნჯისთვის. მღვდელმონაზონმა ექვთიმემ ეს საგალობლები ერთად შეკრიბა, ხელით გადაწერა და თუ ვინმეს ჰქონდა შესაძლებლობა, ენახა ეს ხელნაწერები, დამერწმუნება, რომ ისეთი სიყვარულითა და ისეთი რუდუნებით არის თითოეული ნიშანი გამოყვანილი ფურცელზე, ნაბეჭდი გეგონებათ. ეს რვა ათასამდე საგალობელი ერთი ადამიანის შრომითა და ღვაწლით არის გადარჩენილი.

როდესაც ექვთიმე კერესელიძე იწყებდა ამ დიდ საქმეს, როდესაც იგი იწყებდა ძველი ქართული საგალობლების შეგროვებასა და ხელით გადაწერას, იმდენად დიდი და მძიმე ჩანდა ეს შრომა, რომ მხოლოდ ღვთისადმი სარწმუნოებით შეეძლო გაებედა ამ საქმის დაწყება. იგი ერთ-ერთ მინაწერში ამბობს: „ვიწყე ამ საქმის კეთება ღვთისადმი სარწმუნოებით, გავაგრძელე ღვთისადმი სასოებით, ხოლო დავასრულე ღვთისადმი სიყვარულით...“ და ბოლოს ამბობს, რომ „მუშაკი წარვალს, ხოლო ნამუშაკევი დაშთება“.

დღევანდელ დღესაც შეიძლება მივუსადაგოთ ეს სიტყვები. დღეს შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ეს ჩვენი პირველი მცდელობა – ჩვენი წინაპრების მსგავსად ვიგალობოთ და განვადიდოთ დედა ღვთისა – უნაკლო იქნება; მაგრამ ეს არის სურვილი ერთობით გამოხატული, სურვილი ერთობისა გალობის იმ ფორმით და იმ სახით, როგორც ჩვენი წინაპრები გალობდნენ.

აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

გალობის ცენტრმა არაერთი პროექტი განახორციელა:

მოთხოვნისამებრ, სხვადასხვა ეპარქიაში შეიქმნა მგალობელთა ახალი გუნდები.

პრაქტიკაში დაინერგა ე.წ. ქართული ნევმირებული საგალობლები.

დღესაც მიმდინარეობს ქართული საეკლესიო გალობის სწავლება სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში. გამოიცა პატიმრების მიერ შესრულებული ქართული საგალობლების კრებულის სტუდიური ჩანაწერი.

ახლად შექმნილი მგალობელ ბავშვთა გუნდი მონაწილეობს სხვადასხვა ტაძარში ჩატარებულ არაერთ ღვთისმსახურებაში. ამავე მიზანს ემსახურება ანჩისხატთან შექმნილი სასკოლო ასაკის ბავშვთა სამგალობლო სკოლაც.

დაფუძნდა გალობის ცენტრის პერიოდული გამოცემა, გაზეთი „ქართული გალობა“. გამოიცა სანოტო კრებულის – „ქართული გალობის“ VIII ტომი. გამოსაცემად მზადდება ნაშრომი „ქართული სამგალობლო სისტემა“, ითარგმნა და გამოიცა ეგონ ველესის წიგნი: „ბიზანტიური მუსიკისა და ჰიმნოგრაფიის ისტორია“. სტუდიურად ჩაიწერა და გამოიცა 40 აქამდე ნაკლებად ცნობილი საგალობელი. დასრულდა ღვთისმსახურებაში (მწუხრი, ცისკარი, წირვა და დიდი დღესასწაულები) გამოყენებული საგალობლების ტექსტების უნიფიცირება.

ატესტაციის გასავლელად მზადაა გალობის ცენტრის მიერ დამუშავებული უმაღლესი სასწავლებლის სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) პროგრამები.

„ყოველი სული აქებდით უფალსა...“
აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის ნახატი

2016 წელს იუნესკოს მიერ ქართული სამსახოვანი ანბანის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარების შესახებ მეუფე დავითი წერდა:

> ღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მსოფლიო მემკვიდრეობის კიდევ ერთი ნომინანტის შემნახავი და დამცველია – მხოლოდ ეკლესია და ერის წარმომადგენელთა გარკვეული ნაწილი მოიხმარს უძველეს სამ ცოცხალ დამწერლობას: ასომთავრულს, ნუსხურსა და მხედრულს. სამივე ცოცხალი ანბანის გამოყენებით ტარდება საეკლესიო მსახურება. ახლად აშენებულ ტაძრებს ამშვენებს უძველესი დამწერლობით შესრულებული ახალი ტექსტები. ყოველწლიურად იმართება კონკურსი კალიგრაფიაში. იწერება გამშვენებული ხელნაწერი წიგნები. იგალობება უძველესი ტექსტები და რაც მნიშვნელოვანია, ქართულ ენაში ასო და ბგერა ერთნაირად ითქმის და იწერება. და ეს ყველაფერი, როგორც დედის გულში ინახება, ისე ჩვენი ერის ქვეყნის გულში – დედაეკლესიაში გადარჩება.

ეკლესია, როგორც ყოველთვის, მოწინავეა სიახლეების მიმღებლობაში, მისი კარი ყოველთვის ღია იყო, ყველა სიახლე მან განავითარა, ადგილობრივი, ეროვნული ნიშანი შესძინა და გადასცა ისევ ხალხს. ეს ეხება წიგნის გაფორმების ხელოვნებას, მინიატურის შექმნას, მინანქარს თუ სხვას.

ღვთის განგებულებამ მეუფე დავითი სახარების გადაწერით მიიყვანა მის უწმიდესობასთან, ილია II-სთან. ამ შეხვედრამ მთლიანად შეცვალა მისი ცხოვრება. დღეს სამების საკათედრო ტაძარში დაბრძანებული პერგამენტზე გადაწერილი ოთხთავის მათეს სახარება სრულად და მარკოზის სახარების ნაწილი მეუფე დავითის გადაწერილია.



გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომელი ირაკლი მახარაძე (მეუფე დავითი) სახარებაზე მუშაობისას. დავითგარეჯი, 1987 წ.

„ფოლიანტებს, ხელნაწერ წიგნებს დღეს მონასტრებში აღარ აკეთებენ, და თუ აკეთებენ – მცირედსა და ძვირფასს. სამწიგნობრო ცენტრების ფუნქცია თითქოს განიდევნა მონასტრებიდან“

– გულისტკივილით წერდა მეუფე. მონასტრებისთვის კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციის დაბრუნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმეა.

საგამომცემლო საქმიანობა ალავერდის ეპარქიაში 1997 წლიდან მიმდინარეობს. იბეჭდებოდა პერიოდული გამოცემები: ჟურნალები „მცირე სამწყსო“ და „მოყვასი“, 2007 წლიდან – გაზეთი „გზა და ჭეშმარიტება“; 2013 წლიდან კი გამოდის ჟურნალი „ალავერდი“. ეს ჟურნალი გამოსაცემად მზადდება მეუფის მიერ დაარსებულ ჩაკიდული თხემების წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერში და იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ყველა ნომრის ყდა მეუფე დავითის გაფორმებულია. ამ იდეის განხორციელება გამომცემლობა „სეზანის“ საგამომცემლო ჯგუფის ხელმძღვანელის, ქალბატონ მანანა კარტოზიას დამსახურებაა.



საგამომცემლო და მთარგმნელობით საქმიანობას დიდი ყურადღება ექცევა მეუფე დავითის მხრიდან. ახალი შუამთის მონასტერში ითარგმნება სასულიერო ლიტერატურა, ძირითადად, ბერძნული, ასევე, ინგლისური და რუსული ენებიდან. გამოცემულია არაერთი სასულიერო წიგნი, ასევე საბავშვო ლიტერატურა.

აღსანიშნავია გამომცემლობა „სეზანის“ და მისი მესვეურის, ბატონ ტარიელ შავერდაშვილის განსაკუთრებული წვლილი ამ საქმეში.





ბერი იოსებ ათონელი
მონაზვნური გამოცდილების
გადმოცემა

ანონ ათონელ
მისანიშნებელი
ბერი პაპა-ბიორმი
ამბორნელი

ბავშვისა ეკლესიელი
ეკლესიიდან ეკლესიისკენ

ბერი იოსებ ათონელი
მონაზვნური გამოცდილების
გადმოცემა




ეფრემ ფილოფეველი
მონაზვნობის შესახებ

Kyrie eleison








The Country Georgia


ალავერდის
მონასტერი

ეზოთმოძღვრული
ნაყოფიერი
მეუღლეული


ალავერდის
მონასტრის
მარანი
2006-2016
Alaverdi
Monastery
Marani

ተርሃፀዓኄ

ወሰሙኤል ፡ ዘሰሙ ፡ ገብረ ፡ ሰላም

2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით წარდგა. ოფენბახის შრიფტის მუზეუმში ქართული ანბანისადმი მიძღვნილი გამოფენა ყველაზე მასშტაბური იყო მათ შორის, რაც დღემდე ევროპაში მოწყობილა. ექსპონატებს შორის საპატიო ადგილი ეკავა აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის ხელნაწერს, რომელიც მეუფემ ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალ კულტურას მიუძღვნა.

ართული ანბანი ერისთვის აზროვნებისა და მეტყველების კულტურის აუცილებელი მოსახმარი განძია. ღვთით მოცემული იარაღია. რომელიც მას სჭირდება თვითმყოფადობის გასამყარებლად, შესანარჩუნებლად და დასაცავად. ძველი ანბანები და მათ შორის სამსახოვანი ქართული დამწერლობა, ერთ-ერთია იმათგან, რომელიც დღესაც ცოცხლობს და მოქმედებს აუხსნელის გადმოსაცემად, შეუცნობელის გადმოსაწერად და რადგან ანბანი და ენა, სამეტყველო ხმოვანება ერთ წერტილში იკვეთება, როგორც იწერება, ისე გამოითქმის ხმოვანი ფორმით. ანბანი ქართველებისთვის ვარსკვლავიერი ცაა. კოსმოსია, რომელიც სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ნათების ციური სხეულებითაა მოჭედილი. შეუიარაღებელი თვალისთვის შეუღწევადი, მაგრამ მშვენიერ მნათობთა ციური გუნდია, რომელსაც ხაზის პლასტიკით აცნობიერებ – „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქვეყანა. ხოლო ქვეყანაჲ ესე იყო უხილავ და განუმზადებელ“. და როცა წინაპრებმა, პირველებმა ისწავლეს ხაზისა და წრის გეომეტრიით აღწერა საღმრთო სრულყოფილების ჰარმონიისა, მაშინ საზრისი და საწყისი ჩვენი დასაბამისა გახდა ნათელი და გასახარი. „პირველითგან იყო სიტყუა, და სიტყუა იგი იყო ღმრთისა თანა. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვინიერ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა“. გავიგეთ რა ეს ჰარმონია, ამით ვიზრდებით. ძველს არ ვღალატობთ, ვსწავლობთ, ვცოცხლობთ და ამ ანბანით, ენით ულამაზესი ამბები აღვწერეთ: „და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან“. და კიდევ „შენ ხარ ვენახი ახლად აყავებული...“ და სხვაც მრავალი. როგორც ვაზის რტო – ორნამენტად გაწყობილი, ისე ანბანი – ერისთვის გასამშვენებელი მარგალიტი. „და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა...“ მოელის დღესა მას, ოდეს მის შესახებ გაიგოს ყოველმა ქართველმა ღვთისადმი სათქმელად: დიდება და მადლობა მას, რომელსა ეკუთვნის თაყვანისცემა უკუნითი უკუნისამდე ამინ.

უფლისა სავენახე სამშობლო საქართველოა.

ხელნაწერი დაცულია საქართველოს ხელოვნების სასახლეში – კულტურის ისტორიის მუზეუმში



ქვეყნის განვითარების ხე.
აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის გრაფიკული ჩანახატი

* * *

წმინდანების – ბიძინა ჩოლოყაშვილისა და შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების სახელი ეწოდა 2002 წელს თელავში ალავერდის ეპარქიასთან დაარსებულ საჯარო სკოლას. დაარსების დღიდან სკოლას სათავეში უდგას ქალბატონი თეა მახათელაშვილი.

თავისი მიდგომითა და დამოკიდებულებით საეპარქიო სკოლა თელავში XVIII საუკუნიდან არსებული სულიერი მემკვიდრეა. აქ სხვადასხვა დისციპლინის სწავლების პარალელურად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოზარდის სულიერ განვითარებას. სკოლას ჰყავს მოძღვარი, ისწავლება საღვთო სჯული, საეკლესიო გალობა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეტყველების კულტურას. სკოლის საბავშვო სპექტაკლებმა დიდი აღიარება მოიპოვა, ფოლკლორის გუნდმა კი 2018 წელს ჩაწერა დისკი, რომელიც თუშური ფოლკლორის მარგალიტებს აცოცხლებს. საეპარქიო სკოლა საქართველოს საპატრიარქოს სკოლებს შორის ერთ-ერთი წარმატებული სასწავლებელია.

ჩვენთან მშობლებისა და შვილების თაობებს შორის იმდენად მჭიდრო იყო ურთიერთობა, რომ უფროსები უმცროსებს თავიანთი მაგალითით ზრდიდნენ.

უფროსი და უმცროსი თაობები ერთმანეთს უნდა განამტკიცებდნენ და ავსებდნენ – ერთნი გამოცდილებითა და საჭირო უნარ-ჩვევებით, ხოლო მეორენი – იმედითა და კეთილი სიბერით, რომ მომავალი საიმედო იყოს...

აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

სხვადასხვა დარგის გამოცდილ სპეციალისტებთან თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნისთვის საუკეთესო შედეგის მომტანია. საერთო საქმისთვის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმუმის გაღებაა საჭირო. ხოლო ერთობით შრომა სიხარულის მომნიჭებელია. მწყემსთავრული მსახურება საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებაა. ამ საღვთო მსხვერპლის გაღების მოწმეები ვხდებით ყოველდღიურად, ეს ყველასთვის მაგალითია, ძალაა, რომელიც ამგვარი ცხოვრების ბედნიერებას გვიჩვენებს. მადლობა ღმერთს ამ მაგალითისთვის.

BADAGONI

უდიდესი სიყვარულითა და მოწიწებითაა აღ-სავსე მეუფე დავითის სიტყვა, რომელიც მან 2014 წლის 12(25) დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრე-ბის საიუბილეო დღეს წარმოთქვა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში:

ჩაამქვეყნო ძგერა გულისა არ არის მხოლოდ სამშობლოს დუხჭირი ისტორიის ხილვით გამოწვეული ჭმუნვა-წუხილი. ჭირისუფლობა სამშობლოს ტკივილისა არის დაცემის მიზეზის კვლევა და ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევი გზების ძიება...

ჯერ კიდევ უცხოობაში მყოფს ჩვენი ქვეყნის სიძლიერე, სიმტკიცე, მცხეთა-სვეტიცხოველი გიჩანთ გასაჭირიდან გამოსავლად. რადგან თუ დავივიწყეთ, რანი ვართ და საიდან მოვდივართ, აღარ გვექნება უნარი თვითმყოფადი, თანასწორი თანაარსებობისა. განათლება და ცოდნაზე დამყარებული აზრი ერის, ქვეყნის დახმარებისა, გამოფხიზლებისა, იქცა თქვენი შრომისა და მოღვაწეობის სამოქმედო წესდებად. „ახალი ათინა და ახალი იერუსალიმი“ – გახდა გამარჯვების სიმბოლო-ბაირაღი, კავშირი წარსულ დიდ ისტორიასა და მომავალ ახალ საქართველოსთან. საძირკვლად დადებული ეს ქვა სხვა დანარჩენი ზედნაშენის საწინდარია: სემინარია, აკადემია, საეპარქიო სკოლები, ბავშვთა და მოხუცებულთა სახლები, ბეჭდური საქმე, გამომცემლობა, მშენებლობა, არქიტექტურა, ხატწერა, ქვაზე ჭრა, გალობა, საეკლესიო კედლის მხატვრობა, ქარგვა და სხვა მრავალი, რომელთა მხოლოდ ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს. ძნელბედობისას – ბრძნული სიტყვა, შვიდგზის ლოცვა, თავმდაბლობით დადებული მოთმინების მაგალითი; უცხოეთთან ურთიერთობა, საეკლესიო სივრცე-ოჯახში ძმური, სამართლიანი, მოზომილი სიტყვა და საქმე, და კიდევ სხვა მრავალი...

აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

ახელმწიფო მანქანა ეკლესიის დისკრედიტაციას ეწეოდა, ეკლესიას სიბნელის, ჩამორჩენილობის ადგილად აღიქვამდნენ. მავანნი ახლაც ასე ფიქრობენ და ცდილობენ სიახლეების არმიმღებად და „მოძველებული დოგმატების“ მიმდევრებად წარმოგვაჩინონ... პატრიარქი ინტენსიურად შრომობდა და ცდილობდა დაერღვია „ცილისწამების“ კედელი; არათუ მოეგო, არამედ შეესუსტებინა საინფორმაციო ომი და ნიაღვრად წამოსული განსაცდელები. ის ხვდებოდა სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებს, იმართებოდა საუბრები, მსჯელობები. გაიხსნა სასულიერო აკადემია და სხვადასხვა თაობის მეცნიერები ერის სამსახურში ჩადგნენ...

გავა ბევრი წელი და პატრიარქი კვლავ იტყვის: „ჩვენ ყოველთვის ვაგებთ საინფორმაციო ომს“. ეს სიტყვები ერზე მზრუნველი სულიერი წინამძღოლის გულსაკლავი ღაღადია, უფლისადმი საშველად გაწვდილი მლოცველის ხელია, საბრძოლოდ გამზადებული მეომრის ყიჟინაა: გამოფხიზლდით, გამოიღვიძეთ...

აბგა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი



აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის ეპისკოპოსად ხელდასხმის დღე.
24 მაისი, 1992 წ. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი

პატრიარქთან, მის გვერდით ყოფნამ წარმოშვა ჩვენი მოკრძალებული ფიქრიც: რა შეიძლება იყოს ის, რაც ყველასთვის გასაგებად, სხარტად, მოკლე დროში გამარჯვების სიხარულსა და დამაჯერებლობას მოგვიტანს, საკუთარი თავის რწმენასა და სამშობლო ქვეყნის სიყვარულის ძარღვს შეარხევს, იმედით შეაკრთობს? რას მივდიოთ? რომელ გზას დავადგეთ? სად არის ნაპირი, მშვიდი ნავსაყუდელი? თუ ვიცით, საიდან მოვდივართ, ადვილად მივხვდებით, რა და როგორ გვსურს. და მაშინ ვიწყებთ მცირე, მაგრამ ღვთითმოცემული, დიდად ღირებული გამოცდილების ამბად თხრობას, რათა უკეთ გავიგოთ სიძნელე მომავალი ჩვენი არსებობისა.

აბგა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

ჩვენი საქმიანობა ერთი იდეისაა – ყველგან და ყველაფერში – ქრისტე.
რადგან ჩვენი გამარჯვებისა ბაირაღი ქრისტეა, თანაც ჯვარცმული.
ჩვენი გონიერების ძაღა, გამარჯვების პირობა, სიხარულის შეძახილი – ქრისტეა.
ქრისტეა ჩვენი ანი და ჰოე, ჩვენი დასაწყისი და დასასრული.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი: „დროა, დავიბრუნოთ ჩვენი ისტორია!“

ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წელი შესრულდა.

მისი მემკვიდრეობის ობიექტური შეფასების დროც დადგა!

დიდი ხნის განმავლობაში, საბჭოთა იდეოლოგიის გამოისობით, ერეკლე მეფე გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერასთან იყო გაიგივებული, მისი უდიდესი მიღწევები სამხედრო თუ სახელმწიფო სფეროში, საშინაო და საგარეო პოლიტიკაში კი – მივიწყებული ან დამახინჯებული, მსგავსად დანარჩენი ჩვენი ისტორიისა.

დამოუკიდებელ საქართველოში, ნაცვლად მისი მოღვაწეობის ხელახალი გადააზრებისა, საბჭოთა პროპაგანდისეული კლიშეების ინერციით გაგრძელდა ამავე ხელმოწერის გამო მისი განუზომელი მემკვიდრეობის უგულებელყოფა.

დროა, დავიწყოთ მისი ღვაწლის გახსენება და აღიარება!

იქნება ეს თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობა, სასწაული სამხედრო გამარჯვებები, დიპლომატიური და სტრატეგიული ხედვა, რამაც გადაარჩინა საქართველო სპარსეთისა და ოსმალეთისგან და საბოლოოდ აღადგინა კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა.

დღევანდელი საქართველო და ზოგადად რეგიონის ქვეყნები ვცხოვრობთ გეოპოლიტიკურ მოცემულობაში, რომელიც ერეკლე II-ის პოლიტიკური აზროვნებისა და მოღვაწეობის შედეგია.

მან დაიწყო საქართველოს მოდერნიზაცია და მისი მეფობის ხანაში საქართველომ, მსგავსად ევროპული ქვეყნებისა, გამოიარა ადრეული ინდუსტრიალიზაციის პირველი ეტაპი. სამართლებრივი რეფორმებით, კულტურისა და განათლების განვითარებით, განახორციელა იმდროინდელი ევროპული იდეები.

მრეწველობის სხვადასხვა დარგის განვითარებით, ვაჭრობის ხელშეწყობით, ქალაქების მშენებლობით, სამართლებრივი რეფორმებით დააარსა მან თანამედროვე ეკონომიკის საფუძველი საქართველოში.

გლეხთა გათავისუფლების სამართლებრივი მექანიზმებითა და ტოლერანტული გარემოს განვითარებით მან შექმნა განმანათლებლობის ეპოქის ევროპული ყაიდის სახელმწიფო, რომელიც მეზობელ ქვეყნებში პატივისცემით სარგებლობდა. ერეკლე მეფის რეპუტაციამ, სიმამაცემ, რეფორმატორობამ და თანამედროვეობამ ევროპულ მონარქიებამდე მიაღწია.

დღემდე დაუმსახურებლად პრორუსულად შერაცხული მეფე ერეკლე რეალურად იყო ევროპული ორიენტირის მქონე ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერებისთვის დაუღალავი მებრძოლი, კავკასიის შემკვრელი და გამაძლიერებელი, რეფორმატორი და განმანათლებელი, ერთდროულად მეომარი და დიპლომატი.

დროა, დავინახოთ და დავაფასოთ „პატარა კახის“ დიდი ნამოღვაწარი.

ბატონიშვილი ერეკლე...
მეფე ერეკლე II-ის სასამართლოში

სამი დღე ზეიმობდა ქიზიყი ნეიშნის გამარჯვებას. სამი დღე რეკავდა სოფელ ბოდბისხევის შვიდივე ეკლესიის ზარებიც. ხუმრობა ხომ არ იყო, თხუთმეტი წლის ჭაბუკმა ერეკლე ბატონიშვილმა ნეიშნის ველზე საარაკოდ დაამარცხა დაღესტნელი მოთარეშეები. ამ ამბებიდან ერთი მსგეფსი იყო გასული. ბოდბისხევის წმინდა მარიამის ეკლესიის „დაცული ტყის“ პირას სოფლელები ერთმანეთს ჭიდაობაში ეჯიბრებოდნენ. წინა დღეს მოწვევა მიართვეს მაღაროში დაბანაკებულ ერეკლე ბატონიშვილს. უარი შემოეთვალა უფლისწულს: „შეუძლოდ ვარო“! სამაგიეროდ ვერცხლით შეჭედილი ხორასნული ხანჯალი გამოეგზავნა ჭიდაობაში გამარჯვებული ფალავნის ჯილდოდ. ხანჯალი განაპირა მუხის ხეზე ეკიდა, ჩამავალი მზის სხივებით განათებული. მწუხრი იწყებოდა უკვე. იცრიცებოდა დღის ნათელი. დოლი და ზურნაც ჩამცხრალიყო. ახალგაზრდა ფალავანს გიორგი დულაისძეს ხუთი მეტოქე წამოექცია, ამაყად იდგა წრეში და ახალ მეტოქეს ელოდა. აღარავინ ჩანდა მასთან შემბმელი. მსაჯებმა ერთხმად გადაწყვიტეს, ერეკლესეული ხანჯალი გამარჯვებულისთვის გადაეცათ. „აბა, დაუკარით“ – გაისმა უეცრად. კვლავ აბრახუნდა დოლი, აჭყვიტინდა ზურნაც. წრეში მოსხლეტილი ტანის პირშებურვილი ჭაბუკი შემოიჭრა. მოწესეებმა კამეჩის ტყავის ქამრები დაატრიალეს და წრე გააფართოეს. კუნთმაგარი ჩანდა უცნობი ჭაბუკი. საველე ჩოხა ეცვა, თუშური ქუდი ეხურა, თუშური პაჭიჭები უჩანდა, საჭიდაო ქალამნების თასმებით ამოსალტული. პირშებურულს საოცრად ძლიერი თვალები ჰქონდა. მომნუსხველი მზერით მისჩერებოდა გიორგი დულაისძეს. „არა“, – თქვა მოულოდნელად გიორგიმ, – „არა ვარ თანახმა. არ დავეჭიდები მაგას. არც ქუდი მოუხდია, სახეც დაფარული აქვს. რა ვიცი, ვინ ოხერია. თანაც ჩემი წონა არ არის, ტანმორჩილია“ – თქვა და წრიდან გავიდა. „მშიშარა ხარ“ – კუშტად თქვა უცნობმა. მერე მაყურებლებს მიუბრუნდა: „ლაჩარი ყოფილა თქვენი ფალავანი“. „ლაჩარიო“ – ეს საშინელი შეურაცხყოფა იყო იმ შორეულ ეპოქაში. ეს სიტყვა მახვილზე უფრო ბასრად ჭრიდა. სილაჩრე სიკვდილზე დიდ საშინელებად მიაჩნდათ. მაყურებლებმა ძალად შემოაგდეს წრეში სოფლის ფალავანი, „ან იჭიდავებ, ან საჯაროდ ჩამოგკიდებთ მუხის ტოტზე ბატონიშვილ ერეკლესხანჯლის მაგიერ“ – მუქარით უთხრა გიორგი დულაისძეს მამასახლისმა. წამიც და მეტოქეები ერთმანეთს ეძგერნენ. სხარტი ჩანდა უცნობი, ავაზასავით მო-

ქნილი და მოძრავი. გიორგი მიხვდა, რომ სისწრაფით ვერ აჯობებდა. გაჩერდა შუა წრეში, – „შენა ბიჭო, მგონი, მეცნობი“ – უთხრა ეშმაკური ღიმილით უცნობს. მერე ხელი გაუქანა სახისკენ. საბურველის ჩამოხსნა უნდოდა. უცნობმა სახე აიქნია და უკან გადაიზნიქა. ისარგებლა ამით გიორგიმ, წელში შეუვარდა, ფოლადის სალტესავით შემოაჭდო ვეება მკლავები უცნობს და მუხრუჭით გულაღმა დასცა. „უჯეროა“ – დაიყვირა ხალხმა. მაგრამ გიორგი არავის უსმენდა. წაქცეულს ააგლიჯა საბურავი. ყველას გაკვირვების შეძახილი აღმოხდა: „ერეკლე ბატონიშვილი ყოფილა, ერეკლე ბატონიშვილი“.

ეკლესიის გადასახვევიდან ოციოდე მხედარი გამოიჭრა, პრიალა ჩაჩქანები ეხურათ, ჯაჭვის პერანგები ეცვათ. მათ გადათელეს საჭიდაო წრე და წაქცეულთან მიიჭრნენ. ჭარმაგი მხედარი სწრაფად დაქვეითდა და ხელები გაშალა: „ბატონიშვილო, ამას რას ვხედავ, რას იტყვის მეფე“. ერეკლე ფიცხლად წამოიჭრა, მხედარს მახვილი გამოართვა და განზე გამხტარი გიორგი დუღაისძისკენ გაექანა. „არა ჩემი წაქცევისთვის, არამედ მოტყუებისთვის უნდა დავსაჯო“. იმ რაინდულ ეპოქაში ჭიდაობაში მოტყუებით მიქარვა და მეტადრე წელში შევარდნით მუხრუჭი წესების დარღვევა იყო. დააშოშმინეს აღელვებული ბატონიშვილი, შესვეს საკუთარ ბედაურზე, რომელსაც „ნიავა“ ერქვა. ბატონიშვილი ცხენდაცხენ მიუახლოვდა განაპირა მუხას, ჩამოხსნა ხორასნული ხანჯალი, მამასახლისს გადაუგდო და უთხრა: „ეს ჯილდო გადაეცი სოფლის ფალავანს, მაგრამ იცოდეს, სადმე არ შემომეყაროს, თორემ უსათუოდ წავაცლი თავს“.

გამოხდა ხანი. ორი წლის მერე ბატონიშვილი ერეკლე მამამისმა, თეიმურაზ II-მ გამოიძახა ირანში. იქიდან ნადირ-შაჰმა ავღანეთის გზით ინდოეთში წაიყვანა. მშვიდობით დაბრუნებული ბატონიშვილი დაუცხრომლად ებრძოდა მტრებს. არასოდეს ავიწყდებოდა ბოდბისხევში განცდილი მარცხი. ხუმრობდა ხოლმე: „წმინდა მარიამის ეკლესიის ჯვარი რომ გამახსენდება, ბეჭები ტეხვას და წელი ტკივილს დამიწყებს ხოლმე“. უყვარდა ბატონიშვილს ქიზიყელები. ოღონდ წყენა მაინც ვერ გაინელა. ჟამითი-ჟამად შემოთვლიდა: „ბოდბისხეველებო, ფოლადის მახვილები ხართ ყველანი. ჩამოდით ჩემთან, ჩემი სასახლის კარები ღიაა თქვენთვის. ოღონდ ის ერთი მატყუარა თვალით არ დამანახოთ“. არ მოსწონდა არავის ბატონიშვილის ეს ახირება, მაგრამ ვერავინ უბედავდა შეპასუხებას. ჯერ ერთი, უფლისწული იყო და მეორეც, ღმერთივით უყვარდათ ბატონიშვილი ერეკლე ქიზიყელებს.

გადაიკარგა სოფლიდან გიორგი დუღაისძე იმ საბედისწერო ჭიდაობის შემდეგ. ჩამოიკიდა ერეკლესეული ხორასნული ხანჯალი, მამისეული ხმალი აიღო და გაქრა. მასთან ერთად გადაიხვეწა სამი მისი ერთგული მეგობარი. სულ მალე მთელ კახეთს მოედო უცნაური „მფრინავი რაზმის“ ამბავი. ქართველ მხედართა მომცრო გუნდი თავზარს სცემდა ჭარ-ბელაქანს, ალაზნის გაღმა ნაპირებს. გუნდს მეთაურობდა ვინმე გორგა ბოხორელი. კიდევ რამდენიმე ვაჟკაცს ასახელებდნენ: შეუპოვარ გივი ბოდბელს, „სატანად“ წოდებულ თედო ფანიანელს და ბუღა მირზაანელს. დაქროდა ეს ოთხეული კახეთის მთაველებზე. სისხლს უშრობდა დაღესტნელ აბრაგებს. ქიზიყში ამბობდნენ, რომ გორგა ბოხორელი იგივე გიორგი დუღაისძეაო. ცხრა წელიწადი იარეს უჩინმაჩინის ქუდით გორგა ბოხორელის რაზმელებმა. იბარებდა ბატონიშვილი ერეკლე მათ სასახლეში, მაგრამ ამაოდ, არ ცხადდებოდნენ საჯაროდ არსად.

გავიდა კიდევ ხანი და ნადირ-შაჰმა თეიმურაზ II ქართლის მეფედ დაამტ-

კიცა, ერეკლე II კი კახეთის მეფედ გამოცხადდა. ჩამოვიდა საყვარელ ქიზიყში ერეკლე II. შემოიარა სოფლები. ყველა მთხოვნელ-მახვეწარი საერთო მიღებაზე ბოდბის მონასტერში დაიბარა. ორშაბათ დილას დიდი ჭადრების ქვეშ დაუდგეს ფანჩატური ახალგაზრდა მეფეს. მთხოვნელები სათითაოდ შემოჰყავდათ კარისკაცებს მეფესთან. უკვე იცრიცებოდა დღის სინათლე, წვებოდა მწუხრი, როდესაც ეზოში შავჩოხიანთა ოთხეული გამოჩნდა, „გორგა ბოხორელი მოვიდა, მეფეო“ – მოახსენეს ერეკლე II-ს. „შემოიყვანეთ“ – ბრძანა მეფემ. და აი, აქ მოხდა საოცრება. როგორც კი გორგა ბოხორელმა მუზარადი მოიხადა, განრისხებული ერეკლე II ფეხზე წამოხტა. მან თავისი ძველთაძველი მტერი გიორგი დულაისძე ამოიცნო. „როგორ, შენ ბედავ ჩემთან მოსვლას?!“ „თქვენთან არა, ბატონიშვილო, – მიუგო გორგა-გიორგიმ. – მე ჩემს ბატონთან, კახეთის მეფე ერეკლე II-სთან მოვედი.

მეფეო! – მუხლი მოიყარა რაინდმა – საჩივარი მაქვს თქვენთან. თუ თქვენ არა, ვის უნდა შევჩივლო. თქვენ ხართ ამ ქვეყნის მეფე, თქვენ უნდა მიქომაგოთ და მიპატრონოთ. თუ ქვეშევრდომს არ დაიცავ, აბა რისი მეფე ხარ“. ერეკლე II დაჯდა. „უსამართლობაში რომ არ ჩამომართვა, – თქვა მან, – მოწმეებთან ერთად მოგისმენ“.

დაუძახა ერეკლე II-მ კახეთის სახლთუხუცესს რევაზ ჩოლოყაშვილს, ქიზიყის მოურავს პაპუა ანდრონიკაშვილს, მსაჯულთუხუცესს, მდივანბეგ გიორგი ჯანდიერს, ბოდბის ეპისკოპოსს ონოფრეს. „ბატონებო! – თქვა მან, – მომჩივანი შარიანი კაცია, ყველამ ერთად მოვუსმინოთ და განვსაჯოთ მისი სარჩელი“. წამოდგა ფეხზე გორგა-გიორგი. მაშინდელ სასამართლოში თხოვნას მთხოვნელი დაჩოქილი ამბობდა, მაგრამ საჩივარი მომჩივანს ფეხზე მდგომელს უნდა ეთქვა. „მეფეო, – დაიწყო გორგა-გიორგიმ, – მეათე წელია ერთმა კაცმა სიცოცხლე გამიმწარა, სოფელში აღარ მაყენებს. მამაპაპეულ სახლში ვეღარ დავმდგარვარ. საკუთარი სახელი და გვარი ვერ მითქვამს ხმამაღლა. მე რომ მერჩის, ეგ მაგის საქმეა, მაგრამ შენს ქვეშევრდომთან რა ხელი აქვს. შენი ქვეშევრდომის დევნა განა შენი შეურაცხყოფა არ არის?“ ერეკლე II დუმდა. უხმოდ მისჩერებოდა მომჩივანს. მერე ონოფრე ბოდბელმა ამოიღო ხმა: „შვილო ჩემო, თუ ათი წელი სიკვდილით გემუქრებიან, რად არ მოხვედი ჩემთან და ან ქიზიყის მოურავთან. ახლა ხომ იფიქრებს აუგს ჩვენზეც მეფე. განა არ იტყვის, რომ ჩვენ ვერ ვუვლით მის ქვეშევრდომებს?“ „ეჰ, მეუფეო, – თავი დახარა გორგა-გიორგიმ, – იმ კაცს ვერც თქვენ აჯობებთ და ვერც ქიზიყის მოურავი“. მერე ამაყად ასწია თავი და მტკიცედ თქვა: „კახეთის მეფე ერეკლე II-სთან მე ვუჩივი ბატონიშვილ ერეკლეს! დაე, ბატონიშვილმა ერეკლემ ჩემს მეფე ერეკლესთან აგოს პასუხი“.

ყველა გაოგნდა. დუმილის შემდეგ წამოდგა ერეკლე II და თქვა ხმამაღლა საზეიმოდ: „მე, მეფე ერეკლე II, გაძლევ თავისუფლებას, ხოლო ბატონიშვილ ერეკლეს, ვითარცა უსამართლოდ შენს მდევნელს, ვაჯარიმებ დამასკური მახვილით“. მოიხსნა მეფემ თავისი დამასკური მახვილი და გორგას გადასცა. გორგა ბოხორელმა ანუ გიორგი დულაისძემ დაიჩოქა და ისე ჩამოართვა ხმალი მეფეს.

ასე მოუგო სასამართლო ბატონიშვილ ერეკლეს ქიზიყელმა გლეხის ბიჭმა მეფე ერეკლესთან.

ისტორიკოსი
ლოვარდ ტუხაშვილი

იბეჭდება
ინტერნეტსაიტიდან
www.georoyal.ge

„წმიდათა თანა განუსვენე...“

ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს...



დიდ საიდუმლოთა მკვლევარი იყო ბატონი რამაზ პატარიძე, რომლის შესახებ გამოსათხოვარი წერილის წერაც, უპირველეს ყოვლისა, მერიდება, რადგან საუბარია პიროვნებაზე, ვისი გონისა და სულიერი სიმაღლის ხედვა რთულია იმ საკრალურ ცოდნის გარეშე, რომელსაც ფლობდა და, რომელსაც მრწამსითა და ცხოვრებით გაუშინაურდა ქართული ანბანის „მცველი“, ქართველი მეცნიერი და დამწერლობათმცოდნე.

შემიძლია ვთქვა, რომ ბედნიერი ვარ, რადგან თავად მასთან „გაშინაურებული“ ბავშვობა გამოვიარე. რამაზ პატარიძე ჩვენი ოჯახის ძალიან ხშირი სტუმარი იყო, ჩემი მშობლების მეგობარი და თანამოაზრე. მეხსიერებაში ათასჯერ იღება ბავშვობის სახლის კარი, რომლის ღიობშიც დგას მაღალი, წვრილი, ახალი აღმოჩენის სიხარულით თვალებანთებული, ხასიათის სიმტკიცით გამორჩეული, საკუთარი გზის სისწორეში ეჭვშეუვალი მხნე მებრძოლი. „ლამაზი ძია მოვიდა?!“ ვხარობდი და ჩემს ხმას მისი ხმა და სიცილი ერეოდა: „მე ვარ ლამაზი?“... არადა, ძალიან ლამაზი იყო! განდეგილი ბერივით დაწმენდილი სახითა და შავი გრუზა თმით.

რამაზ პატარიძის ნათქვამ თითოეულ სიტყვას სიმართლის ბეჭედი ესვა. ჰქონდა დარწმუნების საოცარი ძალა! როგორ შეიძლებოდა ამ გამხდარ, მაღალ კაცს ასეთი ძალა და სიმტკიცე ჰქონოდა? ვერა გრიგალი ვერ წააქცევდა თითქოს, ვერც ერთი ქარი ვერ ჩააქრობდა მისი სულის სანთელს. ალბათ, ვისაც მოუსმენია, არასოდეს დაავიწყდება რამაზ პატარიძის საოცრად მტკიცე, დამაჯერებელი, სიმართლით გაჟღენთილი ხმა და საუბარი. ასე დამანახა და შემაყვარა ჩემი სახელი – „ანი – ანბანის პირველი ასო! რიცხვით – ერთი! ერთი – ღმერთი!“ ახლაც ჭექს თითქოს მისი ხმა...

რამაზ პატარიძე გულით დიდი ტკივილის მატარებელი კაცი იყო. მან უფალს მიაბარა მეუღლე და ახალგაზრდა, მშვენიერი ქალიშვილი ლელა, რომელსაც თავის დიდ საქმეში მემკვიდრედ მიიჩნევდა, მაგრამ ტრაგედიის მიუხედავად, დარჩა სულიერი სიმხნევისა და კეთილშობილების მაგალითად, საქმეს შეწირულ კაცად, ქართული ანბანის ქურუმად. რამაზ პატარიძესთან ურთიერთობა თითქოს მისტერიას ჰგავდა, რადგან უეცრად, სინათლის სისწრაფით გაგაქანებდა მსოფლიოს ანბანთა და დამწერლობათა ლაბირინთებში, სადაც მისი დახმარებით მონაწილეობას იღებდი დასაბამისა და პირველსაწყისიდან დღემდე, ურთიერთგადახლართული კვანძებისა და ისტორიის მტვრით დაფარულ საიდუმლოთა გახსნაში. „თუ გინდა იცნობდე შენს საკუთარ დამწერლობას, უნდა შეისწავლო ყველა სხვა არსებული“. ამ უზარმაზარი ცოდნით შეიარაღებული რამაზ პატარიძე ცხოვრობდა ამქვეყნად, მაგრამ სხვა განზომილებაში. თითქოს ვერ სწვდებოდა ამა ქვეყნის ამაოება და ალიაქოთი, თვით სიცივე და გაჭირვება. მაგრამ ის წუხდა... თავისი სულიერი მისწრაფების საგნის – მშობლიური ქართული ენის გამო, წუხდა, რომ ძველი ანბანიდან კაცთა სიბრიყვემ შემოუძარცვა ძვირფასი ასო-ნიშნები. ცოდნა და ყველა საიდუმლო, რაც გამოიძია მკვლევრის მრავალწლიანი ერთგული, დაჟინებული საქმიანობით, აღწერა და მეცნიერულად დაამტკიცა. ქართული ენის უძველესი წარმომავლობის საკითხები, ქართული ენის, ანბანისა და ასო-ნიშანთა საკრალური მნიშვნელობანი. მისი მრწამსი ეს იყო, რადგან „დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა“ და რადგან „საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს...“ და რადგან, მცოდნე და მესაიდუმლე მისი იყო რამაზ პატარიძე.

ანი ბრეგვაძე

მოგონება

2020 წლის 2 ნოემბერს, ღირსი გაბრიელ აღმსარებლისა და სალოსის ხსენების დღეს, გარდაიცვალა ჩვენი ახლო მეგობარი და სულიერი და მაია (მარიამ) ჯავახიშვილი. ზოგიერთი ჩვენგანი მასთან ბავშვობიდან მეგობრობდა, ზოგიერთს კი გარეჯი გვაკავშირებდა – მოძღვარი და ჩვენი სულიერი დაბადების წლები.

ადამიანის მარადისობაში გაცილება განშორების ტკივილთანაა დაკავშირებული. ჩვენთვის მაია სათნო, საყვარელი მეგობარი იყო, ოჯახისთვის – ბურჯი, კოლეგებისთვის – მისაბაძი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უყვარდა და ახლოს იყო თავის სტუდენტებთან, თურმე ყველას თქვენობით მიმართავდა. მას შეეძლო ამ ახალგაზრდების პატივისცემა და მათში (ხშირად, დაწუნებულებში) სიკეთის დანახვა. ჩვენ კი გვეუბნებოდა, გახარებული ვარ, ისეთი კარგი თაობა მოდისო! ასეთი იმედიანი იყო! ოჯახისთვის ბოლომდე ცდილობდა თავის იძულებას, ედარდებოდა დედა, მეუღლე და შვილი, თუმცა სიმწარენარევი ღიმილით ამბობდა, ვერტიკალურად დგომა მიჭირსო! თურმე, ამ სოფლის დასატოვებლად ემზადებოდა. აღსარება თქვა, ეზიარა... ტკივილების დათმენა მისთვის უცხო არ იყო. გვწერდა – „ვიბრძვი“ – და ჩვენც გვეგონა, ისევ გადალახავდა, რადგან ვერ წარმოგვედგინა განშორება. ის კი ემზადებოდა: „მთელი ღამე ლოცვებს ვამბობდი... დავიღალე, მოდი ჩემთან, უფალო... ამ ტკივილების შედეგად როგორ იწმინდები და გონზე მოდიხარ... სულ სხვანაირად აღიქვამ ცხოვრებას და ჭეშმარიტებას...“ ასე დაგვემშვიდობა. მშვიდად მიიძინა!

დაკრძალვიდან მონასტერში ვბრუნდებოდით ჩვენს მოძღვართან, მეუფე დავითთან ერთად. მცხეთის გადასახვევს რომ მივუახლოვდით, მოულოდნელად მეუფემ გვითხრა, მცხეთაში წავიდეთო; გვეგონა, სვეტიცხოველში უნდოდა მისვლა უფლის კვართის მოსალოცად. მცხეთას ვუახლოვდებოდით, როცა თქვა – „სამთავროში წავიდეთ, მამა გაბრიელთან“. მაიათი ვიყავით მოცულები და სამთავროს სიწმინდეების მოლოცვისა და მამა გაბრიელთან მეტანიით მიმთხვევის შემდეგ დედებს ვუთხარი, რომ მეგობარი გარდაგვეცვალა; ვთხოვე, მოეხსენებინათ ლოცვებში და დავიწყე მოსახსენებლის წერა. დედა თეკლა მომიახლოვდა და მითხრა: იცი, მაია მეუბნებოდა, როგორც კი შევძლებ, სამთავროში მინდა წავიდე მამა გაბრიელთანო... მე და დედა თეკლა უკვე სიხარულიანი ცრემლით ვუყურებდით ერთმანეთს! მოძღვრის კურთხევით, მამა გაბრიელმა მაიას სურვილი აუსრულა! გვწამს, მისი ხსენების დღესაც, სულის ხორცთან გაყრის მძიმე წუთებშიც დაეხმარა მაიას და უფალთანაც უშუამდგომლა!

მიწიერი ცხოვრების დასასრული – მარადიულის დასაწყისია! იმედით ვითხოვთ უფლისგან მაია-მარიამის მარადიული სულის წმინდანთა თანა დამკვიდრებას, „სადა არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი“.

იღუმენია იოანა

ქრისტესმიერ დებთან ერთად

პროტოპრესვიტერი
სტეფანე ანაგნოსტოპულო

საღვთო ლიტურგიის დროს მიღებული გამოცდილება

კათაკმეველთა ლიტურგია



მამა სტეფანე ანაგნოსტოპულო ათენში მოღვაწეობს. 1992-1995 წლებში მორწმუნეთა თხოვნით ქადაგებებში განმარტავდა საღვთო ლიტურგიას არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით. ეს ქადაგებები მრევლის წევრებმა ჩაიწერეს, შემდეგ მამა სტეფანემ ტექსტი შეავსო გერონტიკონისა და წმინდანთა ცხოვრებებიდან. წიგნი უდიდესი სულიერი სარგებლის მომტანი იქნება, რადგან უზენაესის ძველი და ახალი დროის ღირსეულ მსახურთა გამოცდილებას ემყარება.

გაგრძელება
იხ.: №№1-4, 2013 წ.; 5-8, 2014 წ.; 9-12, 2015 წ., 13-16, 2016 წ., 17-18, 19-2017 წ.; 20, 21-22, 2018 წ.; 23-25, 2019 წ.

სულების შუალედური მდგომარეობა და პირადი სამსჯავრო

♦ **რა ემართება სულს გარდაცვალების წუთიდან მიცვალებულთა აღდგომამადე?**

♦ **სად იმყოფება ის?**

♦ **რას ხვდება სული ხორცთაგან განსვლისას? რას გადის?**

♦ **შეიძლება ადამიანის სულმა გარდაცვალების შემდეგ დახმარება მიიღოს?**

სიკვდილის შემდეგ სული სხვა მდგომარეობაში, სხვა რეალობაში გადადის, რომელიც მთლიანად სულიერი ხასიათისაა. ის იმყოფება ე.წ. შუალედურ მდგომარეობაში. სწორედ ამ მდგომარეობაში მყოფი მიცვალებულთა სულებისთვის აღესრულება ეკლესიის ლოცვა-ვედრება, კონკრეტულად კი ითქმება მრჩობლი კვერექსის მუხლი: **„პირველდაძინებულთა მამათა და ძმათა ჩუენთათვის...“**

სიკვდილი ყველასთვის მარადიული, საყოველთაო მოვლენაა: „წინაუც კაცთა ერთ გზის სიკუდილი და მისა შემდგომად სასჯელი“[1]. საღვთო წერილი გვეუბნება, რომ სიკვდილს მოჰყვება ადამიანის პირად სამსჯავროდ წოდე-

[1] ებრ. 9, 27.

ბული პირველი სამსჯავრო და მისი საქმეების ერთგვარი ნაცვალგება ნეტარების ან ტანჯვის წინასწარი განცდის სახით. განვმარტავთ: სულები, რომელთაც ჭეშმარიტება შეიცნეს და რწმენითა და სინანულით, ანუ სამგვამოვანი ღმერთის, იესო ქრისტეს ღმერთკაცობის, მართლმადიდებელი სარწმუნოების სახარებისეული მოძღვრების, ეკლესიის შვიდი საიდუმლოსა და მართლმადიდებელი წმინდა გადმოცემისადმი რწმენით იცხოვრეს, წინასწარ ტკბებიან მარადიული სიკეთეებით და წინასწარ განიცდიან სამოთხის ღვთაებრივ ნეტარებას. ისინი ნაწილობრივ განიცდიან ცათა სასუფევლის სიხარულს, როგორც ეს ჩვენ მიერ ნახსენები სერბულოსის შემთხვევაში ხდებოდა.

ის სულები კი, რომლებმაც სამგვამოვანი ღმერთის წმინდა ნების თანახმად არ იცხოვრეს, მეტიც, იესო ქრისტეს ღმერთკაცობა და ეკლესიის საქმე უარყვეს, სიცოცხლის ბოლომდე ულმობელნი და უღმერთონი დარჩნენ, აუტანელ გასაჭირსა და მწუხარებას, გაუსაძლის ტკივილსა და სიმძიმეს, უსაზღვრო საუკუნო სულიერ ტანჯვას განიცდიან. ისინიც უთუოდ წინასწარ შეიგრძნობენ ღვთის მკაცრ, სამართლიან სასჯელს ანუ მარადიულ ჯოჯოხეთს.

როგორც ძალმომრეობისა და შემზარავ ბოროტმოქმედებათა გამო სამართალში მიცემული დამნაშავე დღედაღამ მღელვარებით ელის სასამართლოს განაჩენს, ისე ცოდვილი და ულმობელი სულები ხორციელი სიკვდილის შემდეგ ამ შუალედურ მდგომარეობაში ძრწიან, შფოთავენ, ნამდვილ ტანჯვასა და ტკივილს განიცდიან, ეშინიათ (რა თქმა უნდა, სულიერად, რეალურად და არა წარმოდგენით!). მაინც რატომ იტანჯებიან? რადგან ახლოვდება საყოველთაო სამსჯავროს დღე, რომელიც ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს დადგება. ეს კი მათ იციან.

ამ მოლოდინს, მდგომარეობას, რომელიც ხორციელი სიკვდილიდან უფლის მეორედ მოსვლამდე გრძელდება, „სულების შუალედური მდგომარეობა“ ეწოდება და ის ჩვენი ეკლესიის **დოგმას** წარმოადგენს.

პაპისტები დიდ ხიბლში, მწვალებლურ ცდომილებასა და ყოველგვარ მანკიერებაში არიან. ისინი „სალხინებელზე“, ინდულგენციასა და საქმეთა სასყიდელზე საუბრობენ, რაც ჩვენმა ეკლესიამ საეკლესიო კრებებზე უარყო.

ლუკას სახარებაში მოთხრობილი მდიდრისა და ლაზარეს იგავიდან, საღვთო წერილის მონათხრობებსა და ეკლესიის მამების სიტყვებიდან ვიგებთ და ვრწმუნდებით შემდეგში, რაც ეკლესიის **დოგმაა:**

პირველი: შეუძლებელია შუალედურ მდგომარეობაში სამოთხესა და ჯოჯოხეთში მყოფ სულებს ერთმანეთთან რაიმე ურთიერთობა ჰქონდეთ. მათ შორის დიდი უფსკრულია, რომელზეც ხიდის გადება შეუძლებელია.

მეორე: შუალედურ მდგომარეობაში სულებს აქვთ საკუთარი თავისა და პიროვნების შეგრძნება და შეგნება, **თუ ვინ არიან** (მე მეცოდინება, რომ მამა სტეფანე ვარ).

მესამე: სულებს ახსოვთ თავიანთი წინანდელი ცხოვრება, ამიტომ ან იტანჯებიან, ან მხიარულობენ. მოუნანიებლები ღვთისადმი სიძულვილით განეწყობიან, რადგან პასუხისმგებლობას თავისი მდგომარეობის გამო მას აკისრებენ. ეს სიძულვილი ეშმაკის ღვთისადმი სიძულვილთან იგივდება. ღვთის სიყვარული წარწყმედულთათვის ნამ-

დვილი ჯოჯოხეთია. მონანული, მართალი და წმინდა სულები კი ღმერთს ადიდებენ და მადლობენ. ისინი სამოთხეში ყოფნის გამო უზომო მადლიერების გრძნობით აღივსებიან.

მეოთხე: სულებს დედამიწაზე მყოფი ახლობელი ადამიანები ახსენდებათ – მშობლები, და-ძმა, ნათესავები, მეგობრები...

და **მეხუთე:** ამ მდგომარეობაში სინანული შეუძლებელია. ანუ იქ სულებს მონანიება არ შეუძლიათ! იტანჯებიან, ეწამებიან, მცირედ შვებას ითხოვენ, მაგრამ მონანიება არ ძალუძთ! „ჯოჯოხეთში სინანული არ არსებობს“ – ხალხის მიერ ასე დაბეჯითებით გადაკეთდა მეექვსე ფსალმუნი, სადაც მეფსალმუნე კითხულობს: „ჯოჯოხეთს შინა ვინ აღგიაროს შენ?“[1]

[1] ფსალმ. 6, 6.

მიუხედავად იმისა, რომ სულებს ერთმანეთთან ურთიერთობა და ურთიერთდახმარება არ შეუძლიათ, ღვთის უზომო მოწყალება ქრისტეს მეორედ მოსვლამდე **მათ ორგვარად შეეწევა:**

[2] იაკ. 5, 16.

♦ **პირველი:** ანგელოზთა და წმინდანთა ზეციური ეკლესია შეიწირავს ცოცხალთა და მიცვალებულთათვის აღვლენილ ჩვენს ვედრებას, ჩვენთვის მეოხი მას ღმერთს მიართმევს. რაიმეს ვთხოვთ წმინდა ნექტარიუსს, ის „გულში იკრავს“ ჩვენს თხოვნას, ლოცვა-ვედრებას და, როგორც შუამდგომელი, მას ღმერთს გადასცემს.

♦ **მეორე:** ჩვენ, ვინც დედამიწაზე მყოფ მებრძოლ ეკლესიას შევადგენთ და პირველგარდაცვალებულ ძმებთან ერთად ქრისტეს ერთ სხეულში ვერთიანდებით, მიცვალებულთათვის განსაკუთრებით ვევედრებით უფალს და აღვასრულებთ:

♦ საღვთო ლიტურგიას...

♦ მცირე და დიდ პანაშვიდებს,

♦ სკვნილზე ლოცვას, მეტანიებს,

♦ მოწყალებას.

თანაც: „ფრიად შემძლებელ არს ლოცვაჲ მართლისაჲ შეწევნად“[2].

როგორც ვხედავთ, ეკლესიამ, როგორც მოსიყვარულე დედამ, შუალედურ მდგომარეობაში მყოფ სულებთან ურთიერთობის, მათთვის შვებისა და განსვენების მიმნიჭებელ საშუალებებზე იზრუნა. ასეთია საღვთო ლიტურგია, რომლის დასასრულსაც მიცვალებულთა სახელები „განტეხილი პურის“ ნამცეცებთან ანუ ნაწილებთან ერთად ბარძიმში, უფლის ყოვლადწმიდა სისხლსა და ხორცში თავსდება. ამ დროს მღვდელი ამბობს ლოცვას: **„მიუტევენ, უფალო, ცოდვანი აქა მოხსენებულთანი, პატიოსნითა სისხლითა შენითა, მეოხებითა წმიდათა შენთათა. ამინ“.** მაშასადამე, გრძელდება უფლის ყოვლადწმიდა სისხლისა და ხორცის მიცვალებულთათვის შეწირვა. **რომელ მიცვალებულთათვის? რომელ გარდაცვალებულთათვის შეიწირება უფლის სისხლი?**

პირველი: ყველასთვის, ვინც მართლმადიდებელ სარწმუნოებაში აღესრულა, ოღონდ სინანულითა და სიწმინდით.

მეორე: მათთვის, ვინც, ალბათ, ბოლო წამს მოინანია. უკანასკნელი ამოსუნთქვის წინ, შესაძლოა, სინანულით ამოიოხრა, ფრიად დასაშვებია, რომ შინაგანად ღაღადყო: „შეგცოდე, ღმერთო ჩემო, შემინდე!“ „უფალო, შეგვიწყალენ!“ „დედა ღვთისმშობელო, შემეწიე“, „შემიწყალე მე, უფალო“, „მომიხსენე მე, უფალო...“ ვინ იცის, კიდევ რა ვედრება აღმოხდათ! შესაძლოა! ეს ჩემი თვალითაც მაქვს ნანახი, როცა სიკვდილის პირას მყოფებს ვაზიარებდი, როგორ მოსდიოდათ თვალიდან ჩუმი, სინანულის მდუღარე ცრემლი. მჯერა...

მესამე: „სარწმუნოებით აღსრულებული“ ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის.

მეოთხე: ყველასთვის, ვისაც ყოველ საღვთო ლიტურგიაში მოვიხსენებთ.

წმინდა ნიკოლოზ პლანასი მრავალი თვის მანძილზე საათობით იხსენებდა ცოცხალთა და მიცვალებულთა სახელებს. „იხსენებდა გარდაცვლილ პატრიარქებს, მიტროპოლიტებს, მღვდლებს, დიაკვნებსა და ერისკაცებს“. მისთვის მიცემულ სახელებს ორ დიდ თავსაფარში ბოხჩად გამოკრავდა და მკერდზე მჭიდროდ მიიკრავდა. როცა ეკითხებოდნენ: „რა არის ეს?“ პასუხობდა: „ჩემი თამასუქები და ხელშეკრულებები“[3].

81. დიდი გრიგოლ დიალოგოსი მოგვითხრობს, რომ ერთხელ ზღვის ძლიერი ღელვის გამო ხომალდი კლდეს შეეჯახა. [სანაპიროზე მდებარე] ქალაქის მკვიდრნი, რომლებიც შორიდან უყურებდნენ ამას, დარწმუნებული იყვნენ, რომ ასეთ მაღალბალიან ღელვასა და ქარიშხალს ვერავინ გადაურჩებოდა. რაღა თქმა უნდა, ძალიან დამწუხრდნენ და გლოვობდნენ, რადგან ხომალდზე მყოფ მეზღვაურთა უმეტესობა იმ ქალაქიდან იყო.

ერთი მღვდელი მაშინვე გაემართა, თავისი ძმის (ამ გემის ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრი იყო) სულის მოსახსენებლად წირვა რომ აღესრულებინა.

მეორე დღეს მღვდელი ხედავს, რომ მისი ძმა ცოცხალია და სახლში მიდის! ხალხი განცვიფრებული იყო, ეკითხებოდნენ, როგორ შეძლო საფრთხისთვის თავის დაღწევა მაშინ, როცა სხვა ყველა დაიღუპა. მეზღვაურმა უპასუხა:

– როცა გემი კლდეს შეეჯახა, დაიმტვრა, ნაწილებად დაიშალა და ყველანი ზღვაში ჩავცვივდით. მე ერთ ფიცარს ჩავეჭიდე და სანამ ძალა გამომეცლებოდა, ტალღებს ვებრძოდი. ბოლოს დავსუსტდი, კინაღამ გონება დავკარგე, ვიხრჩობოდი. ამასობაში დაღამდა კიდეც...

უცებ, ერთი მშვენიერი ჭაბუკი დავინახე, რომელიც ზღვის ტალღებზე სვლით ჩემთან მოვიდა, არაჩვეულებრივი პურის ნაჭერი მომცა და მითხრა შემეჭამა! მეც შევჭამე პური და ისეთი ძალა მომეცა, რომ დაღლას ვეღარ ვგრძნობდი. ღვთის შეწევნით, ტალღებს შევებრძოლე და ნაპირზე აღმოვჩნდი“[4].

ნახეთ, საღვთო ლიტურგიამ სასწაული მოახდინა და სასიკვდილოდ განწირული კაცი გარდაუვალი დახრჩობისგან დაიხსნა.

პეტრე მოგილას სიტყვები ნათლის სხივებს ჰფენს და ანუგეშებს ჩვენს მიცვალებულ ძმებს. ის წერს: „ჯოჯოხეთის ბორკილებისგან ბევრი თავისუფლდება არა საკუთარი სინანულითა და აღსარებით, რადგან საღვთო წერილი გვეუბნება: „ჯოჯოხეთს შინა ვინ აღგიაროს შენ?“[5], არამედ ცოცხალთა მიერ გაცემული მოწყალებით, ახლობლების ლოცვით, განსაკუთრებით კი, უსისხლო მსხვერპლით, რომელსაც ეკლესია ყოველდღიურად წირავს ცოცხლებისა და მიცვალებულებისთვის, რადგან ქრისტე ჯვარზე მათთვისაც და ჩვენთვისაც აღესრულა“[6].

ამის მსგავს და კიდევ უფრო დიდ ნუგეშს გვაძლევს **წმინდა სიმეონ თესალონიკელის** მონათხრობი. წმინდანი დაბეჯითებით ითხოვს მიცვალებულთა საღვთო ლიტურგიაში მოხსენებას, რადგან: „წირვის დროს ისინი ფეშხუმზე დაბრძანებული მათი ნაწილის მეშვეობით (თითოეული სახელი თითო ნაწილით, ერთი ნამცეცითაა წარმოდგენილი) უხილავად ღვთის თანაზიარნი ხდებიან, წმინდა სისხლით განიბანებიან (როცა ნაწილები ყოვლადწმიდა სის-

[3] Μάρθας Μοναχῆς, „Ὅσιος παπα Νικόλας Πλανᾶς“, ὅ. π., σελ. 28.

[4] Λαγγῆ Ματθαιου, „Εὐεργετινός“, ὑποθεσις Λ, τ. Δ, Αθῆναι 1996[6], σελ. 500.

[5] ფსალმ. 6, 6.

[6] Τρεμπέλα Π., „Δογματική“, τ. 3, Αθῆναι 1961, ὑποσ. σελ. 415.

ხლში ჩასვენდება), ეზიარებიან... ნუგეშს იღებენ... და ქრისტესმიერ სიხარულს განიცდიან"[1]. მაცხოვნებელია წმინდა სიმეონის ეს სიტყვები, რომლებიც ნუგეშია ჩვენთვის!

[1] Συμεών Ἀρχ. Θεσ/νίκης, Περί τῆς ιερᾶς Λειτουργίας, P.G. 155, 284 D.

თითოეული გარდაცვლილი ნათესავისთვის შემდეგი დადგენილი ვალდებულებები გვაკისრია: გარდაცვალებიდან მესამე, მეცხრე, მეორმოცე დღეს, წლისთავსა და მესამე წლისთავზე, ასევე სულის მოსახსენებელ ყველა შაბათ დღეს – პანაშვიდის გადახდა. განსაკუთრებით ხაზგასმით ვამბობ: ეს მოვალეობაა.

♦ მესამე დღეს პანაშვიდს წმინდა სამების პატივსაცემად ან უფლის ჯოჯოხეთში სამდღიანი ყოფნის მოსაგონებლად ვიხდით.

♦ მეცხრე დღეს პანაშვიდს ცხრა ანგელოზებრივი დასის პატივსაცემად ვიხდით იმ სურვილით, რომ მიცვალებულის სული ანგელოზებს შეუერთდეს.

♦ მეორმოცე დღეს პანაშვიდს ვიხდით ისრაელი ერის მიერ მოსეს გარდაცვალების გამო გლოვის ან აღდგომიდან ამაღლებამდე უფლის მიერ დედამიწაზე გატარებული ორმოცი დღის მოსაგონებლად.

♦ გარდაცვალებიდან ერთი წლისთავზე გადახდილ პანაშვიდს სიმბოლური დატვირთვა არ აქვს, მხოლოდ მისი შესრულების მოვალეობა არსებობს.

დროთა განმავლობაში ასევე დადგინდა სამი, ექვსი, ცხრა თვის თავზე, ორი წლის თავზე პანაშვიდების გადახდა. ისინი, ცხადია, სასარგებლოა, მაგრამ არასავალდებულო.

საღვთო ლიტურგიასა და პანაშვიდებში მოხსენების დიდ სარგებელზე წმინდა წერილიც მოწმობს. იუდა მაკაბელის ცნობილ მაგალითს მოვიყვანთ: მან მსხვერპლი შესწირა დახოცილი მეომრებისთვის. საღვთო წერილი ამტკიცებს, რომ ეს მსხვერპლი – იუდას ლოცვა – მკვდართა აღდგომის, მაშასადამე, სიკვდილის შემდეგ სულების პიროვნული არსებობის რწმენას ემყარება. იუდას ეს საქციელი დახასიათებულია, როგორც ღირსეული და ღვთისმოსავი განზრახვა. საღვთო წერილის ამ ადგილის სიტყვასიტყვითი თარგმანია: „იუდა ძალიან კარგად და ღვთისთვის სათნოდ მოიქცა (**იუდა მაკაბელზე გვაქვს საუბარი**), ვინაიდან აღდგომაზე იფიქრა. რადგან დახოცილ მეომართა აღდგომის რწმენა რომ არ ჰქონოდა, მიცვალებულთათვის მისი ლოცვა უსარგებლო და უაზრო იქნებოდა"[2].

[2] 2 მაკ. 12, 43-45.

საღვთო ლიტურგიის დროს მიცვალებულთა სახელები მოიხსენება:

პირველი: კვეთაში (ჩვენ, მღვდლები, ვამბობთ: საუკუნო ხსენებისა და ნეტარისა განსვენებისათვის მიცვალებულთა მონათა შენთა...").

მეორე: მრჩობლ კვერექსში, რომელსაც განვიხილავთ.

მესამე: პატიოსან ძღვენთა განწმენდისთანავე (დიპტიხებში).

მეოთხე: მიცვალებულთა სახელებზე ამოღებული ნაწილების უფლის სისხლში ჩასვენებისას.

82. მამა საბა ათონელი, რომელსაც სულიერი მოძღვარი უწოდეს, ცოცხალთა და მიცვალებულთა მოხსენებას ხშირად საათებს ანდომებდა. ამაში რაღაც საიდუმლო იფარებოდა.

ეს საიდუმლო იყო ხილვა, რომელიც მას ახალგაზრდობაში, წმინდა იაკობის კათიზმაში მღვდლობისას ჰქონდა. აქ მას მღვდლის სახით ანგელოზი გამოეცხადა, რომელიც მოხსენებულთა ცოდვებს „კრავის სისხლით" განბანდა და აღხოცავდა.

სიკვდილის წინ მამა საბამ იფიქრა, რომ გამოცხადების საიდუმლოდ შენახვა არ შეიძლებოდა, აღწერა და თავის ხელნაწერებში დატოვა. 1925 წელს მამა იოაკიმე სპეციერმა საბა ათონელის საბუთების შესწავლისას ის ჩანაწერი იპოვა და გადაწერა. მას ზუსტად ისე მოვიყვანთ, როგორც არის დაწერილი:

მათ მიმართ, ვინც მეკითხება, თუ რა მიბიძგებს, ყოველ ლიტურგიაში მოვიხსენო სახელები და ამოვიღო ნაწილები კვეთის დროს

1843 წელს ივირონიდან დიონისეს მონასტერში გადმოვედით და განმხოლოებით ვცხოვრობდით სავანის ზემოთ მდებარე კათიზმაში. იქ უფლის ძმის, წმინდა იაკობის ძველი ეკლესია იყო. ჩემმა მოძღვარმა იღუმენს უთხრა და ტაძარი ერთიანად განაახლა.

ტაძრის სატფურებისთვის მღვდელმთავარიც გვეწვია. საღამოს მონასტრის ერთი მღვდელმონაზონი მოვიდა, საღვთო ტრაპეზისა და სამკვეთლოს გადასაფარებლები შეკერა და ტაძრის კურთხევისთვის აუცილებელი ნაყენი მოხარშა. დილას, ეკლესიის კურთხევისა და წირვის შემდეგ, ეპისკოპოსმა ჩემს მოძღვარს უთხრა: „რადგან მამა საბა ყოველდღე წირავს, გთხოვ, მიეცი მას რამდენიმე სახელი, რომ 40 დღე კვეთაში მოიხსენოს“. მან მიუგო: „რამდენიც გნებავს, მიეცი“. მღვდელმთავარმა ფურცელზე 62 სახელი დაწერა და ბოლოს მიაწერა, რამდენი მისცა მამა სტეფანეს შესაწირად.

39 დღის განმავლობაში ვიხსენებდი სახელებს. მეორმოცე დღეს ანალოგიაზე ჩამოყრდნობილი მოძღვარს ველოდი, მიმთხვევის ლოცვები რომ მეთქვა და წირვა დამეყენებინა. ჩამთვლიმა, სიზმარში ვხედავ, რომ სრული სამღვდელო შესამოსელი მაცვია და წმინდა ტრაპეზის წინაშე ვდგავარ. მასზე ქრისტეს სისხლით სავსე წმინდა ფეშხუმი დგას.

ვხედავ, მოდის მამა სტეფანე (რასაკვირველია, არა მე), სამკვეთლოს მაგიდიდან იღებს ფურცელს, რომელზეც სახელები ეწერა და ზიარების კოვზს. მოდის წმინდა ტრაპეზთან; ფეშხუმთან ახლოს დებს მოსახსენებელს, კოვზს ქრისტეს სისხლში ყოფს და ერთი სახელი იშლება. ხელმეორედ ყოფს და მეორე იშლება. და ასე გაგრძელდა, ვიდრე მთლიანად არ ჩაათავა 62 სახელი და ფურცელი სუფთა არ დარჩა.

გამომეღვიძა, მოძღვარიც მოვიდა და ნანახი მოვუყევი. მან მომიგო: „ხომ გითხარი, სიზმრებს ნუ დაუჯერებ-მეთქი?“ წირვის შემდეგ კი მითხრა: „შენ არ ხარ ღირსი, რომ მათ ცოდვები მიეტევოთ. თავიანთი სარწმუნოებით მიიღეს ცოდვათა შენდობა, ამიტომაც იშლება სახელები“.

ეს არის მიზეზი, რის გამოც ყველას სახელს ვიხსენიებ“[2].

[2] Χερουβείμ ’αρχ., „Σύγχρονες ‘Αγιορείτικες Μορφές 6, Σάββας ὁ Πνευματικός“, Ωρωπός ’αττικῆς, 1975², σελ. 98-99.

მაშ ასე, მოწყალება გავიღოთ მიცვალებულთათვის, რომლებიც ჩვენთვის ახლობელი, საყვარელი ადამიანები იყვნენ. და თუ ისინი მცირე დაცემებით სცოდავდნენ, მოწყალება მათ ცოდვებს აღხოცავს. ხოლო თუ მართლები იყვნენ, ქველის საქმე მათ სულებს სიმართლესა და ნათელს შეჰმატებს.

ვისაც ეჭვი ეპარება საღვთო მსახურებისას მიცვალებულთათვის ვედრების ძალაში, მცირე და დიდი პანაშვიდების, მოწყალების, სკვნილზე ლოცვის სარგებელში, კარგს იზამს, თუ წაიკითხავს წმინდანთა ცხოვრებებს, მიცვალებულთა წესის აგების აკოლუთიას, ლოცვა-ვედრებებს, რომლებსაც ჩვენი ეკლესია შესვენებულთათვის აღავლენს. მათ ამ უარყოფით დამოკიდებულებას შორიდანვე პროტესტანტიზმის „სუნი ასდის“.

მართლმადიდებლურ **დოგმატიკაში** ნათქვამია, რომ საღვთო ლიტურგიასა და პანაშვიდებში მიცვალებულთა მოხსენება საიდუმლოა, რომელიც ქრისტეს ეკლესიის ერთი სხეულის წევრთა შორის არსებული კავშირის სახეს აღნიშნავს და გადმოგვცემს[1].

წმინდა დიონისე არეოპაგელი „სიწმიდით დაძინებულთა“ საიდუმლოს შესახებ საუბარში აღნიშნავს, რომ მისი აღსრულების დროს კათაკმევლებს ტაძარი უნდა დაეტოვებინათ. ეს საღვთო წესის მისტიკურ ხასიათზე მიუთითებს, რომელსაც მხოლოდ ეკლესიის ცოცხალი წევრები განიცდიან და იაზრებენ...

უფლის სახელის მუდმივი ხსენება იმავდროულად ცოცხალი და აღდგომის სასოებით მიცვალებული ძმების ხსენებაცაა[2].

83. ერთხელ პროტესტანტი პასტორი ერთ პატივსაცემ და მოკრძალებულ რუს მღვდელს შეხვდა და უთხრა:

– ჩვენ ქველმოქმედებით ვართ დაკავებულნი, ვხსნით მოხუცებულთა თავშესაფრებს, ინტერნატებს, დარბაზებს ქადაგებისთვის, საავადმყოფოებს, პოპ და როკ მუსიკის კონცერტების ორგანიზებას ვაკეთებთ და სტადიონები ახალგაზრდებით ივსება. ვაწყობთ ექსკურსიებს, ალპინიადებს, ტურისტულ გასვლებს... ჩვენი ქვეყნისა და ხალხების პოლიტიკურ ცხოვრებაშიც კი ვერევით... სისხლსავსე და აქტიურ ცხოვრებას ვეწევით!.. თქვენ რას აკეთებთ?

რუს მღვდელს, რასაკვირველია, შეეძლო ეპასუხა, რომ ეკლესიაც ეწევა ჰუმანისტურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მოხუცებულთა და დავრდომილთა თავშესაფრებიდან დაწყებული სხვა უამრავი საქმით დამთავრებული, რომელსაც ნებისმიერი სამიტროპოლიტო უჩინრად, აფიშირების გარეშე აკეთებს.

მაგრამ ასე არ უპასუხა! შეკითხვაზე: „თქვენ რას აკეთებთ?“ სხვაგვარად მიუგო:

– ჩვენ რას ვაკეთებთ? ჩვენ საღვთო ლიტურგიას აღვასრულებთ!.. საღვთო ლიტურგია კი უსასყიდლოდ ავსებს სამოთხეს და აცარიელებს ჯოჯოხეთს. ამას ვაკეთებთ: საღვთო ლიტურგიას აღვასრულებთ“[3].

საღვთო ლიტურგია არის:

ღვთის სასუფევლის გემოსხილვა,
საღვთო ნეტარების შეცნობა...
სულიწმიდის კეთილსურნელება!
უფლის საიდუმლოთა ხედვა!
მარადიულობის განცდა!
ხსნის მტკიცე სასოება.

პანაშვიდებზე და სულის შაბათს ეკლესიაში კოლიო მიგვაქვს, რომელიც დაფლვისა და აღდგომის სიმბოლოა. ერთ დღეს მიცვალებულთა სხეულები საფლავებიდან აღდგება. როგორც ხორბალი ითესება მიწაში, იმარხება და ლპება, შემდეგ კი ნაყოფით დახუნძლული აღდგება, ასევე აღდგება შესვენებულთა სხეულებიც. პანაშვიდებს, მოწყალებას, მეტანიებსა და სკვნილზე ლოცვას უეჭველი სარგებელი მოაქვს „სარწმუნოებით დაძინებული“ მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის. კარგი იქნება, თუ პატიოსან ძღვენთა განწმენდისთანავე, როცა მღვდელი ამბობს: „უმეტესად ყოვლადწმიდისა, უხრწნელისა“, მგალობლები კი „ღირს არსს“ გალობენ, ჩუმად მოვიხსენებთ გარდაცვლილთა სახელებს. იმ დროს ჩვენ, მღვდლებიც, საკურთხეველში მიცვალებულ მართლმადიდებელ ქრისტიანთა სახელებს მოვიხსენებთ. ასე რომ, „ღირს არს ჭეშმარიტად“ გალობისას შინაგანად თქვით: „უფალო იესო ქრისტე, შეიწყალე მიცვალებულნი...“ და მათი სახელები მოიხსენეთ. ამგვარად

[1] Ανδρούτσου Χρ., „Δογματική τῆς Ορθοδόξου ’ανατολικῆς ’εκκλησίας“, ἐκδ. οἶκος ’αστήρ², σελ. 429.

[2] ‘Αγίου Διονυσίου τοῦ ’αρεοπαγίτου, Περί τῆς ἐκκλησιαστικῆς ιεραρχίας.., Κεφ. Ζ, P.G. 3, 556 C.

[3] ჩემი პირადი ჩანაწერებიდან.

თქვენი და მღვდლების მოხსენება ერთ ვედრებაში მთლიანდება.

„ოდნავაც ნუ შეგეპარება ეჭვი, – ამბობს **წმინდა იოანე ოქროპირი,** – რომ მიცვალებულები სულიერ სარგებელს პოვებენ. ღმერთკაცი უფლის რწმენის მქონე მღვდელი სამკვეთლოსა თუ წმინდა ტრაპეზთან ამაოდ როდი აღავლენს ლოცვა-ვედრებას ქრისტესმიერ შესვენებულთათვის“[4].

წმინდა გრიგოლ პალამა კი ამბობს, რომ „შესვენებულთათვის უდიდესი სარგებელი მოაქვს მათთვის სკვნილზე ლოცვას“.

მრავალმა ქრისტიანმა იცის ამ სარგებლის შესახებ. ისინი სკვნილზე ლოცვის დროს დიდ მეტანიებსაც ასრულებენ. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა მაშინ, როცა ადამიანი სულთმობრძავ მდგომარეობაშია. იმ დროს მრავალ მეტანიასა და სკვნილს ვასრულებთ, ბევრს ვკითხულობთ. ამიტომ, როცა მიცვალებულისთვის ღამის გასათევად წავალთ, ნუ გადავყვებით ყავისა და კონიაკის სმას, მრავლისმეტყველებას, არამედ ფსალმუნი და საღვთო წერილი ვიკითხოთ, სკვნილზე ვილოცოთ! მიცვალებულს შეწევნა სჭირდება! რასაც გავცემთ, იმას მივიღებთ, როცა ჩვენი ჯერი დადგება! ყველა ეს მოხსენება და მოწყალება შვების მომგვრელი და სარგებლის მომტანია სულებისთვის, რომლებიც სამგვამოვანი ღვთის საყოველთაო სამსჯავროს ელიან.

წმინდა ნექტარიუსი გვაუწყებს, რომ უფლის მეორედ მოსვლამდე ეკლესიას სურს და შეუძლია ლოცვა-ვედრება აღუვლინოს კაცთმოყვარე უფალს თავისი შვილების სარგებლის, სულიერი შვებისა და განსვენებისთვის[5].

იერუსალიმის პატრიარქ დოსითეს აღსარებაში იმავე საკითხზე შემდეგია ნათქვამი: „იმ ქრისტიანთა სულები კი, რომლებიც მომაკვდინებლად სცოდავდნენ, მაგრამ სასოწარკვეთილებაში არ გარდაცვლილან, მოინანიეს, მაგრამ ვერ მოასწრეს აღსარების თქმა და ვერ გამოიღეს ჯეროვანი სინანულის ნაყოფი, ჯოჯოხეთში იმყოფებიან და ჩადენილი ცოდვებისთვის სასჯელს იხდიან წინასწარი განცდის თვალსაზრისით, თუმცა სასოებაც აქვთ. ცხადია, ისინი შეიგრძნობენ, რომ ღვთის უკიდურესი სახიერების გამო, საღვთო ლიტურგიებისა და ნათესავთა მიერ გაღებული მოწყალების მეშვეობით თავს დააღწევენ.

მაგრამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ არ ვიცით მათი გათავისუფლების დრო. ვიცით და გვწამს, რომ ისინი ჯერ კიდევ საყოველთაო აღდგომამდე და სამსჯავრომდე გარკვეულწილად თავისუფლდებიან სატანჯველებიდან და ერთგვარი შემსუბუქება, შვება ეძლევათ. მაგრამ ჩვენთვის უცნობია, როდის მოხდება ეს ყოველივე“[6].

წმინდა დოსითე იერუსალიმელის ეს სიტყვები ძალზე ანუგეშებს სულებს, რომლებმაც მონანიება მოინდომეს, მაგრამ არ დასცალდათ სინანულის საქმით გასრულება. რადგან ბევრი კითხულობს: „რა ბედი ეწევა ამ სულებს?“

[4] Ανδρούτσου Χρ., „Δογματική τῆς Ορθοδόξου Ἀνατολικῆς Ἐκκλησίας“, ἐκδ. οἶκος Ἀστήρ², σελ. 428.

[5] Ἁγίου Νεκταρίου, „Μελέτη περιάθάασίας ψυχῆς καί περί ιερῶν Μνημοσύνων“, Θεσ/νίκη 1983, σελ. 152.

[6] Ἁγίου Δοσιθέου Ἱεροσολύμων, „Ὁμολογία τῆς Ὀρθοδόξου πίατεως“, Θεσ/νίκη 1983, σελ. 95.

ითარგმნა
ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის მონასტერში

გაგრძელება იქნება

ღირსი იოსებ ისიხასტი

ღირსი იოსებ ისიხასტისა
და მღვიმელის ხატი

2019 წლის 20 ოქტომბერს მსოფლიო საპატრიარქომ ბერი იოსებ ისიხასტი, ათონელი წმინდანად შერაცხა. კიდევ ერთ წმინდანს შეგვიძლია შევთხოვოთ შუამდგომლობა ღვთის წინაშე, შემწეობა ჩვენს რთულ დროში. 2020 წლის 22 ივლისს კი თბილისში, ბახტრიონის ქუჩაზე ჯვართამაღლების ტაძრის ეზოში, ღირსი იოსებ ისიხასტისა და მღვიმელის სახელობის ახალი ტაძარი იკურთხა.

ტაძრის კურთხევა ყოველთვის სასიხარულოა, რადგან ღვთის სადიდებელი ადგილების სიმრავლე ახარებს მორწმუნეთა გულებს. განსაკუთრებული სიხარული სუფევდა ჯვართამაღლების ტაძრის სამრევლოში, რადგან მოძღვრის, მამა თეოდორეს შრომით მათ უყვართ ბერი იოსები და კარგად იცნობენ მის ღვაწლს.

ახალი ტაძარი აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა აკურთხა. მეუფე დავითსა და ახალი შუამთის მონასტრის კრებულს კი ამ წმინდა მამასთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ.

1994 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მეუფე დავითმა მონაზვნობის მსურველები, ამჟამად ახალი შუამთის მონასტრის მონაზვნები, საბერძნეთში ფილოთეოს მონასტრის მეტოქიონში, თასოსის მთავარანგელოზის მონასტერში გაგზავნა. აქ მათ პირველად გაიგეს ისიხასტი ბერის, მამა იოსებ ათონელის შესახებ. მონასტრის სულიერი მოძღვარი, მამა ეფრემ ფილოთეველი, რომელიც ამ დროისთვის არიზონის წმინდა ანტონი დიდის მონასტერში განაგრძობდა მოღვაწეობას, ბერი იოსების მოწაფე იყო. მასთან შეხვედრამ საბოლოოდ განამტკიცა შუამთელები საკუთარ არჩევანში. ახალი შუამთის მონასტრის ტიპიკონის შესავალ ნაწილში ვკითხულობთ:

„საბერძნეთში წასვლის წინ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან კურთხევის ასაღებად მისულები მისმა უწმიდესობამ დაგვარიგა... დალოცვისას კი გვითხრა: „ილოცეთ. მთავარია ლოცვა. აუცილებელია. მეც ნუ დამივიწყებთ თქვენს წმინდა ლოცვებში“.

გამხნევებულები ჩვენი პატრიარქის, მოძღვრისა და მთავარანგელოზის მონასტრის წინამძღვრების – არქიმანდრიტ

ეფრემისა და იღუმენია ეფრემიას ლოცვით, შევუდექით მონაზვნურ ცხოვრებას.

„უფლის სახლში მისვლა და დამკვიდრება გაცილებით უფრო ტკბილია, ვიდრე ცოდვილთა სოფელში ცხოვრება, სადაც ხორცის თაყვანისცემის საცდურია და ჯოჯოხეთი დიდ ნადავლს მოიხვეჭს.

ღმერთი თუ გიყვარს და გსურს მას სრულყოფილად და ნაყოფიერად ემსახურო, დიდი ქალაქის უსულო შენობები მიატოვე და საყვარელ და სასურველ უფლის სამკვიდრებელში მოდი, სადაც მეცნიერებათა მეცნიერებას, ეშმაკზე, სოფელსა და საკუთარ თავზე გამარჯვების ხელოვნებას ისწავლი. ეს არის საუკუნო ჯილდოებისა და ადგილებისთვის შეუპოვარი ბრძოლის მეცნიერება“ (ბერი ეფრემ ფილოთეველი).

მთავარანგელოზ მიქაელის მონასტერში პირველად შევიტყვეთ მათი სულიერი წინაპრის, ბერი იოსებ ისიხასტის შესახებ. ისინი მას „პაპუს“ – ბაბუას ეძახდნენ. ჩვენთვისაც ძალიან მახლობელი შეიქმნა „პაპუ“ იოსები... უკვე სამშობლოში ჩამოსულებს მამა ეფრემმა მოგვწერა: „ჩემი მამის და თქვენი „პაპუს“ ლოცვა შეგეწიოთ“ – ამინ.

მიუხედავად იმისა, რომ ბერი იოსები სრული ისიხასტი იყო, მან მემკვიდრეობად – მთავარ სწავლებად სულიერ შვილებს მორჩილება დაუტოვა.

„გულწრფელად და მტკიცედ, სრული შეგნებით ვაღიარებ, რომ არ არსებობს გადარჩენის სხვა გზა, რომელიც ასე დაცული იქნებოდა ყოველგვარი ხიბლისა და მტრის შემოტევისგან. და თუკი ვინმეს ნამდვილად უნდა ხსნა და ტკბილი იესოს სწრაფად პოვნა, მორჩილებაში უნდა იყოს, და ისეთი სიყვარულით უყურებდეს თავის მოძღვარს, თითქოს ქრისტეს ხატებას ხედავდეს.

მორჩილება – სულის ამაოდბრძნობის დამორჩილებაა, საკუთარი ცუდისგან რომ გავთავისუფლდეთ.

მორჩილება ნიშნავს, გახდე მონა, რათა იყო თავისუფალი. შეიძინე იაფად შენი თავისუფლება. პასუხს ნუ აგებ ნურაფერზე და იყავი მხიარული.

კარგად იცოდე, რომ ერთის მიმართ ურჩობაში მყოფი მრავალს [ვნებებს] ემორჩილება და საბოლოოდ დაუმორჩილებელი რჩება“ (ღირსი იოსებ ისიხასტი).

სურვილი აქ [შუამთის მონასტერში] მოსულებისა იყო მორჩილების საძირკველზე აგვეშენებინა ჩვენი სულის ტაძარი, რაშიც მეოხებას დღემდე მამა იოსებს – „პაპუს“ ვთხოვთ“.

ღირსო მამაო იოსებ ისიხასტო და მღვიმელო, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის.

ხახულის ღვთისმშობლის
ახალი შუამთის მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია იოანა

ტაძრის კურთხევის დღე.
აბბა ალავერდელი
მიტროპოლიტი დავითი და
დეკანოზი თეოდორე გიგნაძე

ყველაფერი განსჯით აკეთე, კეთილი რჩევის შემდეგ

ჩემო ძვირფასო გოგონა, ჩემო კეთილო მტრედო, ჩემო კარგო ბავშვო. სულისა და სხეულის სიმრთელეს გისურვებ, შვილო. ამ დღეებში ვიფიქრე: „რატომ აგვიანებს წერილის მოწერას ჩემი შვილი? როგორ გამორჩა მხედველობიდან? იქნებ სწავლითაა დაკავებული?“

ბოლოს და ბოლოს შენი წერილი მივიღე და შენი ჯანმრთელობით გახარებული იმ ცოდვებზე ვდარდობ, რომლებსაც განუწყვეტლივ სჩადიხარ, რადგან შენ, ასეთი პატარა გოგონა, ყველას ეჩხუბები.

საინტერესოა, როდესაც მეუფე ქრისტეს სასძლო გახდები, როცა წმინდა სამონაზვნო შესამოსელს ჩაიცვამ, მაშინ მაინც გამოასწორებ შენს შეუფერებელ ქცევას თუ ისევ გააგრძელებ ჩხუბს?

კარგი, დაე, ახლა ყველაფერი მიგეტევოს. მაგრამ მომავალში ყურადღებით იყავი, თორემ მკაცრ ეპიტიმიას დაგადებ! რადგანაც შენ, როგორც ზეციური მეფის სასძლო, შეუფერებელს არაფერს უნდა აკეთებდე. ყველასთან ისე უნდა იქცეოდე, როგორც ყველაზე უმცროსი. ყველაზე მორიდებული უნდა იყო, ყველაზე თავმდაბალი. აურაცხელი ცრემლი უნდა დაღვარო, ითხოვო, რომ ბრძენ ქალწულთა სიხარულის ღირსი გახდე ანგელოზებსა და წმინდანებთან ერთად.

ყურადღებით იყავი, ჩემო კეთილო გოგონა, რადგან უკვე წამოიზარდე და სხვაგვარი გულისსიტყვები გაგიჩნდება. შენ ახლომახლო მაცდურის ისრებმა დაიწყო ფრენა. გაუფრთხილდი შენს სულს, მტკიცედ დაიცავი შენი ღირსება. ქრისტესა და ღვთისმშობელს უნდათ, რომ ჩვენ ყოველთვის ყურადღებით ვიყოთ და ღვთის შიში გვქონდეს.

არ იფიქრო, რომ სიხარულსა და კმაყოფილებას იპოვი იმაში, რაზეც შენი სული მწუხარებს, ღვთის მადლი კი ვერ მკვიდრდება. სიხარული ჩვენი სულისთვის ღვთის მიერ ბოძებული წყალობაა და თუ შეაცბუნებ, ის მეტად აღარ მოვა, სანამ დიდი ტკივილით არ იდარდებ და ცოდვას არ მოინანიებ. მაგრამ არსებობს კი რაიმე მიზეზი იმისთვის, რომ წინდაუხედავად განვდევნოთ მადლის მტრედი და შემდეგ წუხილით, მრავალი სულთქმით ვეძებოთ, უკან რომ დაგვიბრუნდეს?

მრავალმა განდევნა სიხარული, უგუნურად დააფრთხო იგი და ის აღარ მობრუნდა.

ამიტომ ყურადღებით იყავი, ჩემო კარგო გოგონა. დედის გარეშე ნაბიჯი არ გადადგა, ბევრი მეგობარი არ იყოლიო. სამკაულებს ნუ შეიყვარებ. სუნამოები ნუ დაგაინტერესებს. ეს ყველაფერი ამსოფლიური საქმეა, ზედმეტი და ამდენად – საძრახისი.

დაე, მუდმივ სამკაულად ღვთის შიში გქონდეს, მოკრძალებულ სამოსად კი – სიმდაბლე, საიმედო საფარველად – ყოველთა დედოფალი, მცველად და დამრიგებლად – შენი სულის ანგელოზი, სუნამოს სუნად – სულისა და სხეულის ქალწულებრივი სურნელება.

ასე მოიქეცი, ჩემო შვილო, და იცოცხლებ აწ და მარადის.

რადგან სულის სიკვდილი გვერდზე მოგყვება, წინ გისწრებს, შენს გულში ფრთხიალებს, შენს თვალებში ფრინავს, შენს გულისსიტყვებს ებრძვის. ყურადღებით იყავი საკუთარი ცხოვრების მიმართ. მტკიცედ დაიცავი შენი სული!

ჰო, ჩემო ძვირფასო შვილო, ქვეყანა ხომ გაირყვნა და მაცდური, რომელიც ღვთიურ სიყვარულსა და ღვთისადმი თქვენს მოშურნეობას ხედავს, „ლოდს შებრკოლებისას და კლდეს საცთურებისას“ გახვედრებთ ცხოვრების გზაზე. ამიტომ, მომისმინე და დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები, რომ მათ საცდურისგან დაგიცვან.

საღმრთო წიგნები იკითხე, გონება რომ გაგინათლდეს, შენი სული სულიერ გზაზე რომ წარემართოს. ეს საღმრთო სწავლება შენთვის ზეციური მზითევი და საუკუნო სიმდიდრე გახდება.

ამასთან ყურადღებით იყავი, რომ დედას და მამას არ ეურჩო. მოერიდე ერისკაცებთან შემთხვევით შეხვედრებს. ბავშვობისა და უმანკოების ასაკი უკვე გავიდა.

ბევრი ლაპარაკი არ ისწავლო, უმჯობესია ცოტა ილაპარაკო, დუმილი კი სულის სიმდიდრეა. თუ შეეჩვევი ბევრ ლაპარაკს, იესოს ლოცვასაც მალე დაკარგავ, სულსაც ძალიან დაღლი და სხვებსაც, უეჭველად, ზიანს მოუტან. რადგან მრავლისმეტყველებაში ცოდვას ვერ გაექცევი.

იმაზეც იზრუნე, ჩემო შვილო, რომ ყოველთვის გონიერი, თავმდაბალი, მორჩილი, მდუმარე, მომთმენი, თავშეკავებული, მონდომებული, განუწყვეტლივ დღედაღამ მლოცველი იყო. დაე, შენმა ბაგემ არ შეწყვიტოს გონიერი ლოცვა. და დაინახავ, როგორ გაგინათლდება გონება, როგორ გადმოაფრქვევს გული სიხარულსა და სიმშვიდეს!

ყველაფერი განსჯით აკეთე, კეთილი რჩევის შემდეგ. გიყვარდეს აღსარება და ხშირად ეზიარე. არ უყურო ამ სოფელს, რომ ღმერთი გხედავდეს შენ.

თუ მუდამ დაიცავ სხეულისა და სულის უბიწოებას, ყოვლადწმიდა ქალწული დაგიფარავს ყოველგვარი ბოროტისა და ხილული თუ უხილავი მტრისგან.

მეც ვლოცულობ, ჩემო თავმდაბალო შვილო, რომ მალე აღსრულდეს უფლის ნება შენზე: „მოგეცინ შენ უფალმან გულისაებრ შენისა“.

წიგნიდან:

ბერი იოსები, „მონაზვნური გამოცდილების გადმოცემა“.

თბ., 2004 წ.

ითარგმნა ბერძნულიდან

ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის მონასტერში

ბოლოთქმა

„ყრმა ვიყავ და დავბერდიცა და არა ვიხილე მართალი დაგდებულ, არცა თესლი
[1] ფსალმ. 36, 25. მისი მთხოველ პურისა“[1] – წერს დავით მეფსალმუნე. ალბათ მას ბევრი ადამიანი
უნახავს ცხოვრების მანძილზე და რადგან ამბობს, ზუსტად იცის, რომ არცერთი
მართალი არ მიუტოვებია უფალს, არცერთი მათგანის შვილი არ დარჩენილა პუ-
რის (სულიერი თუ მატერიალური პურის, საზრდელის) გარეშე.

„ნუ ჰზრუნავთ ხვალისათვის, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თვისისა. კმა
[2] მათ. 6, 34. არს დღისა მის სიბოროტე თვისი“[2] – გვარიგებს უფალი, რადგან ყოველი დღე გვა-
ოცებს სიკეთითაც და სიბოროტითაც; გვაოცებს იმითაც, როგორ შეიძლება დღე
ერთდროულად ამდენ სიკეთესა და ბოროტებას იტევდეს, ბოლოს კი (იქნებ მაშინ-
ვე) გვახსენდება: „კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გამოიღის კეთილი
[3] მათ. 12, 35. და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გამოიღის ბოროტი“[3] და ვხვდე-
ბით, რომ დღისა და ცხოვრების ავკარგიანობის მიზეზი ჩვენვე ვყოფილვართ.

[4] ლუკ. 12, 31. „ეძიებდეთ სასუფეველსა ღმრთისასა, და ესე ყოველნი შეგეძინოს თქუენ“[4] –
ამბობს უფალი და მაგალითად ველის შროშანი მოჰყავს, უზრუნველად რომ შე-
უმოსავს ისე, როგორც ზრუნვის შემთხვევაშიც ვერ შევძლებთ ჩვენ. ისევ გაფრ-
თხილება ცხოვრების წარმავლობისა და ღვთის უსაზღვრო მოწყალების შესახებ.

და ბოლოს:

რადგან სამყარო არც თეთრია და არც შავი, არამედ ისეთი, როგორსაც ჩვენ
ვხედავთ; რადგან არ ვიცით, როდის გავალთ ამ სოფლიდან უკეთეს ცხოვრებაში
(იმედია, უკეთეს ცხოვრებაში გავალთ), სადაც არ არის სულთქმა და ურვა; რად-
გან დღეს იმდენი ბოროტება აქვს, რამდენსაც გაუძლებს ჩვენი სუსტი სული; რად-
გან უფალია ჩვენი შემწე და უძლურების მტვირთველი, ის არც ჩვენ დაგვაგდებს
ცხოვრების გზაზე უპატრონოდ.

ნუგეშია ამის გააზრება და ჩვენც ნუგეშით ვივსებით.